

სკოლის გართვა

#2, 2023


ხარისხიანი ფიზიკური
განათლება სკოლაში

საერთო სასკოლო მიღგობა
ფიზიკური განათლების
ხელშეწყობად

სკოლური / ფიზიკური
განათლების გააღება
საზღვრის საჭიროებებზე,
შინაგან მოტივაცია
და პროცესი
დამოკიდებულებებზე

კვლევები სკოლური
განათლების შესახებ

იდეები / აქტივობები
სკოლური განათლების
სასკოლო მოდელის /
გეგმის შესაგუგავებლად



WWW.LIVING-DEMOCRACY.COM

ISSN 1512-0279



9 771512 027007 >



განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



სსიპ მანსაველაშვილი
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

აქტიური სკოლა

Living Democracy » Principals » აქტიური სკოლა

აქტიური სკოლა

- პეიჯი
- აქტიური სკოლა
- ინფორმირებულობა
- გზადება
- მოქმედება
- კომუნიკაცია
- მიწაწილება
- სადავო საკითხები
- სწავლა
- ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სკოლები
- ლიდერობა

რედაქტორები
Gelly Aroni, Rolf Gollub, Alfred Keller

ავტორები
Gelly Aroni, Rolf Gollub

დამფუძნებელი
Natia Natodidze

პეტილდობა ადამიანის ძირითად უფლებას წარმოადგენს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმოს) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ინდივიდის ჯანსაღი შემეცნებითი, ემოციური, უფლებათა ევროპული კონვენციის განვითარება. მას შემდეგ რაც ქვეყანა მოახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/005> და გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CRC.aspx>, რატიფიცირებას, ყველა მასწავლებლისთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, როგორც სკოლის ხელმძღვანელისთვის სრულებით გასაგები უნდა იყოს ამ ორი კონვენციის შედეგები. სასკოლო სწავლა-სწავლების ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა მოიცავს როგორც ადამიანის უფლებათა დირექტორების შესახებ სწავლას, ასევე მათ პრაქტიკულ გამოყენებას სასკოლო გარემოში. ადამიანის უფლებათაგანია სხეულის სიჯანსაღის შენარჩუნება. სკოლაში მოდერულ თქვენს თანამშრომლებთან ერთად, თქვენ იღებთ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თქვენი სკოლის მოსწავლეები შეიძენენ თუ არა საჭირო ცოდნას, უნარებს, მიიღებენ თუ არა საზოგადოებაში მხარდაჭერას და წახალისებას თავიანთი სასკოლო გარემოში, და ასევე შეიძენენ თუ არა რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებისას და მათი უფლებების დაცვას.

სკოლის გართვა

#2, 2023

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეჯია

გვიგა შუაპაიძე

განათლების დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

გიან პრაიდაშვილი

სოციოლოგიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ანალიტიკური სამსახურის უფროსი

ნატალია ივანოვიჩა

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

სათუნა გარბაძე

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის დანერგვისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დენის ლურჯია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

პასა ჩხარტიანი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი

მთავარი რედაქტორი:

ნატია ნაცვლიძე

კორექტორი:

გიანა შიკაშვილი

ფოტოგრაფი:

გელა გულიანი

დიზაინერი:

გენია დანიელი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:

თბილისი,

ზურაბ ანჯაფარიძის II შესახვევი N6

ელფოსტა: skolismartva@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ურნალის რედაქციის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge



ნატია ნაცვლიძე

მთავარი რედაქტორის სვეტი

საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც 1911 წელს სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“ მშობლებს, სკოლებსა და მასწავლებლებს მონდომებით უხსნიდა, თუ გვინდა, რომ ჩვენი შვილები, ჩვენი ახალგაზრდები კარგად სწავლობდნენ, ჯანმრთელები და ხალისიანები იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, სკოლაში მათ ფიზიკურ განვითარებაზე უნდა ვიზრუნოთ, რისთვისაც მხოლოდ „გიმნასტიკის“ მშრალი გაკვეთილები საკმარისი არ არის...

ამას უმეორებს დღეს სკოლებს, განათლების სისტემებსა და, ზოგადად, საზოგადოებას UNESCO, UNICEF, WHO და ყველა სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მანდატიც მსოფლიოს კეთილდღეობაზე ზრუნვას მოიცავს – მხოლოდ სპორტის გაკვეთილი ვერ იტევს მოსწავლეთა ფიზიკური განვითარებისთვის საჭირო აქტივობებს სკოლაში და დაუყოვნებლად უნდა გადაიდგას უფრო კომპლექსური და ქმედითი ნაბიჯები.

ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი სწორედ აქტიურ სკოლასა და ფიზიკური / სპორტული განათლების მნიშვნელობას ეძღვნება. ტრადიციას არ ვღალატობთ და, საკითხის ისტორიული მნიშვნელობის დასადასტურებლად, არც ამ თემასთან დაკავშირებით ვივიწყებთ, რაზე ვფიქრობდით ქართული სკოლის სათავეებთან – ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის შესახებ წაიკითხავთ ი. ფერაძის 1911 წელს გამოქვეყნებულ სტატიას.

ამ ნომერში გაეცნობით, რა არის ხარისხიანი ფიზიკური / სპორტული განათლება, რას მოიცავს, რა საერთაშორისო და ეროვნულ საფუძვლებს ემყარება, რატომ არის მასზე ზრუნვა მნიშვნელოვანი და მისი დანერგვით რის პრევენციას შევძლებთ სამომავლოდ.

გაეცნობით კვლევებს, როგორ მოქმედებს ფიზიკური განათლება მოსწავლეთა მოტივაციაზე, სწავლის შედეგებზე, სოციალურ უნარებსა თუ სხვა, სპორტულ განათლებასთან, ერთი შეხედვით, ექსპლიციტურად ნაკლებად დაკავშირებულ საკითხებზე.

მხოლოდ თეორიულ მსჯელობას არ ვჯერდებით და გთავაზობთ ხარისხიანი ფიზიკური განათლების დანერგვის რეკომენდაციებს – საერთო სასკოლო მიდგომას, როგორც საუკეთესო სტრატეგიულ გზას წარმატების მისაღწევად, ასევე, პრაქტიკულ რჩევებს, აქტივობებს, ინიციატივებს, რომელთა დახმარებითაც შეძლებთ, თქვენი სკოლის გარემო უფრო აქტიური, ხალისიანი და ჯანსაღი გახადოთ, მნიშვნელოვანი მატერიალური რესურსის გარეშე.

ვცადოთ, დავიწყოთ – გვჯერა, რომ ერთად ნამდვილად უკეთესობისკენ შევცვლით გარემოს!

03

განათლების ისტორია

ი. ფურაძე

ჭაგუპთა ფიზიკური აღზრდა

10

მთავარი თემა

ბერიკა შუბაძე

სარიისნიანი ფიზიკური განათლება სკოლაში

18

ქეთევან ქუბაღია

საერთო სასკოლო მიდგომა ფიზიკური განათლების ხელშესაწყობად

24

თეონა სილაგაძე

რა არის და რას მოიცავს სპორტული განათლება?

30

კვლევა

ბაია არაგვიანი

სპორტული/ფიზიკური განათლების გავლენა საგანის სპორტულურობაზე, უინაგან მოტივაციასა და პრემიისტიკურ დამოკიდებულებებზე

33

ნინო გაბელიძე

კვლევები სპორტული განათლების შესახებ

43

მთავარი თემა

იდეები / აქტივობები სპორტული განათლების სასკოლო მოდელის / გეგმის შესაგუშავებლად

49

სკოლა და კანონმდებლობა

დენის წურჭუბია

მონსწავლე და სასკოლო დისციპლინა

53

ნაზა ვაჭარაძე

ჯანსაღი გარემოს უზღუება

ჭაბუკთა ფიზიკური აღზრდა

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“
 №8, ოქტომბერი, 1911 წელი

ი. ფერაქე

ბოლო დრომდის ჭაბუკთა ფიზიკურ აღზრდას სრულიად არ ჰქონდა მიქცეული ყურადღება სასწავლებლებში, სადაც უფრო იმას სცდილობდნენ, რომ მათ განვითარებოდათ ჭკუა-გონება. ამის მეოხებით მოწაფის სხეული, ეს უკვდავი სულის მტვრითველი ტურტელი, განუვითარებელი რჩებოდა და ხდებოდა ათასგვარ სნეულე-ბათა მსხვერპლად... დავიწყებული იყო ის სალი ტემპარიტება, რომელიც ფიზიკურს განვითარებას სთვლის სულიერ სრულყოფის ერთს ძირითადს პირობათაგან... მაგრამ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლებმა ხმა აღიმალღეს ახალთაობის ფიზიკური განვითარების აბუჩად აგდების წინააღმდეგ, და ამ ხმამ შეაღწია სკოლის კედელთა შორისაც: იქმასწავლებელ-აღზრდელებმა დაიწყეს ფიქრი, შრომა, მუშაობა იმის შესახებ, რომ ჭაბუკთაობის ფიზიკური აღზრდა ჯეროვანს ნიადაგზე დაემყარებინათ. დღეს მასწავლებელს დაკისრებული აქვს ჭაბუკთაობის არა თუ მხოლოდ სულიერი, არამედ ფიზიკური აღზრდაც. ფიზიკური აღზრდის უგულებელს ყოფამ ფრიად ავნო ჭაბუკთა ჯანის სისალეს: მრავალი ავადმყოფობა წარმოშობა მან... განსაკუთრებით ქალაქებში, სადაც არც ბინებია კარგი, ჰაერიც მოწამლულია და საზოგადოდ სული შეხუთულია... სულ ათი წელიწადი იქნება, რაც ყურადღება

მიექცია მოწაფეთა ფიზიკურ აღზრდას. მიქცეულია მაგალითად, ყურადღება იმაზე, რომ ბავშვებს მხედველობა არ დაუსუსტდეს, რისთვისაც სცდილობენ იქონიონ შესაფერისი ასოები დაბეჭდილი სახელმძღვანელოში, მოაშორონ ბავშვები ცუდი განათების მაგნებლობას; სახელმძღვანელო წიგნებში შეტანილია ჰიგიენური შინაარსის წერილები (სხვათა შორის, იხილეთ „ბუნების-კარი“-ც ი. გოგებაშვილისა)... ერთი სიტყვით, სკოლა ვალდებულია ბრუნავდეს მოწაფეთა ფიზიკური განვითარებისთვის. ამისთვის კი საჭიროა: ა) ჭაბუკთა სხეულის იმ ბომამდის განვითარება, – რომ მას შეეძლოს წინა აღუდგეს ჯანის სისალისთვის მავნებელს პირობებს; ბ) მათი დაცვა ავადმყოფობათაგან; გ) სამუდამო განსაკუთრებითი ყურადღება სკოლის მოწაფეთა ჯანის სისალის საქმეზე...

ყოველივე სულიერი მუშაობა ასე თუ ისე დაკავშირებულია ნერვების ფიზიოლოგიურს პროცესსთან... თუ სულიერი მუშაობა სწარმოებს გარდამეტებულად, – ნერვების ფიზიოლოგიური პროცესისიც გარდამეტებულად მიმდინარეობს, და მუშაკიც ილღება, როგორც სულიერად, ისე ხორციელად... თუ ყურადღება არაა მიქცეული ჭაბუკის ფიზიკური ჯანის სისალის დაცვაზე, – მაშინ ის ცალმხრივ ვითარდება... ხელში შეგვრჩება წელში მოხრილი, – ვიწრო მკერდიანი,

უკეთესი პირობები უშუალოდ ყოფილ იქნა, გაუინ გაუვიინ თვით სულიერი სხოვრებას რიგინად არ მიღის: ის მოწყანილია, კლიერ გალე ილღება სულიერად და სოკსილად, უჩივის თაპის ტპივილს, უგადოგას, გულის ფრიალს და საჯოგადოდ გას უტყოგა გონეპითის დაქანსვის ნიუნეპი... გასწავლეპელი უნდა უპროდუს მოწყაფეთა გონეპითს დაქანსვას. საუპითესო საშუალეპად აპ მიუნის მისალწვად ითვლეპიან სხვა და სხვა მოქროგანი და პარჯიოგანი.

» სკოლის მოწყობაში, როდესაც უნდა გრუნდებინან, ხსიან, ჰვირიან, ხეაურობენ, იხინიან და ამით ისინი ალღოს ჩამონებენ წინააღმდეგობის კლასში ჯდომის და სიჩუმის მიერ წარმოქმნილ გავრცელებულ მხარეებსა... ამის გამო ძლიერ ცუდია, როდესაც გავრცელებული უნდა გრუნდებინან ღრუს მასწავლებლები გულის გულის და ფილტვების მოქმედება წესიერად მიმდინარეობს; ამასთანავე, კარგია, რომ ნივთთა ცვლა და სისხლის ტრიალი სხეულში, – რაც ესრედ საჭიროა ტანის ზრდისთვის, – დაუბრკოლებრივ სწარმოებდეს და სხეული იწმინდებოდეს საჭმელ-სასმლის იმნაწილთაგან, რომელნიც სხეულისთვის გამოსადეგნი აღარ არიან... უკეთეს ეს პირობები უგულებელს ყოფილი იქმნა, მაშინ ბავშვის თვით სულიერი ცხოვრებაც რიგადადარმიდის: ის მოწყენილია, ძლიერ მალე იღლებას სულიერად და ხორციელად, უჩივის თავის ტკივილს, უმადობას, გულის ფრიალს და საზოგადოდ მას ეტყობა გონებითის დაქანცვის ნიშნები... მასწავლებელი უნდა ებრძოდეს მოწაფეთა გონებითის დაქანცვას. საუკეთესო საშუალებად ამ მიზნის მისაღწევად ითვლებიან სხვა და სხვა მოძრაობანი და ვარჯიშობანი, რომელთა შესახებ ქვემოთ გვეჩვენება საუბარი. თვით ბუნებრივი ალღო ჩაადენინებს ადამიანს სხვა და სხვა მოძრაობას ამა თუ იმ ორგანოს გასამაგრებლად. ახლად-მობილი ბავშვი სტირის და მით ავარჯიშებს ფილტვებს და მკერდსა... აგრეთვე ბავშვი ფეხთა უნებლიეთი მოძრაობით გაიმაგრებს კუთებს. რომ მოიზრდება ბავშვი, მას უყვარს ხტომა, სირბილი, თამაშობა და სხვა... მოზრდილნი (შინ მჯდომი, მკერავი, მეწაღე) ეძებენ მოსვენებას სეირნობაში, – რომლის დროსაც იმ კუთებს ამოძრავებენ, რომელნიც მოდუნებულნი არიან მათის ჯდომის დროს; ქალები კუთებს ავითარებენ ცეკვით, – მატროსებს ჩვეულებად აქვთ ცეკვა გემზე, – სკოლის მოწაფეები, როდესაც შინ ბრუნდებიან, ხტიან, ჰყვირიან, ხმაურობენ, იცინიან და ამით ისინი ალღოს ჩაგონებით წინააღმდეგობის კლასში ჯდომის და სიჩუმის მიერ წარმოშობილ მავნებელ მხარეებსა... ამის გამო ძლიერ ცუდია, როდესაც ბავშვებს სკოლიდამ შინ დაბრუნების დროს მასწავლებლები მეტის მეტად სულს უხუთვენათასგვარ გარდამეტებული შენიშვნებით!! არ უნდა დავივიწყოთ, რომ გულის და ფილტვების გაძლიერებული მუშაობა მეტად საჭიროა ჭაბუკის სხეულის წესიერის განვითარებისათვის... კუთების მოძრაობასთან შეერთებულია სუნთქვის რაოდენობის გაძლიერებაც, ამის მეოხებით ფილტვების ყველა ნაწილები მუშაობენ – სისხლი ბლომად მიიღებს მჟავბადს... ნივთთა ცვლა მატულობს და სხვა... როდესაც ადამიანი დასვენებულია, მის სუნთქვის რაოდენობა ერთს წუთში 16-ჯერ სწარმოებს და ფილტვებში ჩადის მლიტრა ჰაერი; სირბილის ჟამს კი – ფილტვებში ჩადის 5-7 ჯერ მეტი ჰაერი წუთში. ეს საკეთილო მოვლენა გაძლიერებული გაწმენდა ფილტვებისა, უფრო შესაძლოა ცურაობის დროს, სირბილის და თამაშობის ჟამს და მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქალებისათვის, რომელთა ფიზიკური განვითარებას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, რადგან ამ უკანასკნელთ, თუ ისინი ფიზიკურად განვითარდებიან, ჩვეულებრივი სისხლნაკლებობა აღარ გაუჩინდებათ... თუ ბავშვი სკოლაში დიდ ხანს მის, ის იმავე დროს ზერელად სუნთქავს და მის ფილტვებში ცოტა მჟავბადი ჩადის... მისთვის აუცილებლად საჭიროა მოძრაობა მთელის სხეულისა, – რომ უკანასკნელმა შეიძინოს ის, რაც დააკლდა ჯდომის დროს... პატარა ბავშვებისთვის გამოსადეგია სხვა და სხვა თამაშობანი, – ხოლო ჭაბუკთათვის – უფრო რთული გიმნასტიკური მოძრაობანი... მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ დაცული იქმნას ზომიერება, რომელსაც არ შეუძლია გამოიწვიოს მეტად მავნებელი დაქანცულობა. ზომიერად დაგონიერულად შესრულებული თამაშობანი და მოძრაობანი წესიერს დონეზე აყენებენ სხეულში სისხლის მოძრაობას, – ხელს უწყობენ მის ზრდას და განვითარებას, სობენ მცონარებას, გაუბედობას, აფრთხილებენ ბავშვებს, აძლევენ

მათ სასიცოცხლო ენერჯიას. შემდეგნი ძირითადი დებულებანი უნდა უსათუოდ შევასრულოდ ფიზიკურ მოძრაობის ჟამს. ა) თითოეულს კუთხს უნდა მივცეთ საშუალო ხარისხის სამუშაო, – რომელსაც ის ადვილად შეასრულებს... ძლიერ მავნებელია ჯანის სისაღისთვის, – როდესაც ადამიანი ბევრს ძალას ხარჯავს მოძრაობის დროს. ბ) უნდა ვცვალოთ, რომ პატარა ბავშვების გულის მკერდის განვითარებას ხელი არ შევუშალოთ. მკერდის განვითარებას ძლიერ ხელს შეუწყობს მოძრავი თამაშობანი ჰაერზე. ამ თამაშობათა დროს უფრო მეტი მუშაობა ხვდებათ გულსა და ფილტვებს, – რაც მათ განვითარებას ხელს შეუწყობს... გიმნასტიკა ამ მხრით ეგრე სასარგებლო არ არის. ბავშვისთვის 10-15 წლამდის ძლიერ გამოსადეგია სირბილი, ბურთობა, ხტუნობა და ცურაობა. მხოლოდ 15 წლის შემდეგ, როდესაც სხეულის ჩონჩხი გამაგრდება, შესაძლოა ჭაბუკებმა შეასრულონ სხვა და სხვა რთული გიმნასტიკური ვარჯიშობანი ძალის შესაძენად და აგრეთვე ტანის მოქნილობის და ნების ძალთა განსავითარებლად... ყოველივე, რაც ამის გარეშეა, უსარგებლოა და „ემაკისაგან არს“. გ) ფიზიკურს ვარჯიშობებს აქვსთ ეთიური (ზნეობრივი) მნიშვნელობაც. მათის მეოხებით ჭაბუკი შეიძენს გარეგნობის სიმშვენიერეს, ტანის მოქნილობას, ადვილ მიხვრა-მოხვრას, სითამამეს, გამბედაობას. ჭაბუკი ეჩვევა თავის სხეულის ნაწილთა თავისუფლად მოხმარებას... ისინი აძლევენ ადამიანს, გონებითი მუშაობით დაღლილს, სასიამოვნოდ დასვენებას.

მაგრამ აღზრდის ამ მხარეს ბოლო დრომდის არ აქცევდნენ ყურადღებას. საბერძნეთში ძველად (სპარტაში განსაკუთრებით) თამაშობითა და გიმნასტიკურ ვარჯიშობათა წარმოებას ძალიან დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. აგრეთვე დიდს ყურადღებას აქცევდნენ ფიზიკურს განვითარებას რომაელები. ძველი სკვი-

თები და გერმანელები მეტად დაინტერესებულნი იყვნენ ახალთაობის ფიზიკური აღზრდით. შუა საუკუნეებში ახალთაობის ფიზიკურს აღზრდას ნაკლებს ყურადღებას აქცევდნენ. მეცხრამეტე საუკუნეში მოზარდი თაობის ფიზიკურს აღზრდას მიაქცია დიდი ყურადღება ავსტრიელმა განათლებულმა პირმა და ჰიგიენის ტმა პეტერ ფრანკმა, რომელმაც ბევრი იშრომა ხალხის ჯანის სისაღისთვის... ის ჰქადაგებდა არა თუ მარტო გიმნასტიკურ ვარჯიშობათა, – არამედ მოწაფეთა სკოლის გარეშე სეირნობათა და მოგზაურობათა მოწყობის საჭიროებასაც. იმის შემდეგ თითქმის ყოველს სახელმწიფოში მიექცა ყურადღება ახალთაობის ფიზიკურს განვითარებას, უფრო კი ინგლისში და იაპონიაში.

◀
ზომიერად და გონივრულად უნარულეული თაგაშოგანი და მოძრაოგანი წჷსნიერს დონეჷა აჷნეგენ სხეულში სისსლის მოძრაოგას, – ხელს უწყოგენ შის ჷრდას და განვითაროგას, სჷოგენ გშონაროგას, გჷგედლოგას, აჷრთსნილოგენ გჷგჷგას, აჷლუგენ გათ სსნისოგსლო ენერგოგას.



» **სწორად აწინდელი
მიმანსტიკის ზომიერი
პარკიომიანი
მიმინარკომენ შორკად
და არ ინჰევენ მოწაფის
გულში ამ საგინსადგი
სიჰპარულსა.**

არაფერი არ შეედრება თავისუფალს ფიზიკურს ვარჯიშობებს და თამაშობათა... პედაგოგებმა შენიშნეს, – რომ თამაშობანი და გიმნასტიკური ვარჯიშობანი მეტად ხელს უწყობენ ბავშვის ხასიათის განვითარებას. მათის მეოხებით ბავშვები აღარ ზარმაცობენ, – გულგრილად აღარ ეკიდებიან სწავლის შეძენას, უდროვოდ სქესებრივად აღარ ვითარდებიან, აღარც ჯიუტნი და გაუგონარნი არიან, პრანჭვა-გრეხასაც აღარ მისდევენ. მათის მეოხებით ბავშვები გულის ყურით ეკიდებიან სწავლას, და იძენენ ჩვეულებას უმეტესობის ინტერესთა სასარგებლოდ შრომისას. იქ სადაც თამაშობანი გამეფდნენ, – სინაზე-სათუთობას ადგილი აღარ აქვს, – არც მოშიშობას, – უკუგდებულ იქმნენ ხელთათმანები, ყელსახვევები და შალეები; ახალთაობას მიეცა საღი ფერი; მისი სხეული გამაგრდა იმდენად, რომ აღარ ეშინია გაცივებისა, ამ მრავალ სნეულებათა გამომწვევ მიზეზისა... მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სასკოლო გიმნასტიკა უნდა განსხვავდებოდეს მოზრ-

დილთა გიმნასტიკიდან... ამის მიხედვით, – საბავშვო ბაღებში და სასკოლო ჰასაკის პატარა ბავშვებისთვის ძლიერ კარგი იქნება იმართებოდეს თავისუფალი მოძრავი თამაშობანი სიმღერითურთ... საშუალო სკოლის უმცროს კლასის მოწაფეთათვის კარგია თავისუფალი მოძრაობანი და წესიერი ვარჯიშობანი სხვა და სხვა თამაშობასთან ერთად... მხოლოდ საშუალო სკოლის უფროსი კლასის მოწაფეებს შეუძლიათ ივარჯიშონ სხვა და სხვა საგიმნასტიკო იარაღებზე, – მაგრამ უნდა გვახსოვდეს, – რომ აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს სხვა და სხვა ჯამბაზურს ვარჯიშობებს...

მეტად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა გიმნასტიკასაც. ქალებს კუთები სუსტი აქვთ, ტანი – სათუთი, – თეძოს თავები – განიერი, ხოლო გულ-მკერდი ვიწრო... ქალთათვის არ გამოდგებიან ყველა ის გიმნასტიკური ვარჯიშობანი, რომელნიც ვაჟთათვის არიან დანიშნულნი... ქალის სხეული არაა ისე მოწყობილი, – რომ ფიზიკური ძალები გააძლიეროს... ქალთათვის,



რომ მათი ჯანის სისალე უზრუნველ იქმნას, მეტად გამოსადეგნი არიან შემდეგნი ვარჯიშობანი: ვარჯიშობანი ლატანის საშუალებით, რაც ამოდრავებს ტანისა და ფეხების კუთებს; ხელით სახმარი ნივთებით ვარჯიშობანი, – ბურთაობა, – „სერსო“ (ჯოხებით რგოლების სროლა), ხტუნაობა და სირბილი.

ზაფხულობით ქალთათვის ძლიერ სასარგებლო იქნება ამ ვარჯიშობათა გარდა ცურაობაც, სირბილი და თამაშობანი, ხოლო ზამთრობით – ყინულზე სრიალი... გიმნასტიკის მასწავლებლად ქალთათვის უნდა დაინიშნოს ქალი, რომელსაც ქალები ყველაფერს ეტყვიან, რაც მათ სხეულს შეეხება. დედათა წესის ჟამს ქალებმა გიმნასტიკურს მოძრაობას თავი უნდა დაანებონ.

ფიზიკური ვარჯიშობანი და თამაშობანი უნდა ყოველს დღეს სწარმოებდენ... მაშინ ყოველივე ეს მოწაფეს ჩვეულებად გადაექცევა... ჯანის სისალისთვის ის უფრო აჯობებს, – უკეთუ გიმნასტიკის გაკვეთილებს დანიშვნენ სადილის წინ. ჭამის შემდეგ გიმნასტიკის გაკვეთილი მეტად მავნებელია... გიმნასტიკურმა მოძრაობამ უნდა ავარჯიშოს სხეულის ყველა კუთები... აწინდელი გიმნასტიკა, სამწუხაროდ, ავარჯიშებს მხოლოდ მხრების და გულმკერდის კუთებს... ხშირად აწინდელი გიმნასტიკის ზოგიერთი ვარჯიშობანი მიმდინარეობენ მშრალად და არ იწვევენ მოწაფის გულში ამ საგნისადმი სიყვარულსა. აი რა წესები შეიმუშავეს ავსტრიაში 1897 წელსა „დარნიგების“ სახით გიმნასტიკის მასწავლებელთათვის: ა) გიმნასტიკა საშუალებაა ძალის და ტანის მოქნილობის განვითარებისთვის და არა თვითმიზანი; ბ) გიმნასტიკას უნდა ასწავლიდეს ერთი მასწავლებელი; გ) მასწავლებელმა უნდა ხშირად შეამოწმოს საგიმნასტიკო იარაღები; დ) გიმნასტიკური წვრთნა არ უნდა იყოს დამყარებული ძალადობაზე; მოწაფეებს უნდა მოვთხოვოთ სიჩუმე მხოლოდ წესიერ და თავისუფალ

მოძრაობათა ჟამს; ე) უნდა მოერიდო არა ბუნებრივს ვარჯიშობას და სამხედრო წყნარს მოძრაობას; ვ) ვინც მშობარაა, მასზე უნდა იმოქმედო წახალისებით, – ხოლო წესის დამარღვეველთ კი თავი უნდა დაუჭირო; ზ) ბავშვები დაღლილობამდის არ უნდა ავარჯიშო; ც) უნდა ერიდებოდე ყველაფერს, რაც მავნებელია ჯანის სისალისთვის: უწმინდურს ჰაერს, მტვერს, ძლიერ სიცხეს და სიცივესა; თ) უნდა შემოიღო – საგიმნასტიკო ფეხსაცმელი, იქონიო საუკეთესო მასალისგან შემზადებული – ლეიბები; ი) ის ვარჯიშობანი, რომელთ დროს ბავშვები ხურდებიან, არ უნდა მოახდინო გაკვეთილთა გათავებისას, და არც უნდა დაასვენო ისინი უეცრად გაფიცებულ მოძრაობის შემდეგ; ია) დაღლილ ბავშვებს არ უნდა მისცენ ნება – წყლის დაღვევისა; იბ) გიმნასტიკი დამატავის უფლება შეიძლება მხოლოდ იმ ბავშვებისა, – რომელთ ნაკლებუღვევანებანი სახელმწიფო ექიმისგან იქნება შემოწმებული.

ჭაბუკთა ფიზიკური განვითარებისთვის მეტად საჭირონი არიან შემდეგნი ვარჯიშობანი და მოძრაობანი.

- ა. გასეირნება ფეხით ქალაქს გარეთ ძლიერ კარგი საშუალებაა... სეირნობა უნდა იყოს მარტივი, სადა, – ისე რომ მასში ღარიბმა ბავშვებმაც მიიღონ მონაწილეობა... სეირნობა ისე უნდა მოეწყოს, რომ უფროსი კლასის მოწაფეებმა მეტი მანძილი გაიარონ, – ხოლო უმცროსი კლასებისამ კი – ამ მანძილის ნახევარი.
- ბ. ... მთებზე აღსვლა – ძლიერ კარგია მოზრდილთათვის, მხოლოდ ისე კი, რომ მოწაფეები იყვნენ მასწავლებლის მხედველობის ქვეშ... უნდა მოერიდონ გაცივებას, მოსალოდნელს უბედურს შემთხვევებს, ნამეტანს და ქანცვას... ისე კი მთებზე ასვლა, უკეთუ ის სწარმოებს თან და თანობის დაცვით და ჯეროვანის სიფრთხილით, მეტად სასარგებლოა

არაფერი არ შეეძლება
თავისუფალ ფიზიკურს
ვარჯიშობებს და
თავაშობათა...
კვლავ გვახსენებენ,
– რომ თავაშობანი
და გიმნასტიკური
ვარჯიშობანი გულს
ხელს უწყობენ გავაშვის
ხასიათის განვითარებას.
მათის გეოგრაფიით გავაშვი
ალარ ზარბაზნებზე,
– გულგრილად ალარ
ეკილვიან სწავლის
შეძენას, უღრმოვოდ
სქესებრივად ალარ
ვითარღვიან, ალარს
ჯიუშნი და გაუგონარნი
არიან, პრანჭვა-გრეხასას
ალარ მისღვევენ.



>> არაა საკმარისი მხოლოდ
 მიმანათლებელი, რომელიც
 მიგაჩვიოს მოქმედებას
 წარმოადგინს. ძლიერ
 პარტნიორს თანაშემწე
 ნების უპრობლემოდ
 ნიჭის გამოგებას უნდა,
 რომელიც
 განხორციელდება
 ჩვენის სხეულის ყველა
 ნაწილის მოქმედებით...
 თანაშემწე ყველა უნდა
 მიიღოს მონაწილეობა;
 ჯან-ღონით სუსტება უნდა
 აღირჩიონ თვის ძალთა
 შესაფერისი თანაშემწე.

ჭლერქიანთათვის, მსუქანთა და გულით
 ავადმყოფთათვის და სხვა... (გაიხსენეთ
 ექიმის ერთგულის მეთოდი).

2. ... სეირნობა მინდვრებში და ტყეებში
 ძლიერ ხელს შეუწყობს ბავშვის გან-
 ვითარებას. ის გააძლიერებს გულსა,
 ფილტვებს და კუთხებს, გაამახვილებს
 გრძნობათა ორგანოებს, შეასწავლის
 სიარულს, — განავითარებს დაკვირვების
 ნიჭს და ბუნების სიყვარულს, გააფარ-
 თოებს მათს ცოდნას ბუნების შესახებ...
 მხოლოდ საჭიროა წინ და წინ შემუშა-
 ვებულ იქმნას გეგმა, განიმარტოს მიზანი
 და ხანგრძლივობა სეირნობისა, ღამის
 გათევის ალაგი და დასვენების საათები,
 დრო სადილისა და ვახშმისა და სხვა...
 სმის დროს მოწაფეები ფრთხილად უნ-
 და იყვნენ. სპირტნარევისას მელეები მო-
 წაფეებს არ არგებს, — მაგრამ არც ყველა
 წყალია მათთვის ყოველთვის გამოსა-
 დეგი: არიან მღვრიე წყაროები; არ ვარგა
 ბევრი წყლის სმა და არც ნამეტანი ცივი
 წყლის ხმარება, განსაკუთრებით მაშინ,
 როდესაც ტანი გახურებულია და სუნთ-
 ქვა თავის დონეზე არაა დასული.
3. საბავშვო დღესასწაულები ხელს შეუწყ-
 ყობენ სულის და სხეულის გახალისებას,
 უკეთეს იმართებიან წესიერად და არა
 თეატრალურად... ძლიერ ცუდია, თუ ამ
 დღესასწაულებს თან მოჰყვება ბავშ-
 ვების დაქანცულობა, სიზანტე, გონების
 დაფანტულობა, შური იმამხანაგთადმი, —
 რომელთაც ქება და იმსახურეს და სხვა...
 თუ ეს შავი მხარე მოჰყვებათ ამ დღესას-
 წაულებს, — ათასწილად აჯობებს ისინი
 სრულიად არ იქმნან გამართულნი.
4. ჭაბუკური თამაშობანი გიმნასტიურს
 ვარჯიშობებთან ერთად ფრიად ანვი-
 თარებენ ახალთაობას ფიზიკურად.
 სკოლაში დიდი ხნით ჯდომის და ან შინ
 გაკვეთილთა სწავლის შემდეგ — სხე-
 ულის ყველა ნაწილებს სწყურიათ მოძ-
 რაობა. — მთელს სხეულს კი — გახალი-

სება, გამოცოცხლება, ხოლო ფილტვებს
 წმინდა ჰაერი... არაა საკმარისი მხო-
 ლოდ გიმნასტიკა, რომელიც მიბაძვით
 მოქმედებას წარმოადგენს. ძლიერ კარ-
 გია თამაშობაც: ნების შემოქმედებითი
 ნიჭის გამოხატველია, რომელიც გან-
 ხორციელდება ჩვენის სხეულის ყველა
 წევრების მოქმედებაში... თამაშობაში
 ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა;
 ჯან-ღონით სუსტებმა უნდა აღირჩიონ
 თავის ძალთა შესაფერისი თამაშობანი;
 ქალებმაც უნდა ივარჯიშონ სხვა და სხვა
 თამაშობანი... მაგრამ პატარა ქალებს
 რომ თოკებზე თმად უყვართ, ის კი არ ვარ-
 გა: ეს თამაშობა მეტად არყვეს ტვინს და
 სტომაქსის შინაგანს ნაწილებს... არ უნდა
 დავივიწყოთ, რომ მეტის მეტი გატაცება
 სპორტით მავნებელია... ამ გატაცების
 შედეგია ხშირად ცივება, სისუსტე, შარ-
 დის შეცოტაცება, კუთხების ტკივილი,
 უმადობა და კუჭ-ნაწლევების მოშლა.

5. ცეკვა, ფარიკაობა, ცხენით სიარული —
 ყველასათვის მისაწოდომი არ არის... ცეკ-
 ვის სწავლების აწინდელი წესი — გმო-
 ბის ღირსია. ცეკვას ასწავლიან ისეთი
 მასწავლებლები, რომელნიც არც ერთ
 სხვა ასპარეზზე არ გამოდგნენ. ისინი ას-
 წავლიან ბავშვებს ცეკვას და ყბედობას
 და ყურადღებას კი არ აქცევენ სხეულის
 და სიარულის სისწორეს. კარგია, რომ
 ცეკვას ქალებს ცალკე ასწავლიდნენ და
 ვაჟებს ცალკე... მაშინ უფრო შეიძლება
 საქმის გაუმჯობესება. პატარა ბავშვე-
 ბისთვის ცეკვის სწავლება აღკრძალუ-
 ლია ბევრგან.
6. ისრის სროლა, ნავოსნობა და „ბორბალ
 ფეხით“ (ველოსიპედით) სიარული — ყვე-
 ლასათვის ხელმისაწვდომი არაა. ეს ვარ-
 ჯიშობანი სასარგებლონი არიან ჯანის სი-
 საღისათვის. ბორბალფეხით სეირნობა
 შეიძლება მხოლოდ სწორს და უმტკერო
 გზით... გონივრული და ზომიერი (არა და-
 ქანცულობამდის) სიარული ბორბალ-



შესაძლებელია, რომ ზომს ამ პარაჯიომოგებამ სარგებლობის ნასვლად ზარალის მისცეს. ყველას უნდა ახსოვდეს ის, რომ „ყოველივე ფიზიკური პარაჯიომოგა, – თუ მას გორგოტად ხმარობენ, გავნებელია“ ... ყველაფერს სჯობია ზომიერება...

ფეხით უმჯობესია ბევრს გიმნასტიურს მოძრაობაზე, რომელთა შესრულება შეიძლება დახურულს ოთახებში... გატაცებულ უზომოდ მოძრაობას ბორბალფეხით შეუძლია გამოიწვიოს დაღლილობა, გულის სიგანივრე, თირკმელების სნეულება (შარდში ცილი), გულის ფრიალი, ნაფაზი, სიმძიმე სტომაქში და სხვა... თირკმელებით და გულით დასნეულებულთათვის ბორბალფეხით სეირნობა – საშიშია. მეტად კარგი იქნება, რომ მჭაბუკმა და მოხუცებულმა, სანამ ბორბალფეხით სიარულს დაიწყებდეს, რჩევა ჰკითხონ ამის შესახებ ექიმსა...

ს. ცინულზე ცურაობა, თხილამურებით სირბილი და ცურვა – მეტად სასარგებლო ვარჯიშობანია. ბანაობა წყალში – შესძენს ადამიანს სხეულის კანის სისუფთავს. უსუფთაო კანი – სხვა და სხვა სნეულებათა წყაროა. კანის მოვლა მაინც ძლიერ აბუხად აგდებულია და განისაზღვრება მხოლოდ ხელებისა და პირის დაბანვით. ბევრგან ტანის სისუფთავის (სკანდინავიასა და იაპონიაში) ხმარობენ ცხელ აბაზანებს (ვანნებს), მაგრამ ისე კი რომ ცხელის წყლიდან გამოსვლის შემდეგ ტანს იგრილებენ ცივი წყლით. ამის მეოხებით გაცივება შეუძლებელია... ცივი წყალი აღიზიანებს სხეულის კანს, შეკუმშავს კანის ძარღვებს დროებით და ამის შემდეგ კი სისხლი კვლავ სიძლიერით აწვება კანსა და გამოიწვევს სასიამოვნო სითბოსა. ცივ წყალში დიდს ხანს ყოფნას სხეული ვერ გადაიტანს: მას ბევრი სითბო წაერთმევა. 160 საფეხურზე ქვემოდ ცივ წყალში ბანაობა შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვინც შეჩვეულია ცივს წყალზე, – მაგრამ ამ შემთხვევაშიც არავინ არ უნდა დარჩეს წყალში 4–5 წუთზე მეტსა; ბავშვები კი 10–12 წლამდის მეტად ცივს წყალში ბანაობა (160 ქვემოდ) ავნებს, თუ ასეთ წყალში ბანაობას არ შეეჩვიენ

თანდათანობით და სიფრთხილით... სხეულის სისუფთავის დასაცველად და მის გასამაგრებლად ბევრგან ევროპაში შემოღებულია სასკოლო „დუშები“, რომელთა გამოართვა უფრო მოსახერხებელია და იაფი ცვდება შედარებით, ტანის სისუფთავისთვის კი „დუში“ – ერთი საუკეთესო საშუალებაა თანაგანია. ინგლისში ძლიერ გავრცელებულია სახალხო სკოლებთან „საბანაო აუზები“... მათში ბავშვები ცურვას სწავლობენ... ბავშვები ამის მეოხებით არა თუ მხოლოდ თავის სხეულს გაიმაგრებენ, – არამედ ეჩვევიან სისუფთავს და თხოულობენ მშობლებისაგან სუფთად შენახვას და სუფთად ჩაცმას... გავრცელებულია ზღვის ნაპირს მდებარე ქალაქებში ზღვაში ბანაობაც. ყველასათვის როდია ზღვის წყალი გამოსადეგი. ზღვის წყალი შველის სნეულს ბავშვებს, – რომელთაც აქვს ინგლისური ავადმყოფობა (რახიტი) და დასუსტებულნი არიან ხანგრძლივი სნეულებისაგან, მაგრამ ზღვის წყალი მავნებელია ნერვებით დასუსტებულთა, გულით სნეულთა და თირკმელებით დაზიანებულთათვის.

სანამ გიმნასტიკის სწავლებას შეუდგებოდეს ბავშვი, საჭიროა ექიმს გაეშინჯოს. ის გადაწყვეტს: შეუძლია თუ არა მას გიმნასტიური ვარჯიშობანი. შესაძლებელია, რომ ზოგს ამ ვარჯიშობებმა სარგებლობის ნაცვლად ზარალიც მისცეს. ყველას უნდა ახსოვდეს ის, რომ „ყოველივე ფიზიკური ვარჯიშობა, – თუ მას ბოროტად ხმარობენ, მავნებელია“... ყველაფერს სჯობია ზომიერება... თუ ვარჯიშობა დაღლილობა – დაქანცულებას გამოიწვევს, არ ვარგა: სარგებლობის მაგივრად, ის მავნარალებელი შეიქმნება. სულ სხვაა ზომიერი დაღლილობა, რომლის შემდეგ სხეული ადვილად ჩადის თვის კალაპოტში.

აღნიშნული მასალის მომუშავე იყო სარკლავსკო პოლივინო გალლოვას უხლის თეონა სილვაგაქის



გერიკა უპაკიკა

მასშტაბულთა პროფესიული განათლების
პროვინციული ხელისუფლების დირექტორი

ხარისხიანი ფიზიკური განათლება სკოლაში



» ფიზიკური წინვნიერება
ფიზიკური განათლება
სკოლურ განათლება
არის ერთადერთი გზა ფიზიკური
შესაძლებლობის გასაძლიერებლად
და ფიზიკური კომპეტენციის
საგანმანათლებლო
პროცესში,
კომუნიკაციის,
სოციალური გარემოში,
რაც იძლევა წარმატების
განაღებებს 21-ე საუკუნეში.

თანამედროვე საგანმანათლებლო კონცეფციებში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს ბოლო დროს დიდი ყურადღება ეთმობა, თუმცა ხარისხიანი ფიზიკური განათლებით მოსწავლეთა უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში კვლავ გამოწვევად რჩება. ფიზიკური განათლების ხარისხის მაჩვენებელმა დაიწია მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში. ფიზიკურმა უმოქმედობამ განსაკუთრებით მოიმატა პანდემიის დროს და თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, აუცილებლად გამოიწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს. აუცილებელია შესაფერისი საგანმანათლებლო ზომების მიღება, რათა სპორტმა დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი სასკოლო კურიკულუმში და, ზოგადად, ადამიანის ცხოვრებაში.

ხშირად ჩნდება ხოლმე კითხვა — რატომ უნდა ჩაიდოს ინვესტიცია ფიზიკურ თუ სპორტულ განათლებაში?

ფიზიკური წინვნიერება / ფიზიკური განათლება / სპორტული განათლება არის ერთადერთი მკაფიო შესაძლებლობა სასკოლო კურიკულუმში, რომელიც რთავს სხეულისა და ფიზიკურ კომპეტენციებს ღირებულებებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პროცესში, კომუნიკაციაში, სოცი-

ალურ გარემოში, რაც იძლევა წარმატების განაღებებს 21-ე საუკუნეში.

ფიზიკური წინვნიერება ხარისხიანი ფიზიკური განათლების მიღების საფუძველია, რომელიც მიიღწევა უფრო ადვილად, თუ მოსწავლეებს ექნებათ ასაკისა და საჭიროებების შესაბამისი შესაძლებლობები. მათი ინფორმირება უნდა ხდებოდეს ადრეული ასაკიდან მთელი სასკოლო წლების განმავლობაში. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის ფიზიკური განვითარება, დარგის სპეციალისტები დიდ ძალისხმევას დებენ ფიზიკური წინვნიერების მხარდასაჭერად. ადრეულ ასაკში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება გულისხმობს სხვადასხვა სახის აქტიური თამაშების მიზნობრივად შეთავაზებას ყოველდღიურად, როგორც სირბილი, ხტომა, ცოცვა, ცეკვა. ფიზიკური წინვნიერების ხელშეწყობა უნდა დარჩეს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ფიზიკური განათლების სასწავლო გეგმაში სკოლამდელი თუ ზოგადი განათლების საფეხურზე.

აკადემიური მიღწევების თვალსაზრისით, ხარისხიანი ფიზიკურ განათლებასა და სხვადასხვა სახის სპორტულ აქტივობებში

მოსწავლეების რეგულარულ მონაწილეობას შეუძლია, მკვეთრად გააუმჯობესოს ბავშვის ყურადღების კონცენტრაცია და კოგნიტური უნარები.

სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით, ხარისხიანი ფიზიკური განათლება არის პლატფორმა საზოგადოების ფართო მასებთან ინტეგრირებისთვის, სტიმებისა და სტერეოტიპების დაძლევისთვის.

თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ხარისხიანი ფიზიკური / სპორტული განათლება არის საფუძველი, მთელი სიცოცხლის მანძილზე მონაწილეობდე ფიზიკურ აქტივობებში. გლობალურად, სიკვდილიანობის მაჩვენებელი აქტიურად არის დაკავშირებული ისეთ დაავადებებთან, რომლებიც გადამდები არაა და გამოწვეულია ფიზიკური უმოქმედობით, როგორცაა ტარბი წონა, გულის დაავადება, ინსულტი, კიბო, ქრონიკული რესპირატორული დაავადებები და დიაბეტი. სიკვდილიანობის ნ-დან 10%-მდე გამომწვევებზე მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკური უმოქმედობა.

იმისათვის, რომ სკოლაში სპორტით/ფიზიკური აქტივობებით სრული სარგებელი მივიღოთ, ბუნებრივია, საჭიროა საჯარო ინვესტიცია, დამხმარე გარემო და მაღალი ხარისხის პროგრამის მიწოდება ახალგაზრდებისთვის.

მსოფლიოს სპორტის მინისტრთა კონფერენციისა და ბერლინის 2013–UNESCO–ს დეკლარაციის შესაბამისად, „ფიზიკური განათლება–სპორტი ყველაზე ეფექტურია და მას მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც ხდება ყველა ბავშვისა და ახალგაზრდის უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებების, ღირებულებების, ცოდნისა და გააზრების უზრუნველყოფა ფიზიკური განათლების სარგებლიანობის შესახებ, შესაძლებელია ამგვით ისინი საზოგადოებაში ინტეგრირებული იყვნენ მთელი ცხოვრების მანძილზე“.

ამ ყოველივეს მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა:

- დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ხარისხიანი ფიზიკური განათლება არის სკოლის საგანმანათლებლო შინაარსისა და პროგრამების ძირითადი შემადგენელი ნაწილი;
- წახალისებული უნდა იქნეს ხარისხიანი ფიზიკური განათლების ინკლუზიური და ინოვაციური მიდგომები;
- სექტორთაშორისი კონსულტაციების გაღრმავება უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ წამყვან პრიორიტეტს;
- ინვესტიციები უნდა ჩაიდოს ამ მიმართულებით მასწავლებელთა განათლებასა და პროფესიულ განვითარებაში;
- მხარი უნდა დავუჭიროთ სკოლისა და თემის სპორტულ პარტნიორობას.

ხარისხიანი ფიზიკური / სპორტული განათლების უზრუნველყოფისთვის, საჭიროა შემუშავდეს სამოქმედო სტრატეგია, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება, როგორც ხარისხიანი ფიზიკური განათლების გზამკვლევი და მაკოორდინირებელი. ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს, ვინაიდან მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ დღეს არის მკაფიო საშიშროება იმისა, რომ ცნება „ფიზიკური განათლება“ თანდათან გაქრეს მთელ მსოფლიოში, მაშინ როცა ფიზიკური უმოქმედობის დონის მომატება ხელს უწყობს დაავადებათა გაჩენის რისკის მომატებას და დღეს ამას ერთგვარად შეუქცევადი ხასიათი აქვს.

წინასწორი

იუნესკომ ბოლო წლებში გაააქტიურა ფიზიკური განათლების პოლიტიკის განვითარების აუცილებლობა, რითაც, ფაქ-

გლობალურად, სიკვდილიანობის მაჩვენებელი აქტიურად არის დაკავშირებული ისეთ დაავადებებთან, რომლებიც გადამდები არაა და გამოწვეულია ფიზიკური უმოქმედობით.



» ფიზიკური განათლება – სპორტი ყველაზე უფაქტურია და მას გენიშნულა ენიჭება გაუინ, როდესაც ხდება ყველა გავშვისა და ახალგაზრდის უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებების, ლირებულებების, ცოდნისა და გააზრების უზრუნველყოფა ფიზიკური განათლების სარგებლიანობის შესახებ, შესაძლებელია ამ გზით ისინი საზოგადოებაში ინტეგრირდებიან იყვნენ მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ტობრივად, მოხდა ფიზიკური განათლების გაუმჯობესების საჭიროების აღიარება. ეს დადასტურდა იმითაც, რომ ფიზიკური განათლება გამოიყო როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი.

ფიზიკური / სპორტული განათლების გლობალური მნიშვნელობა სულ უფრო მეტად არის აღიარებული მთავრობებისა და განვითარებაზე ორიენტირებული აქტორების მიერ. აღსანიშნავია 2001 წლიდან გაეროში სპორტის განვითარებისა და მშვიდობისთვის სპეციალური მრჩეველის არსებობა, 2013 წლიდან კი ნ აპრილი დაწესდა, როგორც სპორტის განვითარებისა და მშვიდობის საერთაშორისო დღე გაეროს ასამბლეის მიერ.

მიუხედავად არაერთი პოზიტიური ინტერვენციისა, ფიზიკური განათლების პოლიტიკა მთელ მსოფლიოში კვლავ რჩება არათანმიმდევრულ პროცესად. 2010 წელს იუნესკოს ფიზიკური განათლებისა და სპორტის მთავრობათშორისმა კომიტეტმა მიმართა სხვადასხვა გზას, რომ გაეძლიერებინა ამ სფეროში მთავრობების შესაძლებლობები და მათი გავლენა.

გასათვალისწინებელია სხვადასხვა რეგიონისა და ქვეყნის პოლიტიკისა და პრაქტიკის სპეციფიკა, რაც გამომდინარეობს ქვეყნებისა და რეგიონების მრავალფეროვანი საგანმანათლებლო, პოლიტიკური, გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლიდან. სწორედ ამ მრავალფეროვნების გათვალისწინებით, იუნესკომ ჩაატარა კვლევა, რომლის ძირითადი მიზანიც იყო ხარისხიანი ფიზიკური განათლების ტენდენციებისა და ძირითადი თანამედროვე საკითხების იდენტიფიცირება და უნივერსალური პრინციპების გამოკვეთა, რომლებიც, შესაძლებელია, მიღებულ იქნეს და ადაპტირებული იყოს სტანდარტულ სავარჯიშოებთან, ასევე, რეგიონთან დაკავშირებული კონტექსტის გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად, 200-ზე მეტი ქვეყნიდან და ავტონომიური რეგიონიდან შეგროვდა თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები. კვლევა მიმდინარეობდა 2 წლის განმავლობაში როგორც პოლიტიკის, ასევე, პრაქტიკის დონეზე. მოხდა მონაცემების გაანალიზება და ეს მონაცემები დაიყო კატეგორიების მიხედვით, სამ ურთიერთდაკავშირებულ ჯგუფში, რომელიც შემდეგნაირად ფორმულირდა:

- **ძირითადი საჭიროებები:** რომელიც გულისხმობს მინიმალურ, ძირითად პირობებს ხარისხიანი ფიზიკური განათლების უზრუნველსაყოფად.
- **ხარისხიანი ფიზიკური განათლება:** დეტალური აღწერა ყველა საჭირო მოთხოვნის შესაბამისი, დაბალანსებული, ხარისხიანი ფიზიკური განათლების პროგრამის განსახორციელებლად.
- **ხარისხიანი ფიზიკური განათლების პროგრამის მასშტაბი:** ვისთვისაც საჭიროა განისაზღვროს, თუ რა მიმართულებით არის საჭირო ტრენინგების დაგეგმვა-განხორციელება, რაც გააძლიერებს მასშტაბებელს შესაფერისი ცოდნითა და უნარებით.

რა ზომ არის ხარისხიანი ფიზიკური განათლება პრაქტიკულად გენიშნული?

განათლების მეთოდოლოგია იცვლება პრიორიტეტების, სწავლების სიღრმისა და სირთულის შესაბამისად. ხარისხიანი ფიზიკური აღზრდა იკავებს არა მხოლოდ მნიშვნელოვან/ცენტრალურ ადგილს ამ პროცესში, არამედ ის არის საერთო მიდგომის ძირითადი ასპექტი.

2015 წელს UNESCO-ს მიერ განისაზღვრა და დღის წესრიგში დადგა გლობალური მოქალაქეობის განათლების აღიარების მნიშვნელობა, შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნების მნიშვნელობა, პრობ-

ლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის მნიშვნელობა ისეთ უნარებთან ერთად, როგორებიცაა: თანაგრძნობა, გამოცდილების გაზიარებისა დამიღების აუცილებლობა, ინტერპერსონალური/კომუნიკაციური უნარები, ინტერაქცია, ურთიერთობის უნარი სხვადასხვა წარმომავლობისა და წარმოშობის ხალხთან. ხარისხიანი ფიზიკური განათლება ამ უნარჩვევების შეძენის განსხვავებულ შესაძლებლობებს იძლევა, რაც მოსწავლეს აყალიბებს თვითდაჯერებულ და სოციალურად პასუხისმგებლიან მოქალაქედ.

ხარისხიანი ფიზიკური განათლების სასწავლო პროგრამა ხელს უწყობს მიზნობრივ ფიზიკურ მოძრაობას, ამროვნების კონცენტრაციას, გრძნობების გამოხატვას, სოციო-ემოციურ განვითარებას, ასევე, ავითარებს გაგებისა და აღქმის კომპეტენციას. შეჯიბრებებისა და თანამშრომლობის საშუალებით, მოსწავლეები იაზრებენ წესებისა და სტრუქტურის როლის მნიშვნელობას პროცესში და სწავლობენ მათ პატივისცემას. ასევე, იაზრებენ სხვადასხვა დავალების შესრულების კრიტერიუმებს, რას ნიშნავს სამართლიანი თამაში და ბეიმობენ ერთმანეთის წარმატებას, ამავდროულად, პატივს სცემენ და აფასებენ გუნდური თამაშის მოთხოვნებს და იაზრებენ გუნდური მუშაობის სარგებელს.

გარდაამისა, მოსწავლეს ესმის, როგორ ამოიციოს დაროგორი რეაგირება მოახდინოს შესაძლო რისკებზე, როგორ გაართვას თავი დაკისრებულ დავალებას და აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ ქცევაზე. ისინი სწავლობენ, როგორ გაუმკლავდნენ წარმატებას და წარუმატებლობას, ასევე, აფასებენ საკუთარ საქმიანობასა და სხვა მოსწავლის მიღწევებს. სასწავლო პროცესის დროს მიღებული გამოცდილება შემოქმედებს მკაფიო, თანმიმდევრული ღირებულებების ჩამოყალიბებაზე და აძლიერებს პროსოციალურ ქცევას მოსწავლეში – მონაწილეობა მიიღოს და წარმოაჩინოს საკუთარი თავი შეჯიბრებების დროს. სწორედ ამას უნდა უზრუნველყოფდეს ხარისხიანი ფიზიკური განათლება.

UNESCO-ს მიერ ორგანიზებული კვლევა აღნიშნავს კავშირს ფიზიკურად აქტიურ ჩართულობასა და მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს შორის. აკადემიურ მოსწრებაზე გეგავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასტურდება ვარაუდიც, რომ იმ ახალგაზრდებში, რომლებიც აღწევენ რეკომენდებულ ყოველდღიური ფიზიკური აქტივობის ნორმას, პოტენცი-

სიკვდილიანობის 6-დან 10-მდე შემოქვევევი მიჯნად შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკური უმოქმედობა.



» ფიზიკური განათლება – სპორტის ყველაზე უფაქტურია და მას მნიშვნელოვანი უნიჭიერება გაუძინ, როდესაც ხდება ყველა გავფრინა და ახალგაზრდის უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებების, ლიკებულებების, სოციალისა და გააზრების უზრუნველყოფა ფიზიკური განათლების სარგებლიანობის შესახებ, შესაძლებელია ამ გზით ისინი საზოგადოებაში ინტეგრირდებიან იყვნენ მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ურად მიღწეულია გარკვეული სოციალური და აკადემიური შედეგებიც.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, ფიზიკური უმოქმედობა არის რიგით მეოთხე რისკფაქტორი სიკვდილიანობისთვის. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ფიზიკურმა უმოქმედობამ უფრო მეტად მოახდინა გავლენა მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებზე. ფიზიკურ უმოქმედობასთან დაკავშირებული შემოფოთება არის გლობალური. კვლევა აჩვენებს, რომ, ეკონომიკის ცვლილებებიდან გამომდინარე, სოციალური წესები არის მუდამ ცვალებადი. იზრდება ფიზიკური უმოქმედობის გავრცელების არეალი დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებშიც.

მსოფლიო ჯანდაცვის ასოციაციამ თავის გლობალურ რეკომენდაციებში არაერთხელ დააფიქსირა ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობა ჯანმრთელობისთვის, ასევე, დასკვნაში აღნიშნულია, რომ ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის სარგებელი 5-17 წლის ახალგაზრდებში მდგომარეობს იმაში, რომ მათ დღეში, მინიმუმ, 60 წუთი უნდა დაუთმონ ენერჯიულ ინტენსიურ ფიზიკურ აქტივობას.

პრობლემის მოგვარების მთავარი გასაღები არის საგანმანათლებლო სივრცის ხარისხიანი ფიზიკური განათლებით უზრუნველყოფა, როგორც ადრეული წლებიდან, ასევე, საბაზო-საშუალო საფეხურზე. ასევე, მოსწავლეთა ფიზიკური დატვირთვა როგორც ფორმალურ სასკოლო კონტექსტში, ასევე, მის შემდეგაც.

შედეგზე ორიენტირებული ფიზიკური განათლება და სპორტული პოლიტიკა უნდა განვითარდეს ყველა იმ მხარის დახმარებით, რომელიც დაინტერესებულია სპორტის განვითარებით, განათლების ხარისხით, ახალგაზრდების ჯანმრთელობით, მათ შორის აადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სპორტის ფედერაციები

და სპორტსმენები, ისევე, როგორც კერძო სექტორი და მედია.

UNESCO-ს რეკომენდაციების მიხედვით, რა ძირითადი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ხარისხიანი ფიზიკური განათლების უზრუნველყოფისთვის:

1. ეროვნული საჭიროებების ანალიზი, ინკლუზიური მიმართულებით გამოცდილებაზე ფოკუსირება და შესაბამისი ხარისხიანი ფიზიკური განათლების უზრუნველყოფა;
2. დაფინანსების მოდელების გადახედვა, რომლებიც დაკავშირებულია ხარისხიანი ფიზიკურ განათლებასთან და სხვადასხვა საგნის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასთან. გასათვალისწინებელია მტკიცებულებების მოპოვება ინვესტიციების დროს, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც სოციალური, ასევე, ეკონომიკური შინაარსის;
3. საკანონმდებლო ჩარჩოს ადაპტირება ხარისხიანი ფიზიკური განათლების უზრუნველყოფის მხარდასაჭერად, საერთაშორისო კონვენციებთან, დეკლარაციებთან, რეკომენდაციებთან და კარგ პრაქტიკასთან დაკავშირებით;
4. დარგთაშორისი კონსულტაციების ორგანიზება, სასწავლო გეგმების გათვალისწინებით;
5. ეროვნული სტრატეგიის შემუშავება ხარისხიანი ფიზიკური განათლების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ინსტრუმენტებითა და მექანიზმებით, რითაც შესაძლებელი იქნება გავლენის გამოძევა;
6. ცნობიერების ამაღლება იმის შესახებ, რომ ყველას აქვს წვდომა ფიზიკურ განათლებაზე;
7. კონსენსუსი ინკლუზიის ცნების ირგვლივ, სხვადასხვა საგნის ტრილში და პედაგოგიური გამოცდილების გამოარება მათ შორის, ვინც მუშაობს ახალგაზრდებთან;

- 8. კვლევების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს შედეგების მიღწევას სოციალური, საგანმანათლებლო, ეკონომიკური და ჯანდაცვის სფეროებში;
- 9. ადგილობრივი შესაძლებლობების/რესურსის მობილიზება და ინოვაციების მხარდაჭერა ხარისხიანი ფიზიკური აღზრდის უზრუნველყოფის მიმართულებით;
- 10. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა განათლების უზრუნველყოფა, ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით, ინკლუზიური პრაქტიკის თვალსაზრისით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიმდინარე სოციალური ცვლილებების გაცნობა და მოსწავლეთა წახალისება ჯანსაღი, აქტიური ცხოვრების წესში ჩართვისთვის.

სხვადასხვა ორგანიზაცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, განავითარონ თავიანთი ხედვა და სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება ინდივიდუალურ პრიორიტეტებს.

ზოგადად, ყველა სფერო უნდა ეფუძნებოდეს შეთანხმებულ, ჩამოყალიბებულ პრინციპებს, რომლებიც ასტიმულირებს სისტემის განვითარებასა და სხვადასხვა სექტორის ჩართულობას. ამგვარი კოორდინირებული და ინკლუზიური შესაძლებლობები ფიზიკურ განათლებაში ნიშნავს, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლება, მონაწილეობა მიიღოს პროცესში, ასევე, განსაზღვრული იქნება ზოგადი პოლიტიკა ფიზიკური განათლებისა და სხვადასხვა საგნის ურთიერთმიმართების შესახებ.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა, რის შესახებაც მუდმივად გაიცემა რეკომენდაციები, ასევე, შესაძლებელია არაფორმალური ინტერვენციების გამოყენება, რაც შექმნის კავშირებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის. ეს, თავის მხრივ, ხაზს უსვამს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელო-

ბას და ახალგაზრდებს ხდის მგრძობიარეს სხვა სოციალური საკითხების მიმართაც.

ხარისხიანი ფიზიკური განათლების შესახებ საუბრისას, გამოყოფენ საბაზისო სტრატეგიებს:



ინკლუზიურობა ხარისხიანი ფიზიკური განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია. UNESCO გვთავაზობს სკოლაში ამ მიმართულების მონიტორინგისთვის საჭირო მთავარ შეკითხვებს:

1. არის თუ არა სასწავლო გეგმა ინკლუზიური?
2. იძლევა თუ არა სასკოლო კურიკულუმი სამუშაო მეთოდების ცვალებადობის საშუალებას, შეესაბამება თუ არა გარემოს, სადაც ხდება მისი დანერგვა?
3. არის თუ არა ფიზიკური განათლება ყველა ბავშვზე მორგებული, დაცულია თუ არა მათი უფლებები, გათვალისწინებულია მათი მდგომარეობა სქესის ჩათვლით, არის თუ არა წახალისებული მოსწავლეთა მონაწილეობა?
4. გათვალისწინებულია თუ არა სასწავლო გეგმაში კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები?
5. არის თუ არა აღჭურვილობისა და რესურსების გამოყენება შესაძლებელი და ხელმისაწვდომია თუ არა ყველასთვის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის და გოგონებისთვის? გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლეთა

**» ზოგადად, ყველა სფერო
უნდა ეფუძნებოდეს
ეთიკურ, რაციონალურ,
რაციონალურ,
პრინციპებს, რომლებიც
ასტიმულირებს სისტემის
განვითარებას და
სხვადასხვა სექტორის
ჩართულობას. ამგვარი
კომპლექსური
და ინკლუზიური
შესაძლებლობები
ფიზიკურ განათლებით
ნიშნავს, რომ ყველა
მონაწილეს უნდა
მონაწილეობა მიიღოს
პროცესში, ასევე,
განსაზღვრული იქნება
ზოგადი პოლიტიკა
ფიზიკური განათლებისა
და სხვადასხვა სახის
ურთიერთმიმართების
შესახებ.**

- უნარები და კულტურულ ასპექტები?
6. არის თუ არა სწავლების მიდგომა დი-ფერენცირებული ყველა მოსწავლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, გათვალისწინებულია თუ არა განსაკუთრებული მოთხოვნები, მათ შორის, განსხვავებული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე ადამიანები?
 7. არიან თუ არა მასწავლებლები, რომლებიც მხარს უჭერენ ინკლუზიური პრაქტიკის პოპულარიზაციას, ჩართულები არიან თუ არა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში, სხვადასხვა სახის პროგრამებში?
 8. არსებობს თუ არა სასკოლო მიდგომები და პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას?
- ინკლუზიურობის გარდა, UNESCO გვთავაზობს სარიენტაციო შეკითხვებს სასკოლო პოლიტიკისა და პრაქტიკის მონიტორინგისთვის:**
1. არსებობს თუ არა ფიზიკური განათლების მკაფიო სტრატეგია: ადრეულ ასაკში / დაწყებით/საბაზო / საშუალო საფეხურზე?
 2. უზრუნველყოფს თუ არა სტრატეგია იმას, რომ ფიზიკური განათლება სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი ნაწილი იყოს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ფიზიკური განათლების მიღების უფლებას და ეფუძნება თანასწორობასა და ინკლუზიას?
 3. არსებობს თუ არა მკაფიო აღქმა ფიზიკურ აქტივობას, ფიზიკურ განათლებასა და სპორტს შორის არსებულ განსხვავებებსა და მათ შორის კავშირებზე?
 4. არის თუ არა შესაძლებლობა, დაინტერესებული მხარეები ჩაერთონ პოლიტიკისა და პრაქტიკის დონეზე, მათ შორის, ახალგაზრდებისთვის და მოსწავ-

- ლეებისთვის ფიზიკური განათლების / სპორტის ინტეგრირებული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში?
5. არსებობს თუ არა მკაფიო კონსენსუსი დასაერთო გაგება მათ შორის, ვინც განსაზღვრავს პოლიტიკასა და პრაქტიკას ფიზიკური განათლების პრიორიტეტებთან დაკავშირებით?
 6. არის თუ არა ფიზიკური განათლების სტრატეგია მჭიდრო კავშირში სკოლის ჯანმრთელობის სტრატეგიასთან? აერთიანებს თუ არა ეს მიდგომა უსაფრთხო სასკოლო გარემოს, ჯანსაღი კვებისა და ჯანდაცვის სერვისებს?
 7. არის თუ არა ადგილობრივად ხელმისაწვდომი პროფესიული განვითარების რაიმე ინტერვენცია ან სერვისი მასწავლებლებისთვის, რომელიც გააძლიერებს მათ პროფესიაში და მორგებული იქნება იმ ბავშვების საჭიროებებს, რომლებთანაც მუშაობენ?
 8. ასახავს თუ არა სასწავლო გეგმის შინაარსი მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და მომავალს?
 9. არსებობს თუ არა მკაფიო, ადეკვატურად დაფინანსებული სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლებსა და სპორტულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას?
 10. შემუშავებულია თუ არა პროცედურები ხარისხიანი ფიზიკური განათლების უზრუნველყოფის მონიტორინგის, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით?
 11. კეთდება თუ არა უკუკავშირი სასწავლო გეგმის რეგულარული გადასინჯვის პროცესში ახალი ხედვების მისაღებად და ხდება თუ არა გარემოებების გათვალისწინება?
 12. იძლევა თუ არა ხარისხიანი ფიზიკური განათლება და მასში ჩართული პედაგოგები რეგულარული, ეფექტური შეფასების საშუალებას?

მასწავლებელთა როლი ხარისხიანი ფიზიკური განათლების უზრუნველყოფაში

სასწავლო პროგრამა, რომელიც ვითარდება ეთიკური და პროფესიული თვალსაზრისით, არის გამართული და ღირებულებებისა და ქცევების აქცენტი გადატანილია სამართლიანობაზე, ინკლუზიბაზე, ბუნებრივია, ვერ დაინერგება ამ პრინციპების შესაბამისად მომზადებული მასწავლებლების გარეშე.

მასწავლებლებმა, კონკრეტული ინფორმაციის ფლობის გარდა, მკაფიოდ უნდა იცოდნენ თავიანთი როლის შესახებ, ბავშვების დაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. მასწავლებლებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა კვლევისა და საკუთარი შესაძლებლობების განვითარების, რაც ხელს შეუწყობს პოზიტიური პროფესიული დამოკიდებულების განვითარებას, შედეგად კი მივიღებთ წარმატებულ სასკოლო პრაქტიკას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მასწავლებლების ჩართულობა კვლევებში, რათა გაუმჯობესდეს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მნიშვნელოვანია ცოდნის გავრცელება და გაზიარება პროფესიული ქსელების მეშვეობით.

მსგავსი გარემოს შექმნაზე მუშაობისას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაბალანსებული და თანმიმდევრული სასწავლო პროგრამა განაპირობებს ცოდნის შექმნასა და გამოყენების შესაძლებლობას, მთელი რიგი პედაგოგიკური და დიდაქტიკური პროცესების ჯაჭვს, როგორცაა მართვის უნარი და სწავლების ტექნიკა, სასწავლო ამოცანებისა და სწავლების სტილის დიფერენცირება და ა.შ.

დასკვნის სახით და ხარისხიანი ფიზიკური განათლების სასკოლო მიდგომების შემუშავების წასახალისებლად, გთავაზობთ იმ ჩარჩო დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელსაც ეს კონცეფცია ეფუძნება:

პუნჯანხივი	ძირითადი ასაქმში, როგორც შეესაბამება ხარისხიან ფიზიკურ განათლებას
კონვენცია განათლებაში დისკრიმინაციის შესახებ (1960)	განათლებაზე ხელმისაწვდომობის უფლება და განათლების ხარისხი
კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979)	განათლების სფეროში ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრა. ქალისა და მამაკაცის როლების სტერეოტიპული კონცეფციის აღმოფხვრა, ერთობლივი განათლების წახალისება და სწავლების მეთოდების ადაპტაცია.
კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (1989)	უფასო და სავალდებულო დაწყებითი სწავლის უფლება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, აქცენტი ბავშვის კეთილდღეობასა და განვითარებაზე.
კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (2006)	უფასო და სავალდებულო დაწყებითი ან საბაზო-საშუალო განათლებიდან შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე გამოთიშვის გამორიცხვა, ინკლუზიური განათლების სისტემის უზრუნველყოფა ყველა დონეზე.
რეკომენდაციები განათლებაში დისკრიმინაციის შესახებ (1960)	დისკრიმინაციის აღმოფხვრა განათლებაში. ზომების მიღება, რომლებიც მიმართულია თანასწორი შესაძლებლობების ხელშესაწყობად.
ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია (1948)	ყველას აქვს განათლების მიღების უფლება.
მსოფლიო დეკლარაცია – განათლება ყველასთვის (1990)	ყველა ადამიანს უნდა შეეძლოს, ისარგებლოს განათლების მიღების შესაძლებლობით, რომელიც შექმნილია მათი ძირითადი სასწავლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
დელის დეკლარაცია (1993)	საბაზისო განათლების ხელმისაწვდომობის უთანასწორობის აღმოფხვრა, რომელიც არის დაკავშირებული ქვესთან, ასაკთან, შემოსავლათან, ოჯახურ მდგომარეობასთან, კულტურასთან, ეთნიკურ და ენობრივ განსხვავებებთან.
ბერლინის დეკლარაცია (2013)	I კომისია: სპორტზე წვდომა, როგორც ფუნდამენტური უფლება ყველასათვის. II კომისია: ფიზიკურ განათლებაში ინვესტიციების ხელშეწყობა და სპორტული პროგრამები.
იუნესკოს ქარტია ფიზიკური განათლება და სპორტი (1978)	ძირითადი დებულებები ფიზიკური განათლებისა და სპორტული განათლების შესახებ.

მასალა მომზადებულია

QUALITY PHYSICAL EDUCATION – GUIDELINES FOR POLICY-MAKERS (UNESCO, 2015) პიხელებით



საერთო სასკოლო მიღზოგა ფიზიკური განათლების ხელშესაწყობად

ქეთევან ქობალია

განათლების დოქტორი, ფიზიკური
განათლების მასწავლებელ-მონსულტანტი,
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების პროექტის ხელმძღვანელი

» **სკოლა კი არის ის უმნიშვნელოვანესი გარემო, სადაც შესაძლებელია და აუცილებელია საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან ასოცირებული გამოწვევების მოგვარება და ფიზიკური აქტივობის ინტეგრირება ყველა სწავლებელსა და მოსწავლეს შორის, სადაც შესაძლებელია და აუცილებელია საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან ასოცირებული გამოწვევების მოგვარება და ფიზიკური აქტივობის ინტეგრირება ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ცხოვრობენ, სწავლობენ და თამაშობენ.**



ჩვენ ყველა ვთანხმდებით, რომ სკოლის მთავარი ფუნქცია საგანმანათლებლო შესაძლებლობების მიწოდებაა ბავშვებისთვის. აღნიშნული შესაძლებლობები სცილდება საკლასო ოთახში შესასწავლ აკადემიურ საგნებს და მოიცავს ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელ ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებს, მათ შორის, ფიზიკურ აქტივობასა და ფიზიკურ წიგნიერებას. ბუნებრივია, ბავშვებისა და მოზარდების ქცევაზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, მათ შორის, ოჯახი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რელიგიური დაწესებულებები, მედია, ჯანდაცვის მიმწოდებლები და სამთავრობო ორგანოები. სკოლა კი არის ის უმნიშვნელოვანესი გარემო, სადაც შესაძლებელია და აუცილებელია საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან ასოცირებული გამოწვევების მოგვარება და ფიზიკური აქტივობის ინტეგრირება ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ცხოვრობენ, სწავლობენ და თამაშობენ.

იუნისეფის მონაცემებით, კვირის ნებისმიერ დღეს, მთელ მსოფლიოში, დაახლოებით, 1 მილიარდი ბავშვი მიდის სკოლაში. ბავშვები, სახლის გარდა, ყველაზე მეტ დროს სკოლაში ატარებენ, რაც ამ უკანასკ-

ნელს აქცევს იმ შესანიშნავ სივრცედ, სადაც შესაძლებელია ხარისხიანი ფიზიკური განათლების შეთავაზება დიდი აუდიტორიისთვის. სკოლას, ასევე, შეუძლია პოზიტიური ფიზიკური აქტივობის შესახებ გზავნილების ფართო საზოგადოებისთვის მიწოდება, მათ შორის, მშობლებისა და მეურვეებისათვის. შედეგად, მოსახლეობა იღებს სწორ გზავნილებს ფიზიკური აქტივობის შესახებ, რაც უმნიშვნელოვანესია, რადგან ზეგავლენა, რასაც მშობლები და მასწავლებლები ბავშვის განვითარებაზე ახდენენ, არის საკმაოდ ძლიერი და ხშირად მოზარდის ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ფაქტორია. შესაბამისად, სასკოლო გარემოს მართლაც რომ აქვს უნარი, მოახდინოს მრავალი დაავადების პრევენცია და მართვა ბავშვის სიცოცხლის უმთავრეს ეტაპებზე.

ბევრ ქვეყანაში სკოლა და სკოლის მასწავლებლები, როგორც წესი, ინფორმაციის უსაფრთხო და სანდო წყაროდ ითვლება. ბავშვები და მშობლები საჭირო რჩევებს სკოლისგან იღებენ, რაც, თავის მხრივ, სკოლას აძლევს შესაძლებლობას, უზრუნველყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა. სკოლას, ასევე, გააჩნია ძლიერი სათემო კავ-

შირები, ხოლო ტერიტორიული განლაგება კი მას საშუალებას აძლევს, ეფექტურად გამოიყენოს საზოგადოებრივი რესურსები.

კვლევების თანახმად, აკადემიური წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობაა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის მიღწევის მექანიზმები საკმაოდ ბუნდოვანია, არსებობს მტკიცებულებები, რომ ფიზიკური აქტივობა უშუალოდ უკავშირდება გაუმჯობესებულ შემეცნებით ფუნქციებს, კონცენტრაციასა და ყურადღების დონეს, დამახსოვრებასა და დაგეგმვის უნარს; ეს ყველაფერი კი აუმჯობესებს სწავლის უნარებსა და აკადემიურ წარმატებას.

თუმცაღა, ერთი კონკრეტული ინტერვენცია, რომელიც შეძლებს ფიზიკური აქტივობის ოპტიმალური დონის უზრუნველყოფას ყველა ბავშვისთვის ერთ რომელიმე სკოლაში, არ არსებობს. სკოლაში ფიზიკური განათლების მაქსიმალური დანერგვისთვის ყველაზე ეფექტური გზა არის „საერთო სასკოლო მიდგომა“. ეს მიდგომა სცილდება კლასში სწავლა-სწავლების ფარგლებს. „საერთო სასკოლო მიდგომის“ თანახმად, სკოლის ყველა ასპექტი (ადმინისტრაციით, პედაგოგებითა და არაპედაგოგიური პერსონალით დაწყებული, მოსწავლეებით, მშობლებითა და აღმზრდელებით, ასევე, სკოლის ფიზიკური და სოციალური გარემოთი დამთავრებული) გავლენას ახდენს მოსწავლეთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე და სასწავლო პროცესი და ჯანმრთელობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

„საერთო სასკოლო მიდგომა“ უფრო მეტად ძლიერდება შემდეგი ფაქტორებით:

- ეთოსი, რომელიც მხარს უჭერს და ეხმარება ფიზიკური აქტივობის პოპულა-

რიზაციას მოსწავლეებში, ანუ ფიზიკური ნიჭით დაჯილდოებული თუ შეზღუდული ფიზიკური უნარების მქონე ბავშვებში, განურჩევლად მათი შესაძლებლობებისა, ასაკისა, სქესისა, რასისა, გენდერისა, რელიგიისა თუ ეთნიკური წარმომავლობისა;

- სკოლაში და მის ფარგლებს მიღმა ფიზიკური აქტივობისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და ჩართულობის შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- კონსულტაციები სასკოლო თემთან, ფიზიკური აქტივობის დაგეგმვისას, ასევე, სასკოლო თემის გაძლიერება, რათა ისინი გახდნენ აქტიური მონაწილეები და არ დარჩნენ ფიზიკური განათლების პროგრამის პასიური მიმღებები;
- სასწავლო პროგრამის, ასევე, ემოციური, ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც ხელს უწყობს ფიზიკური აქტივობის ფასილიტაციას ყველა მოსწავლისა და პერსონალისათვის;
- ფიზიკური განათლების ღირებულებების გაძლიერება და მხარდაჭერა ნებისმიერ სასკოლო ასპექტში.

ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად, ვლინდება მტკიცებულებებით გამყარებული ნ მძიმართულება, რომელსაც შეუძლია ფიზიკური აქტივობის ეფექტური ხელშეწყობა „საერთო სასკოლო მიდგომის“ გამოყენებისას:

1. ხარისხიანი ფიზიკური აღზრდა;
2. ფეხით სიარული სკოლაში და სკოლიდან სახლში;
3. აქტიური სასკოლო და სკოლის შემდგომი პროგრამები;
4. ფიზიკური აქტივობები არდადეგების, შესვენებისა და სხვა არასაკავშირებლო დროს;

სკოლას, ასევე, გააჩნია კლინიკი სათემო პაპიურიკი, ხოლო ტერიტორიული განლაგება კი მას საშუალებას აძლევს, ეფექტურად გამოიყენოს საზოგადოებრივი რესურსები.



» ფიზიკური აქტივობა უზალოდ უკავშირდება გაუმჯობესებულ შებენიანობას, კონსენტრაციასა და ყურადღებებს დონას, დაგანსოვრებასა და დაგეგმვის უნარს; ეს ყველაფერი კი აუმჯობესებს სწავლის უნარებსა და აკადემიურ წარმატებას.

- 5. ფიზიკური აქტივობის ჩართვა გაკვეთილებში;
- 6. ინკლუზიური ფიზიკური აქტივობები სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის.

ფიზიკური განათლების დანერგვისას, მაქსიმალური შედეგის მისაღებად, რეკომენდებულია, რომ სკოლებმა განახორციელონ მრავალკომპონენტური ინტერვენციები (მაგალითად, დანერგონ ისეთი აქტივობები, რომლებიც მტკიცებულებებზე დამყარებული ნ მიმართულებიდან, მინიმუმ, 2-ს მაინც მოიცავს). ოპტიმალური, მრავალკომპონენტური ინტერვენციები გულისხმობს, ასევე, სტრატეგიებს, რომლებიც უკავშირდება კურიკულუმს, ემოციურ, ფიზიკურ და სასწავლო გარემოს. ეს ყოველივე კი, ასევე, ეხმარება „საერთო სასკოლო მიდგომის“ კონცეფციას და უზრუნველყოფს ფიზიკური აქტივობის კოორდინირებულ ხელშეწყობას მთელი სასკოლო დღის განმავლობაში, ისევე როგორც გაკვეთილების შემდეგ.

მნიშვნელოვანია შემდეგი რამდენიმე პრინციპის გათვალისწინება:

- ფიზიკური განათლება უნდა იყოს დაფასებული სკოლაში და არ უნდა მოხდეს მისი ჩანაცვლება სხვა საგნებით, კურსებით ან აქტივობებით;
- სკოლამ უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი ფიზიკური განათლების მიწოდება, ოფიციალური კურიკულუმის ძირითადი ნაწილის სახით;
- მოსწავლეთა მოსწრება უნდა შეფასდეს პერსონალური შედეგებისა და ძალისხმევების გათვალისწინებით, და არა სხვა ბავშვებთან შედარებით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხარდამჭერი სასკოლო პოლიტიკა წარმოადგენს „საერთო სასკოლო მიდგომის“ გან-

ხორციელების საფუძველს სკოლაში ფიზიკური განათლების ხელშეწყობად. იმპლემენტაციის ძირითადი ეტაპების დაცვა გვეხმარება ფიზიკური განათლების პოლიტიკის დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში. აღნიშნული პოლიტიკა შეიძლება განხორციელდეს რაიონის, რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულების ან ერთი სკოლის დონეზე, ხოლო ეტაპები კი შეიცვალოს და ადაპტირდეს სხვადასხვა კონტექსტის, რესურსებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

უზაპი 1: მოზაიკა

ეს ეტაპი მოიცავს „საერთო სასკოლო მიდგომებზე“ დაფუძნებული პროცესის გაძლიერებისთვისა და პოლიტიკის განხორციელების დაწყებისთვის საჭირო მოსამზადებელ სამუშაოს. აღნიშნულ ეტაპზე განსახორციელებელი ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

- არსებული მდგომარეობის შეფასება. შეისწავლეთ სკოლის მიმდინარე ფიზიკური აქტივობების ვარიანტები და, ასევე, უკვე არსებული ფიზიკური აქტივობის მხარდამჭერი და ხელშემწყობი ფაქტორები;
- განსაზღვრეთ, თუ რა სახის რესურსები შეიძლება გახდეს საჭირო (ადამიანური, ფინანსური, ტექნიკური) ფიზიკური განათლების ხელშეწყობად. ეს სამომავლოდ განაპირობებს სკოლის უნარს, დაგეგმოს და განახორციელოს ცვლილებები, ასევე, გამოკვეთოს, თუ სად შეიძლება გახდეს საჭირო დამატებითი რესურსების მოძიება;
- შეიმუშავეთ შეფასების გეგმა, საკვანძო ამოცანების მითითებით;
- შექმენით სკოლის ფიზიკური აქტივობის სამუშაო ჯგუფი, რათა მოხდეს აქტივობების კოორდინირებული და ეფექტური

განხორციელება მთელ სკოლაში:

- ჯგუფის წევრები შეიძლება იყვნენ არსებული სტრუქტურის ქვეჯგუფი, მაგალითად, სამეურვეო საბჭო;
- სამუშაო ჯგუფს შესაძლოა დაევალოს სკოლის ფიზიკური აქტივობის პოლიტიკის შემუშავების პროცესის ხელმძღვანელობა და ფიზიკური აქტივობის უზრუნველყოფისა და დაფინანსების მიმოხილვა; გათვალისწინებული შესაძლებლობების დიაგნოზის გაფართოება და ნებისმიერი ცვლილების შედეგების მონიტორინგი და შეფასება.

უბრალოდ: სამოქმედო გეგმა

ეს ეტაპი მოიცავს შემდეგ საქმიანობებს:

- ფიზიკური აქტივობის სამუშაო ჯგუფში შემავალ, ძირითად, დაინტერესებულ

მხარეებთან თანამშრომლობით, განსაზღვრეთ და შეთანხმდით, მტკიცებულებებზე დაფუძნებული რომელი ინტერვენციის განხორციელება იქნება მიზანშეწონილი მოცემულ დროს. გამოიყენეთ „სკოლის ფიზიკური აქტივობის შეფასების“ შედეგები;

- შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმა: ასახეთ მასში ნებისმიერი შემოთავაზებული ღონისძიების მნიშვნელობა, ხარჯები, საჭირო დრო და მიზანშეწონილობა;
- სასურველია, რომ სკოლა კონცენტრირდეს სამ ძირითად სამოქმედო მიმართულებაზე და, ამავე დროს, გააცნობიეროს მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი მიზნების აუცილებლობა, ასევე, ის, რომ წარმატების გასაღები არის ეფექტური იმპლემენტაცია.



» სკოლაში ფიზიკური განათლების გაქსიგულური დანერგვისთვის ყველაზე უფაქტური გზა არის „საერთო სასკოლო მიღგოგა“. ეს მიღგოგა სცილდება კლასში სწავლა-სწავლების ფარგლებს. „საერთო სასკოლო მიღგოგის“ თანახმად, სკოლის ყველა ასპექტი (ადმინისტრაციით, კვლავგოგებითა და არაკვლავგოგითი კერძონალით დაწყებული, მოსწავლეებით, გოგოგებითა და აღზრდელებით, ასევე, სკოლის ფიზიკური და სოციალური გარემოთი დამთავრებული) გავლენას ახდენს მოსწავლეთა ჯანგრთელოგასა და კეთილდღეოგაზე და სანსწავლო პროცესი და ჯანგრთელოგა ერთგანათთან გჭიდროდ არის დაკავშირებული.

უტაპი 3: ფიზიკური განათლების სასკოლო კოლიტივის შემუშავება

ფიზიკური განათლების ხელშეწყობისთვის „საერთო სასკოლო მიღგომის“ საფუძველს წარმოადგენს სასკოლო პოლიტიკა ფიზიკური განათლების შესახებ—ანუწერილობითი კონცეფცია, რომლის თანახმადც უნდა განხორციელდეს სკოლაში ფიზიკური განათლების დანერგვა, დამტკიცება, შეფასება და გაუმჯობესება, სტრატეგიული და კოორდინირებული ფორმით.

- დარწმუნდით, რომ ხარისხიან ფიზიკურ განათლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პოლიტიკა და პრაქტიკა, აქტიური სიარული სკოლაში და სკოლიდან სახლში, ფიზიკური აქტივობა შესვენების/დასვენების დროს, აქტიური საკლასო ოთახი, აქტიურობა სკოლაში და სკოლის შემდგომ, ფიზიკური აქტივობა სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამეობა რეგიონულ და/ან ეროვნულ რეგულაციებს;
- რეგულარულად ან ყოველკვირეულად უზრუნველყავით დაგეგმილი და თანმიმდევრული ფიზიკური აქტივობების პროგრამის შეთავსება ფიზიკური აღზრდის ცხრილთან, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში;
- ასახეთ პოლიტიკაში სასკოლო თემის ხედვასკოლისშიგნით დასკოლის ფარგლებს გარეთ ფიზიკური აღზრდის შესახებ, ასევე, ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებული სკოლის მიზნები, ამოცანები და ღონისძიებები;
- აცნობეთ საზოგადოებას, თუ როგორ აპირებს სკოლა, განავითაროს თანმიმდევრული მიდგომა ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობის მიმართ;
- თუკი შესაძლებელია, სასკოლო პოლიტიკაში მაქსიმალურად უნდა იქნეს

ჩართული სკოლაში და/ან თემში არსებული სტრუქტურები და რესურსები, ხოლო ფიზიკური აქტივობის ყველა მიმართულება დაინერგოს მთელი სასკოლო დღის განმავლობაში, მათ შორის, აქტიური სიარული და შესვენება;

- სასკოლო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება უნდა ითვალისწინებდეს კულტურულ წარმომავლობას, სქესს, ეთნიკურ უმცირესობებს, ქვეყნის იურისდიქციულ და სამართლებრივ სტრუქტურას;
- სასკოლო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს არსებული ფიზიკური აღზრდის კურიკულუმების რეგულარულ გადახედვას;
- სასკოლო პოლიტიკა უნდა ეცნობოს ყველა დაინტერესებულ მხარეს;
- მდგრადობისათვის, მონიტორინგი და შეფასება უნდა იქნეს გათვალისწინებული სასკოლო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნების განხორციელება გეგმების შესაბამისად.

უტაპი 4: დამხმარე სტრუქტურების მოგვლვა ან განახლება

სკოლის სოციალური და ფიზიკური გარემო მნიშვნელოვნად განაპირობებს ბავშვებისა და მოზარდების ჩართულობას ფიზიკურ აქტივობაში. ფიზიკური განათლების პოლიტიკის დამტკიცების შემდეგ, სკოლას, შესაძლოა, დასჭირდეს დამხმარე სტრუქტურების განახლება ან მომზადება:

- დაიწყეთ პროცესი მცირე ცვლილებებით, რომლებიც მარტივად შეიძლება განხორციელდეს მინიმალური დანახარჯებით, მაგ. გახადეთ არსებული ინვენტარი ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის, იმავდროულად, დაგეგმეთ

უფრო ფართომასშტაბიანი განახლება, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი რესურსები დასჭირდეს;

- ერთი მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების სარგებელს მოუტანს მეორეს: მაგალითად, არაფიქსირებული, ფერადი, გამძლე და უსაფრთხო აღჭურვილობა, როგორცაა ბურთი, ლახტი და ჰულაჰუპი, ასევე, დაფიქსირებული აღჭურვილობა, როგორცაა ფეხბურთის კარი, კალათბურთის ფარი და სათამაშო მოედნის ნიშნები, განეკუთვნება „ფიზიკური აქტივობა შესვენების/დასვენების დროის“ მიმართულებას, თუმცა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასკოლო და სკოლის შემდგომი ფიზიკური აღზრდისა და ფიზიკური აქტივობის მიმართულებებშიც.

უბაჟი 5: პერსონალის მოზარეობა

- აღჭურვით პერსონალი შესაბამისი უნარებითა და კომპეტენციებით, რათა მათ უზრუნველყონ ხარისხიანი ფიზიკური განათლებისა და პოზიტიური გამოცდილების მიწოდება უფრო მეტი თავდაჯერებულობით, რაც, საბოლოო ჯამში, გააუმჯობესებს ბავშვებისა და მოზარდების ჩართულობას;
- უზრუნველყავით გადამზადება, განსაკუთრებით, არასპეციალისტი პედაგოგებისათვის, მათ შორის, ტრენინგები მათთვის, ვინც მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან სასკოლო გარემოში;
- შეიმუშავეთ და/ან გააუმჯობესეთ სარენინგო კურსი მომავალი პედაგოგიური პერსონალისათვის;
- წახალისეთ მასწავლებლები, რათა მათ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილი და უკვე დატესტილი იდეები და სტრატეგიები ფიზიკური აქტივობის საკ-

ლასო გარემოში ინტეგრირების ხელშესაწყობად;

- თუკი გყავთ ახალბედა მასწავლებლები, წახალისეთ ისინი, რომ გაკვეთილის დაწყებამდე მოსწავლეებს შესთავაზონ მარტივი მოძრაობითი შესვენებები, მაგალითად, გაწელების სახით, სანამ შეუდგებიან აკადემიური ცნებების ინტეგრირებას საგაკვეთილო აქტივობებში (მაგ. მანძილის გაზომვა, რა დროსაც მოსწავლეები ფეხით გადაადგილდებიან საკლასო ოთახში ან ეზოში სუფთა ჰაერზე).

უბაჟი 6: მონიტორინგი და შეფასება

- მონიტორინგი და შეფასება მუდმივად უნდა იქნეს გათვალისწინებული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება. ეს ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულების ჩამოყალიბებას და გააუმჯობესებს სწავლა-განვითარების პროცესს;
- სკოლის ფიზიკური აქტივობის პოლიტიკა უნდა განახლდეს ახალი მიგნებების მიღებისთანავე.



თეონა სილაგაძე

დემოკრატიული კულტურისა და ადამიანის უფლებების სწავლების სელფჰეფინგის პროგრამის კოორდინატორი, გასწავლულმა პროფესიული განვითარების პროფესორი სენტრი

რა არის და რას მოიცავს სპორტული განათლება?



» სპორტულ განათლებას აქვს უზარმაზარი საგანგანათლებლო პოტენციალი და მისი მიზნები საუკეთესოდ მიიღწევა პირდაპირი სწავლების, მსიკა ჯგუფური / თანაგზრომლობითი აქტივობებისა და თანატოლებთან ერთად სწავლის კომბინირებით, და არა დირექტიულ, ინტენსიურ ვარჯიშზე ორიენტირებული მიდგომით.

სპორტული განათლება არის სასკოლო პროგრამისა და სწავლების მოდელი, რომლის მიზანია გოგონებისთვისა და ბიჭებისთვის ავთენტური, მდიდარი, შემეცნებითი ფიზიკური/სპორტული გამოცდილების მიწოდება სასკოლო ფიზიკური აღზრდის კონტექსტში (Siedentop, 1994). სპორტული განათლება ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმისთვის. ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი მარტივად და სპონტანურად ჩასმა მცირე აქტივობებში ან მრავალაქტივობიან პროგრამაში. გასათვალისწინებელია, რომ სპორტულ განათლებას აქვს უზარმაზარი საგანგანათლებლო მნიშვნელობა და მისი მიზნები საუკეთესოდ მიიღწევა პირდაპირი სწავლების, მცირე ჯგუფური/თანამშრომლობითი აქტივობებისა და თანატოლებთან ერთად სწავლის კომბინირებით, და არა დირექტიულ, ინტენსიურ ვარჯიშზე ორიენტირებული მიდგომით.

ამ სტატიაში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ, უშუალოდ, სპორტულ განათლებაზე, რომელსაც აუცილებელია, რომ ორიენტირებული და სისტემური სახე ჰქონდეს სკოლაში.

ძირითადი გახასიათებლები

სპორტული განათლება მოიცავს 6 საკვანძო მახასიათებელს, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხორციელდება აქტივობები სათემო თუ სკოლათაშორის კონტექსტში (მახასიათებლები ყალიბდება აქტივობების ავთენტურობის მიხედვით, ფართო კულტურულ კონტექსტში). შემოთაღნიშნული მახასიათებლებია: სეზონი, მიკუთვნებულობა, ოფიციალური ასპარეზობა, კულმინაციური ღონისძიება, შედეგების პროტოკოლირება და საზეიმო აღნიშვნა.

სეზონი. ერთი ამგვარი ეტაპი/დროითი შუალედი სპორტულ განათლებაში ხშირად ორჯერ ან სამჯერ უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ტიპური ფიზიკური აღზრდის აქტივობისთვის გამოყოფილი დრო. სიღრმისეულად გავლილი რამდენიმე აქტივობა უკეთეს საგანგანათლებლო შედეგებს იძლევა, ვიდრე ის, რაც შედარებულად სრულდება მრავალაქტივობიანი, ხანმოკლე დროითი შუალედის ფარგლებში.

მიკუთვნებულობა. სპორტული სეზონის დასაწყისში მოსწავლეები ერთიანდებიან გუნდებში და ინარჩუნებენ გუნდისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას მთელი სეზონის განმავლობაში. მოსწავლეები გუნდურად ადგენენ გეგმებს, ვარჯიშობენ და ეჯიბრებიან ერთმანეთს. ეს მახასიათებელი ემყარება მტკიცებულებას, რომლის თანახმად, ბევრი სოციალური ღირებულება ყალიბდება სპორტული გამოცდილების საფუძველზე. ასევე, პოზიტიურ სპორტულ გამოცდილებასთან ასოცირებული პიროვნული ზრდა ხშირად მჭიდროდ უკავშირდება ჯგუფთან მიკუთვნებულობის შეგრძნებას.

ოფიციალური ასპარეზობა. სპორტული სეზონი, როგორც წესი, ოფიციალური შეჯიბრებების განრიგით განისაზღვრება, რომელშიც, ასევე, შედის მოსამზადებელი პერიოდებიც. მიკუთვნებულობისა და ოფიციალური ასპარეზობის მახასიათებლების გაერთიანება იძლევა გეგმებისა და მიზნების დასახვის შესაძლებლობას, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, დაისახონ მნიშვნელოვანი მიზნები და მიაღწიონ ტემპარიტად ღირებულ შედეგებს.

კულმინაციური ღონისძიება. სპორტი გულისხმობს იმის გარკვევას, თუ ვინ არის საუკეთესო ამა თუ იმ სეზონზე, ასევე, მოიხზრებს სხვა მონაწილეებისათვის საკუთარი პროგრესის გააზრების შესაძლებლობასაც. კულმინაციური ღონისძიება (ფინალური ასპარეზობა სარბენ ბილიკზე თუ მინდორზე, ჩემპიონატი ფრენბურთში და ა.შ.) იძლევა უდიდესი მიღწევების

აღიარებისა და საზეიმო აღნიშვნის შესაძლებლობას, რაც თამაშებისა და სპორტის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი კომპონენტია (Siedentop, 1981, 1994).

შედეგების პროტოკოლირება. მიღწეული შედეგები (კარისკენ დარტყმული ბურთები, დაგროვილი ქულები, ტაიმები, ბლოკები, წართმეული პასები, გადაცემები და ა.შ.) ერთგვარი უკუკავშირია ინდივიდუალური მოთამაშეებისა და ჯგუფებისათვის. შედეგები გვეხმარება, განვსაზღვროთ სტანდარტი და დავსახოთ მიზნები (ბურთის დაკარგვის შემთხვევების შემცირება, რბოლაში დროის გაუმჯობესება, წრიული შეჯიბრების დროს საუკეთესო შედეგების ჩვენება). შედეგების აღრიცხვა, ასევე, გვეხმარება ადგილობრივი სპორტული ტრადიციების ჩამოყალიბებაში (მე-6 კლასის რეკორდი სიგრძეზე ხტომაში, მე-9 კლასის გუნდური რეკორდი კალათბურთის ერთ მატჩში).

საზეიმო აღნიშვნა. სპორტული ასპარეზობა დღესასწაულია, იქნება ეს ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული უდიდესი ფესტივალები თუ პარასკევ საღამოს გამართული სასკოლო საფეხბურთო ფესტივალი ან ბავშვთა ფეხბურთის ოჯახური ფესტივალი. სპორტული განათლების ფარგლებში, მასწავლებლები და მოსწავლეები მუშაობენ ერთად, რათა შექმნან განგრძობადი დღესასწაული, სადაც საზეიმოდ აღინიშნება გაუმჯობესებული შედეგები, ძალისხმევები და სამართლიანი თამაში (პოსტერებით, გუნდების ფერებით, მოთამაშეების წარდგენებით, დაჯილდოების ცერემონიებით, ვიდეო გადაღებით და ა.შ.).

«
**სპორტული განათლება
 სულაც არ ნიშნავს
 ინსტიტუციონალიზებული
 სპორტის პირდაპირი
 სახით სიმულირებას.
 სპორტულ განათლებას
 ახასიათებს 3
 განმასხვავებელი
 ფაქტორი: მონაწილეობის
 წახეპი, განვითარების
 შესაძვისი უზრუნველყოფა
 და გრავალფეროვანი
 როლები. იმის
 მიუხედავად, რომ
 საგანგანათლებლო
 გარემოს მიხედვით
 შესაძლოა იხვედნოდეს,
 სპორტული განათლება
 მაინც რჩება ავთენტურ
 გამოცდილებად.**

» **ეს მოღვაწეა:**
საორგანიზაციო
პროექტები, მორიგე
გუნდები, თანატოლებთან
ერთად სწავლა,
ერთობლივი დაგეგმვა
და კონფლიქტების
მოგვარების
წარმატებული
გეგმვა.

უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი შემთხვევაში აღნიშნული მახასიათებელი, როგორც წესი, თავისთავად არ ახასიათებს ფიზიკურ აღზრდას. ფიზიკური აღზრდა კურიკულუმში ყველაზე ხშირად წარმოდგენილია მრავალი მცირე აქტივობის სახით, ხოლო სასწავლო სივრცეში შესვლამდე, მოსწავლეებმა ხშირად არც კი იციან, თუ რა მოხდება გაკვეთილზე. ამასთან, გაკვეთილის განმავლობაში გუნდების წევრობა ხშირად იცვლება, ხოლო მიღებული გამოცდილების სრულყოფას დღესასწაულიც აკლია.

გარდა ამისა, სპორტული განათლება სულაც არ ნიშნავს ინსტიტუციონალიზებული სპორტის პირდაპირი სახით სიმულირებას. სპორტულ განათლებას ახასიათებს 3 განმასხვავებელი ფაქტორი: მონაწილეობის წესები, განვითარების შესატყვისი შეჯიბრება და მრავალფეროვანი როლები. იმის მიუხედავად, რომ საგანმანათლებლო გარემოს მიზნები შესაძლოა იცვლებოდეს, სპორტული განათლება მაინც რჩება ავთენტურ გამოცდილებად.

მონაწილეობის წესები. ხარისხიან სპორტულ განათლებაში ჩართულია ყველა მოსწავ-

ლე, სხვადასხვა დროის მონაკვეთში. ეს ფაქტორი განსაზღვრავს გუნდების სიდიდეს (სტანდარტულად იქმნება მცირე გუნდები), ასპარეზობის წესებს (ელიმინაციის არმქონე ფორმატი), კულმინაციურ ღონისძიებას (მონაწილეობს ყველა მოთამაშე/გუნდი), თამაშის დროსა და პოზიციურ თამაშს (ყველა მოსწავლე თამაშობს თანაბრად და აქვს თანაბარი შესაძლებლობა, შეისწავლოს პოზიციური თამაშის წესები).

განვითარების შესატყვისი შეჯიბრება. სპორტულ განათლებაში გამოყენებული სპორტული ფორმები შეესაბამება მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების შესაძლებლობებს. არ გამოიყენება ზრდასრულთათვის განკუთვნილი თამაშების ფორმები. როგორც წესი, შეთავაზებულია მცირე ზომის თამაშები, მოდიფიცირებული წესებით, სივრცითა და აღჭურვილობით. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის ჟინი და სამართლიანი თამაში ცალსახად მნიშვნელოვანია, სპორტული განათლების დომინანტურ „ეთიკას“ მაინც წარმოადგენს სამართლიანი მონაწილეობა და ინდივიდუალური და გუნდური შედეგების გაუმჯობესება.



ბრავალუკომპანი რეკლამა. ხარისხიანი სპორტული განათლების ფარგლებში, მოსწავლეები ირგებენ სხვადასხვა როლს, ხოლო სპორტში (და, როგორც წესი, ფიზიკური აღზრდის სტანდარტულ გაკვეთილებზეც) ისინი მხოლოდ შემსრულებლის როლს ასრულებენ. ხარისხიან სპორტულ განათლებაში, მაგალითად, ყველა მოსწავლე ეცნობა შემსრულებლის, მსაჯისა და ბომბარდირის როლებს ყველა სპორტის სახეობის შესახებ. დანარჩენი როლები, როგორებიცაა მწვრთნელი, მენეჯერი, ტრენერი, სტატისტიკოსი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და სპორტული საბჭოს წევრი, იცვლება სემონებისა და სპორტის სახეობების შესაბამისად. როდესაც მოსწავლეები ზემოთ აღნიშნულ როლებს პასუხისმგებლობით ასრულებენ, მიიღწევა რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი. როდესაც მოსწავლეები ითავისებენ როლებს და უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საკუთარ სპორტულ გამოცდილებას, ამ დროს მცირდება მასწავლებლის მენეჯერული და „ქცევის მომწესრიგებლის“ როლი. ამასთანავე, მოსწავლეები იძენენ ცოდნას და ივითარებენ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას ზრდასრულთა სპორტული კულტურის შესახებ.

სწავლების მასსიათაშუაში

სპორტული განათლების წარმატებით განხორციელებას განაპირობებს რამდენიმე პედაგოგიური ასპექტი. მართალია, აღნიშნული მოდელი არ მოითხოვს სწავლების მაინცდამაინც რომელიმე კონკრეტული მეთოდის გამოყენებას ყველა დონეზე ყველა მასწავლებლის მიერ და ყველა სპორტის სახეობისთვის, თუმცა მტკიცებულებები (Carlson, 1995; Grant, 1992; Hastie, 1996; Siedentop, 1994) გვიჩვენებს, რომ არსებობს მსგავსება წარმატებულ მოდელს შორის. ეს მოდელია: საორ-

განიზაციო პროცედურები, მორიგე გუნდები, თანატოლებთან ერთად სწავლა, ერთობლივი დაგეგმვა და კონფლიქტების მოგვარების წარმატებული მექანიზმები.

საორგანიზაციო პროცედურები. საგანმანათლებლო მოდელის, საგნისა თუ საფეხურის მიუხედავად, მასწავლებლები გულდასმით ასწავლიან მოსწავლეებს და აძლევენ მათ საკმარის დროს, რომ პრაქტიკაში გამოცადონ საორგანიზაციო პროცედურები (Siedentop, 1991). საორგანიზაციო პროცედურები, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია სპორტული განათლების წარმატებით განხორციელებისათვის, მოიცავს საშინაო სივრცეების გამოყენებას გუნდებისთვის; გუნდში შესვლამდე გასავლელ პროცედურებს, რაც ხშირად გულისხმობს გუნდური უნარების გავარჯიშებას „სახლში მოწყობილ კორტზე“ ან „საშინაო მოედანზე“; რეგლამენტირებულ შეჯიბრებას, რომელიც იწყება და სრულდება სასტენის ხმის შესაბამისად; რეგლამენტირებულ გადასვლებს ასპარეზობებს შორის, მონაწილეების, მსაჯებისა და ანგარიშის მთვლელების გადაწყობის მიზნით (როგორც წესი, ამ დავალებას ასრულებენ გუნდის მენეჯერები ან მწვრთნელები); და პროცედურას, როდესაც ანგარიშის მთვლელები ჩანაწერებს გადასცემენ მწვრთნელებს ან სტატისტიკოსებს, რომლებიც აგროვებენ ამ მონაცემებს და ამზადებენ განახლებულ ჩანაწერებს შემდეგი აქტივობისთვის.

მორიგე გუნდები. სპორტული განათლების ბევრი წარმატებული მოდელი მოიცავს „მორიგე გუნდების“ კონცეფციას. ჩვეულებრივი ზომის კლასი, რომელშიც ირიცხება 24-დან 32-მდე მოსწავლე, იყოფა 3 გუნდად. ნებისმიერი გეგმიური შეჯიბრების დროს, ასპარეზობს ორი გუნდი, ხოლო მესამე გუნდის წევრები ასრულებენ მსაჯებისა და ანგარიშის მთვლელების ფუნქციას. მაგალითად, სამი სამის წინააღმდეგ ფრენბურთის მატჩში, თითოეულ გუნდს შეიძლება ჰყავდეს სამი

» **სპორტული განათლება
3 ძირითად მიზანს
ემსახურება და ეხმარება
მოსწავლეებს, გახდნენ
ამ მიმართულებით
კომპეტენტური, წიგნიერი
და ენთუზიასტები ალსავეს
ალაქიანები.**

სამკაცრიანი გუნდი. მატრიკრძელებმა, საშუალოდ, 8-10 წუთი. მაგალითად, როდესაც ა გუნდი ევობრება ბ გუნდს, გ გუნდის წევრები მსაჯობენ და იწერენ მოედანზე დაფიქსირებულ ანგარიშებს. მომდევნო მატრიში კი, გ გუნდის წევრები იასპარებებენ, ხოლო ა გუნდი მორიგე გუნდად გადაიქცევა.

თანაბრობითი პრინციპი. სპორტული განათლების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს მასწავლებელი/მენეჯერი/პასუხისმგებელი პირი, რომელსაც, პირობითად, შეგვიძლია, ვუწოდოთ მწვრთნელი, რომელიც აქტიურადაა ჩართული სწავლების პროცესში გუნდის სხვა წევრებთან ერთად. მწვრთნელი ავარჯიშებს მოსწავლეებს უნარების გასაუმჯობესებლად. თანატოლებთან ერთად სწავლის მნიშვნელოვანი ნაწილი კი ხორციელდება მაშინ, როდესაც გუნდის ყველა წევრი მუშაობს საერთო მიზნის მისაღწევად, სადაც გუნდის ყველა წევრის წვლილი მნიშვნელოვანია გუნდის წარმატებისათვის.

პრობლემატიკური სიტუაციები. მწვრთნელი გუნდთან ერთად განიხილავს და გეგმავს, თუ ვინ მიიღებს ასპარეზობაში მონაწილეობას. გუნდები განიხილავენ მთელი სეზონის განმავლობაში დაფიქსირებულ უნარებსა და სტრატეგიებს. ასევე, მუშაობენ გუნდის სახელწოდებაზე და, ზოგ შემთხვევაში, სხვადასხვა საგნის მასწავლებლების ჩართულობით, ქმნიან გუნდის უნიფორმასაც კი. ეს ყველაფერის საჭიროებს თანამშრომლობით დაგეგმვას. ასევე, მასწავლებლები თანამშრომლობენ მწვრთნელებთან, რათა განიხილონ თამაშის პროცესის შეუფერხებლად და წარმატებით წარმართვის გზები.

კონფლიქტების მოგვარების მეთოდები. მოსწავლეების გუნდურ ასპარეზობას სეზონის განმავლობაში, რასაკვირველია, ზოგჯერ თან ახლავს კონფლიქტებიც. უთანხმოება შეიძლება წარმოიშვას გუნდებშიც და გუნდებს შორისაც, ასპარეზობის დროს.

შესაბამისად, აუცილებელია და მნიშვნელოვანია კონფლიქტების მოგვარების მექანიზმებისა და კომპონენტების გათვალისწინება. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, თურას მოიცავს მსაჯის გადაწყვეტილებაზე რეაგირების სათანადო და არასათანადო ფორმები, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს სათანადო ქცევის ნორმების დანერგვა (სპორტული განათლების მოდელების უმეტესობა იყენებს სამართლიანი თამაშის წესებსა და ყვითელი/წითელი ბარათების სისტემას დარღვევების გამოსავლენად, რასაც, შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს გუნდების ქულების შემცირება, თუკი ამ ყველაფერს თან სდევს მოთამაშეების მხრიდან არასათანადო რეაქციები). ბავშვებთან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარტივი მექანიზმები, როგორებიცაა „არჩევანი თუ არადანი“ ან „ფურცელი, მაკრატელი, ქვა“, გუნდებს შორის წარმოქმნილი დავების ან უთანხმოების მოსაგვარებლად. ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, სკოლების უმრავლესობაში, არსებობს მოსწავლეთა შემადგენლობით შექმნილი სპორტული საბჭოები, რომლებიც აგვარებენ გუნდებს შიგნით და გუნდებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებს.

მიზნები და ამოცანები

სპორტული განათლება 3 ძირითად მიზანს ემსახურება და ეხმარება მოსწავლეებს, გახდნენ ამ მიმართულებით კომპეტენტური, წიგნიერი და ენთუზიასტები ალსავეს ადამიანები (Siedentop, 1994).

კომპეტენტური მოსწავლე ფლობს კარგად განვითარებულ უნარ-ჩვევებს, აცნობიერებს და იყენებს თამაშის სირთულის შესაბამის სტრატეგიებს, რათა ჩაერთოს სპორტულ აქტივობაში საზრიანი მოთამაშის რანგში. სტანდარტული ფიზიკური აღზრდის მიდგომებისგან განსხვავებით, სპორტული განათლება უფრო მეტადაქცენ-

ტირებულია სტრატეგიულ თამაშზე, ვიდრე ცალკეული უნარების სეპარატულ განვითარებაზე. უმეტესწილად, გამოიყენება მცირე მასშტაბის თამაშები რთული უნარებისა და სტრატეგიების ეტაპობრივი სწავლებისათვის. მაგალითად, საფეხბურთო სემონი შეიძლება დაიწყოს ერთი ერთის წინააღმდეგ ასპარეზობით, სადაც აქცენტირებულია დრიბლინგი, შეტევაზე გადასვლა, კარისკენ დარტყმა და დაცვა, რასაც მოსდევს ორი ორის წინააღმდეგ ასპარეზობა, სადაც გამოკვეთილია პასის გადაცემისა და მიღების უნარ-ჩვევები, ხოლო ბურთის ფლობისა და ტანდემური დაცვის უნარი ისწავლება როგორც ტაქტიკა. სამი სამის ან ოთხი ოთხის წინააღმდეგ ასპარეზობა კი უფრო მეტად აფართოებს აქცენტს სამკუთხოვან შეტევაზე; მეკარის თამაში, როტაცია და დაცვა ასევე შეიძლება წარმოადგენდეს ფოკუსირებულ მიზნებს.

სამრტული წინააღმდეგობა მოსწავლე აცნობიერებს და პატივს სცემს სპორტულ წესებს, რიტუალებსა და ტრადიციებს, შეუძლია კარგი და ცუდი სპორტული პრაქტიკის განსხვავება და მზადაა, იმოქმედოს დაგროვილი ცოდნით, საკუთარი სპორტული გამოცდილების გასაუმჯობესებლად. ასეთი ადამიანები, როგორც წესი, ცოტაა ზრდასრულთა სპორტულ კულტურაშიც და, შესაბამისად, აღნიშნული მიზანი წარმოადგენს ყველაზე ოპტიმისტურ გრძელვადიან შედეგს მოსწავლეებისათვის, რომლებიც სპორტულ განათლებას ეუფლებიან.

ანთუზიასტი მოსწავლე მონაწილეობას იღებს სპორტში, როგორც ფიზიკურად აქტიური ცხოვრების წესის მიმდევარი და ცდილობს სპორტული კულტურის შენარჩუნებას, დაცვასა და გაძლიერებას, რათა სპორტი უფრო საყოველთაო გახდეს.

- განივითარონ კონკრეტული სპორტისთვის აუცილებელი უნარები და ფიზიკური შესაძლებლობები;
- პატივისცენ წესებს და შეიძლონ სტრატეგიული სპორტული თამაშის განხორციელება;
- მონაწილეობა მიიღონ საკუთარი განვითარების დონის შესაბამის თამაშებში;
- ჩაერთონ სპორტული გამოცდილების დაგეგმვისა და ადმინისტრირების პროცესში;
- უზრუნველყონ პასუხისმგებელიანი ლიდერობა;
- ეფექტურად იმუშაონ გუნდში, საერთო მიზნების მისაღწევად;
- პატივი სცენ რიტუალებსა და პირობითობებს, რომლებიც სპორტს უნიკალურ მნიშვნელობას ანიჭებს;
- განივითარონ სპორტულ საკითხებთან დაკავშირებით დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარები;
- შეიძინონ და გამოიყენონ ცოდნა მსაჯობის შესახებ;
- ნებაყოფლობით მიიღონ გადაწყვეტილება სათემო და სკოლის შემდგომ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

მყარი სამეცნიერო მტკიცებულებების თანახმად, ზემოაღნიშნული მიზნების რეალიზება შესაძლებელია სხვადასხვა სიტუაციაში, სასკოლო განათლების სხვადასხვა საფეხურზე – თუმცა, ამასთანავე, აუცილებელია ფიზიკური / სპორტული აღზრდის ორგანიზებისა და მიწოდების მიდგომების მუდმივი ანალიზი და განვითარება.

დოქტორი სოფიანოვი* ნაზარბაქოვის ინსტიტუტში, მოსკოლი
თეონა სილაგაძე

გამოყენებული ლიტერატურა

1. Carlson, T. (1995). "Now I think I can." The reaction of eight low-skilled students to sport education. *ACHPER Healthy Lifestyles Journal*, 42(4), 6-8.
2. Grant, B. (1992). Integrating sport into the physical education curriculum in New Zealand secondary schools. *Quest*, 44(3), 304-316.
3. Hastie, P. (1996). Student role involvement during a unit of sport education. *Journal of Teaching in Physical Education*, 16(1), 88-103.
4. Siedentop, D. (1981). *Physical education: Introductory analysis* (3rd ed.). Dubuque, IA: Wm. C. Brown.
5. Siedentop, D. (1991). *Developing teaching skills in physical education* (3rd ed.). Mountain View, CA: Mayfield.
6. Siedentop, D. (1994). *Sport education: Quality PE through positive sport experiences*. Champaign, IL: Human Kinetics.

* დერილ სიდენტოპი არის განათლების კოლეჯის უფროსი ასოცირებული დეკანი და კოლომბუსის ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საკითხებში.

სპორტულ განათლებაში მონაწილეობით, მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, მიაღწიონ შემდეგ მიზნებს:



მაია არკავიაშვილი

სოცოლოგიის დოქტორი,
განსაზღვრელთა პროფესიული
განვითარების პროფესიული სწავლების
ანალიტიკური სამსახურის უფროსი

სპორტული / ფიზიკური განათლების გავლენა საბავშვო საჭიროებებზე, უინაგან მოტივაციასა და პროსოციალურ დამოკიდებულებებზე



» **სპორტში ჩართვა
უხმარებს მოსწავლეებს,
განვითარონ
დისციპლინა, დროის
მენეჯმენტი და
მიჯნობის დასახვის
უნარები, რაც უზიარებს
აისახოს მათ აკადემიურ
საქმიანობაზე.
რეგულარული ფიზიკური
აქტივობა, ასევე,
აკლიმატის კოგნიტიურ
უწყვეტობას, რომელიც
კონსენტრაცია, მხსნიერება
და პრობლემების
გადაჭრის უნარებს
დასახვის უნარებს,
რაც უზიარებს
აისახოს მათ აკადემიურ
საქმიანობაზე.
რეგულარული ფიზიკური
აქტივობა, ასევე, აძლიერებს
კოგნიტიურ ფუნ-**

სპორტი გადამწყვეტ როლს თამაშობს განათლებაში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების განვითარებას. გარდა იმისა, რომ სპორტულ აქტივობებში ჩართვა მოსწავლეებს ეხმარება, შეინარჩუნონ კარგი ფიზიკური ფორმა და ჯანმრთელობა, ავითარებს ჯანსაღ ჩვევებს, რომლებიც შეიძლება მოსწავლეს გააძვიროს მთელი ცხოვრების განმავლობაში, ასევე, სპორტი მნიშვნელოვანია ფსიქო-ემოციური ჯანმრთელობისათვის. ფიზიკური აქტივობა ასტიმულირებს ენდორფინების გამოყოფას, რაც ხელს უწყობს ბედნიერების განცდას და ამცირებს სტრესსა და შფოთვისას.

სპორტში მონაწილეობა ეხმარება მოსწავლეებს ემოციების მართვაში, ამაღლებს თვითშეფასებასა და თავდაჯერებულობას. ამასთანავე, არსებობს დადებითი კორელაცია აქტიურ სპორტულ მონაწილეობასა და მაღალ აკადემიურ მოსწრებას შორის. სპორტში ჩართვა ეხმარება მოსწავლეებს, განავითარონ დისციპლინა, დროის მენეჯმენტი და მიზნების დასახვის უნარები, რაც შეიძლება აისახოს მათ აკადემიურ საქმიანობაზეც. რეგულარული ფიზიკური აქტივობა, ასევე, აძლიერებს კოგნიტიურ ფუნ-

ქციებს, როგორც კონცენტრაცია, მეხსიერება და პრობლემების გადაჭრის უნარები, რაც, ბუნებრივია, იწვევს აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას.

მოსწავლეები ივითარებენ ისეთ ღირებულებებს, როგორც გუნდური მუშაობა, ლიდერობა, შეუპოვრობა; სწავლობენ მიზნების დასახვასა და მათი მიღწევისათვის მუშაობას. სპორტი ხელს უწყობს სოციალურ ინტერაქციას და სოციალური უნარების განვითარებას. კერძოდ, გუნდური სპორტი ხელს უწყობს თანატოლებს შორის თანამშრომლობასა და კომუნიკაციას. მოსწავლეები სწავლობენ ერთად მუშაობას, სხვების პატივისცემას და ძლიერი ინტერპერსონალური ურთიერთობების დამყარებას. ეს თვისებები კი ღირებულიანი პიროვნული ზრდისა და წარმატებისთვის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. სპორტი დადებითად მოქმედებს მოსწავლეების ზოგად განვითარებაზე, მათ შორის, ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და ემოციურ კეთილდღეობაზე, ასევე, მათ აკადემიურ წარმატებასა და ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

კვლევის ანგარიშში „სპორტული/ფიზიკური განათლების გავლენა საბავშვო

საჭიროებებზე, შინაგან მოტივაციასა და პროსოციალურ დამოკიდებულებებზე: სისტემური განხილვა და მრავალდონიანი მეტაანალიზი“ ავტორები გვიზიარებენ კვლევის შედეგებს, რომელშიც გაანალიზებულია სპორტული განათლების მოდელის ძირითადი მახასიათებლები და გავლენა მოსწავლეების სოციალური უნარების განვითარებაზე.

ახალგაზრდებისათვის ავტენტურ სპორტულ გამოცდილებაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად სკოლებში, მასწავლებლები (ხშირ შემთხვევაში, ფიზიკური აღზრდის პედაგოგები) ხშირად იყენებენ სპორტული განათლების მოდელს (SEM) (Siedentop, 1994). ამ მოდელის თანახმად, მოსწავლეები განაწილებულნი არიან გუნდებად, სადაც ისინი ეჯიბრებიან ერთმანეთს მთლიანი სას-

წავლო სეზონის/სემესტრის განმავლობაში, რომელიც, ჩვეულებრივ, მინიმუმ, 12 კაკვეთილს გულისხმობს. თავიანთ გუნდებში მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა როლს. ეს როლებია, მაგალითად, მსაჯი, მწვრთნელი, სპორტსმენი, ბომბარდირი და სხვ.

SEM-ში სწავლების სტრატეგიები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული და შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, სკოლის საჭიროებების შესაბამისად. SEM-ში სწავლების სტრატეგიები შეიძლება განსხვავდებოდეს სასწავლო განყოფილების სხვადასხვა კონტექსტუალურ ფაქტორებზე (იხ. მაგ. Garc´ia L´opez and Kirk, 2021). თუმცა, სიდენტოპის მიხედვით (1994), ფიზიკური აღზრდის/სპორტის მასწავლებლები იყენებენ ძირითადად სამ სასწავლო სტრატეგიას სპორტული განათლების მოდელში:

«
სპორტული განათლების მოდელი (SEM) არის სასწავლო მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს, გაზარდოს მოსწავლეების გამოხდობა და შედეგები რომორც ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, ასევე, სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში.



➤ ანალიზი მიუთითებს, რომ გღვრადი, სისტემური სპორტული განათლების მოდელი უფრო ეფექტურია, ვიდრე ფიზიკური ალზრდის ტრადიციული საგაკვეთილო მიდგომები და სტრატეგიები.

- **პირდაპირი სწავლება** – ჩვეულებრივ გამოიყენება პირდაპირი ინსტრუქციის მოდელის გაკვეთილები, როდესაც მოსწავლეები უშუალოდ ეცნობიან მოდელს;
- **თანაშრომლობითი სწავლება** – როდესაც მოსწავლეები პირველი გაკვეთილის შემდეგ უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს და გაკვეთილზე შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები თავიანთ გუნდში სხვადასხვა სასურველ პრაქტიკასთან დაკავშირებით თუ სტრატეგიებთან მიმართებით;
- **თანასოლო სწავლება** – თანატოლთა სწავლება ხდება, მაგალითად, როდესაც მოსწავლეები იზიარებენ პასუხისმგებლობას მათი გუნდების წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლების მთელი რიგი სტრატეგიები შეიძლება იქნეს გამოყენებული, სპორტული განათლება ხშირად განიხილება, როგორც მოსწავლეების მიერ წარმართული მიდგომა/სტრატეგია (Hastie, 2016; Wallhead and O’Sullivan, 2005), მოსწავლეთა სრული ჩართულობის გადამწყვეტი როლის გამო.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სპორტული განათლების მოდელი (SEM) არის სასწავლო მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს, გაზარდოს მოსწავლეების გამოცდილება და შედეგები როგორც ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, ასევე, სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში. ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს უნარების განვითარებას, გუნდურ მუშაობასა და პიროვნულ ზრდას, სპორტული გამოცდილებით.

სისტემური მიმოხილვა და მრავალდონიანი მეტაანალიზი, რომელიც ჩატარდა ამ მიდგომის სწავლების ძირითად საჭიროებაზე, შინაგან მოტივაციასა და პროსოციალურ დამოკიდებულებებზე, მოიცავდა ამ თემებზე კვლევის შედეგების ანალიზსა და სინთეზს.

კვლევამ აჩვენა, რომ სპორტული განათლების მოდელი (SEM) აქვს დადებითი ეფექტი ავტონომიაზე (g ¼ 0.43; CI 95% [0.12, 0.74]),

კომპეტენციაზე (g ¼ 0.42; CI 95% [0.17, 0.67]) და მიჯაჭვულობა/ურთიერთდაკავშირებულობაზე (g ¼ 0.57; CI 95% [0.28, 0.85]), შინაგან მოტივაციასა (g ¼ 0.63; CI 95% [0.37, 0.89]) და პროსოციალურ დამოკიდებულებებზე (g ¼ 0.46; CI 95% [0.09, 0.83]). ანალიზი მიუთითებს, რომ მდგრადი, სისტემური სპორტული განათლების მოდელი უფრო ეფექტურია, ვიდრე ფიზიკური აღზრდის ტრადიციული საგაკვეთილო მიდგომები და სტრატეგიები.

ძირითადი საჭიროებები, როგორც განსაზღვრულია თვითგამორკვევის თეორიით, ეხება სამ ფსიქო-ემოციურ საჭიროებას – ავტონომიას, კომპეტენციასა და მიჯაჭვულობას/კავშირს:

ავტონომია გულისხმობს კონტროლისა და არჩევანის გაკეთების აუცილებლობას, კომპეტენცია ეხება უნარისა და წარმატებულობის გრძნობას, ხოლო მიჯაჭვულობა/კავშირი გულისხმობს სოციალური კავშირისა და მიკუთვნებულობის გრძნობას.

შინაგანი მოტივაცია კი არის შინაგანი სწრაფვა, ჩაერთოს აქტივობაში საკუთარი ინტერესის საფუძველზე, პირადი სიამოვნებით, ცნობის მოყვარეობით ან კმაყოფილების გრძნობით, რომელიც გამოდინარეობს თავად აქტივობიდან. ხოლო პროსოციალური დამოკიდებულებები მოიცავს ისეთ ქცევებსა და რწმენას, რომლებიც ხელს უწყობს სხვების კეთილდღეობას, მაგ. თანამშრომლობა, თანაგრძნობა და ალტრუიზმი.

სპორტული განათლების მოდელი თეორიულად დადებითად აისახება ძირითად საჭიროებებზე, შინაგან მოტივაციასა და პროსოციალურ დამოკიდებულებებზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში. სპორტული განათლების მოდელის მიზანია, შექმნას დამხმარე გარემო, რომელიც ხელს უწყობს უნარების განვითარებას, სოციალურ ინტერაქციასა და პიროვნულ ზრდას. ამან შეიძლება გააძლიეროს მოსწავლის ავტონომიის, კომპეტენციისა და მიკუთვნებულობის გრძნობა, რაც გავლენას ახდენს შინაგანი მოტივაციისა და პროსოციალური დამოკიდებულების გაზრდა-გაუმჯობესებაზე.

¹ European Physical Education Review, Mika Manninen, Sara Campbell

კვლევაზე სპორტული განათლების შესახებ



ნინო გაბელიძე
განათლების სპეციალისტი

წინამდებარე სტატია წარმოადგენს სპორტული განათლების შესახებ ჩატარებული კვლევების შეჯამებას. კვლევების ფარგლებში, შესწავლილ იქნა სპორტული განათლების მოდელის გავლენა მოსწავლეების მოტივაციასა და სწავლის შედეგებზე.

სპორტული განათლების მოდელი, შესწავლილი კვლევის მიხედვით

ხშირად მოსწავლეები ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს ერთფეროვნად აღიქვამენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლის ინტერესი ნაკლებია აქვთ, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სწავლის ხარისხზე. ტრადიციული სწავლება ხშირად ორიენტირებულია უნარების აღწერა-დემონსტრაციასა და ცოდნის განვითარებაზე, გამეორებითი ვარჯიშების მეშვეობით. სწავლების ასეთი მეთოდები, შესაძლოა, ვერ პასუხობდეს მოსწავლეების საჭიროებებს და სრულად არ მიემართებოდეს ფიზიკური წიგნიერების თანამედროვე კონცეფციას.

სპორტული განათლების ყველაზე წარმატებული მოდელი განისაზღვრება, როგორც სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი და სწავლების მოდელი, რომელიც შეიქმნა იმისათვის, რომ მოსწავლეებს სპორტთან დაკავშირებული უფრო მდიდარი გამოცდილება მისცეს, ფიზიკური აღზრდის ფარგლებში. მოდელი შემუშავდა იმისათვის, რომ ფიზიკური აღზრდის

გაკვეთილები არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ სპორტის სხვადასხვა სახეობასთან დაკავშირებული ტექნიკების დასტრატეგიების ბედაპირული სწავლებით. იგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, გამოიმუშაონ ვარჯიშის ჩვევა და გაიუმჯობესონ ზოგადი სპორტული კულტურა.

სპორტული განათლების მოდელი ტრადიციული სწავლების მოდელისგან იმით განსხვავდება, რომ მოიცავს როლური თამაშის მნიშვნელოვან პროცესს, სადაც მოსწავლეები მუდმივად ირგებენ რამდენიმე როლს, როგორც კაპიტანი, მწვრთნელი, ბომბარდირი, გუნდის წევრი და ა.შ. ასევე, ორიენტირებულია იმაზე, რომ განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებს მიეცეთ განსხვავებული შესაძლებლობები, მიიღონ განსხვავებული გამოცდილებები და მიაღწიონ პოზიტიურ შედეგებს.

კვლევების ფარგლებში შესწავლილი სპორტული განათლების მოდელის მიზნები მოიცავდა შემდეგს:

1. მოსწავლეთა შემეცნების, ემოციისა და უნარების განვითარება.

სპორტული განათლების ყველაზე წარმატებული მოდელი განისაზღვრება, როგორც სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი და სწავლების მოდელი, რომელიც შეიქმნა იმისათვის, რომ მოსწავლეებს სპორტთან დაკავშირებული უფრო მდიდარი გამოცდილება მისცეს, ფიზიკური აღზრდის ფარგლებში.

**» ასევე, მრინსტიკიპულია
 იიაზა, რომ
 განსხვავებული უნარების
 მქონე მოსწავლეებს
 მიეცეთ განსხვავებული
 შესაძლებლობები,
 მიიღონ განსხვავებული
 გამოცდილებები და
 მიიღონ კოზიტიურ
 შედეგებს.**

2. მოსწავლეების ხელშეწყობა, გამოიმუშაონ პრობლემის გადაჭრისა და გეგმის შედგენის უნარები.
3. სპორტის მიმართ მათი ინტერესის გაზრდა.
4. ინტერპერსონალური ურთიერთობისა და გუნდური სულისკვეთების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

შესაბამისად, სპორტული განათლების მოდელი ფოკუსირდება არამხოლოდ სპორტულ უნარებზე, არამედ ჰოლისტურ კონტექსტზე – დაეხმაროს მოსწავლეებს, გახდნენ საზოგადოების მრავალმხრივ განვითარებული წევრები, შეიძინონ პოზიტიური გამოცდილება და ისწავლონ, როგორ ითანამშრომლონ სხვასთან და როგორ დაამყარონ წარმატებული კომუნიკაცია. ხარისხიანი სპორტული განათლების მოდელი მოიაზრებს სასწავლო გეგმებს, ორიენტირებულს სხვადასხვა უნარსა და ფორმაზე, რაც ჩართავს სხვადასხვა უნარის მქონე მოსწავლეებს გუნდურ გარემოში, სადაც სამართლიანი და ჯანსაღი კონკურენცია მიმდინარეობს. ასევე, მოსწავლეებს სჭირდებათ, ისწავლონ, თუ როგორ მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები შეჯიბრებებში, თავიანთი უნარების შესაბამისად.

სპორტული განათლება გულისხმობს კონკრეტული წესების შემუშავებას, დანერგვასა და გათავისებას. მოდელის დანერგვის შემდგომ, გარკვეულ ეტაპზე, მასწავლებლებს შეუძლიათ, შეცვალონ წესები, შეხვედრის ადგილები, აღჭურვილობები, მოსწავლეების როლები ჯგუფურ კომბინაციებში, როლური თამაშები – რათა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება, მოიფიქროს სტრატეგია, განივითაროს განსხვავებული უნარები, ისწავლოს თანამშრომლობა და გამოსცადოს საკუთარი და სხვისი წარმატება. სამართლიანი კონკურენციის პირობებში, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები

წახალისებული არიან, შეამცირონ სპორტის შიში, გაიძლიერონ მონაწილეობის მოტივაცია და ისწავლონ სხვების პატივისცემა.

სპორტული განათლების მოდელს ფიზიკური აღზრდისთვის 9 ძირითადი უპირატესობა აქვს:

1. შეჯიბრების წესებისა და შეზღუდვების მოდიფიცირება და შემცირება: თამაშის წესები, რომლებიც რთულია ან უფრო მაღალი დონის უნარებს მოითხოვს, შეიძლება უფრო მსუბუქი და მარტივად გამოსაყენებელი გახდეს, რათა განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებმაც შეძლონ მონაწილეობა.
2. როლური თამაშის კომპონენტი მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, თავი განსხვავებულ როლებში წარმოაჩინონ და ერთნაირად ითანამშრომლონ. ეს ქმნის საშუალებას, გაითავისონ იდეა, რომ გუნდი უფრო დიდი რამაა, ვიდრე ინდივიდი, ასევე, ეს ეხმარება მათ, გამოიმუშაონ პრობლემის გადაჭრის უნარები.
3. მასწავლებლის როლის ცვლილება: მასწავლებლის როლი იცვლება და განსხვავდება პირდაპირი მითითებების მიცემისგან. როდესაც მოსწავლეებს ნამდვილად რაიმე პრობლემა აქვთ, რასაც ვერ წყვეტენ როგორც გუნდი, მასწავლებლები მათ დაეხმარებიან, გადაჭრან პრობლემებს ან შეაშველებენ იდეას, იფიქრონ, თუ როგორ გადაჭრან პრობლემები თავად.
4. სპორტული განათლების კურსების შედგენას დიდი დრო სჭირდება – ტრადიციული მიდგომისგან განსხვავებულ სწავლებაზე გადასვლა საჭიროებს, მინიმუმ, რამდენიმე კვირას, რათა შედგეს სკოლის საჭიროებებს მორგებული კურსი სპორტული განათლების მოდელზე დაყრდნობით. მომზადების ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა



კვლევები აჩვენებს, რომ იქ, სადაც ფიზიკური ალზრად არ მოიხავეს გზოლოდ სპორტის გაკვეთილებს და მოიხარებს ხარისხიანი სპორტული განათლების სასკოლო მოდელს, მოსწავლეთა სწავლის მოტივაცია გნიშვნელოვნად გააღია, ვიდრე სკოლებში, სადაც მოსწავლეთა მოტივაცია ტრადიციული ფიზიკური აღზრდის მეთოდებით, მოსწავლეთა დიდი რაოდენობა უკმაყოფილო. ხარისხიანი სპორტული განათლების მოდელს ამაში დახმარება ნამდვილად შეუძლია, რადგან ბრდის გუნდში მიკუთვნებულობის განცდას. მასწავლებლები ერთხმად აღიარებენ, რომ ეს სწავლების უფრო წარმატებული მოდელია და პასუხისმგებლობის, ლიდერობისა და მოსწავლეთა მონაწილეობის მაჩვენებლები უმჯობესდება, თუმცა, მართალია ისიც, რომ წარმატებული სპორტული განათლების მოდელის/სასკოლო კურსის შედგენას მეტი დრო სჭირდება.

კურსიც დასრულდა – ეს მათ მისცემს მოტივაციას, მოემზადონ შემდეგი სეზონებისთვის.

9. სპორტული შეჯიბრებებისა და რიტუალების დაფასების სწავლა: იმ გარემოების გამო, რომ მოსწავლეები აკვირდებიან მოთამაშეების შესრულებას, ტექნიკასა და მოძრაობას, მათ შეუძლიათ, ისწავლონ ერთმანეთისგან და გამოიყენონ ეს უნარები მომდევნო თამაშებში.

სპორტული განათლების მოდელი იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ მრავალი ერთმანეთისგან განსხვავებული მიზანი, რომელიც მოიცავს არამხოლოდ უნარებს, არამედ შემეცნებას, კონკურენციის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას, სპორტულ ქცევასა და ფიზიკურ ფორმას. კვლევები აჩვენებს, რომ ტრადიციული ფიზიკური აღზრდის მეთოდებით, მოსწავლეთა დიდი რაოდენობა უკმაყოფილო. ხარისხიანი სპორტული განათლების მოდელს ამაში დახმარება ნამდვილად შეუძლია, რადგან ბრდის გუნდში მიკუთვნებულობის განცდას. მასწავლებლები ერთხმად აღიარებენ, რომ ეს სწავლების უფრო წარმატებული მოდელია და პასუხისმგებლობის, ლიდერობისა და მოსწავლეთა მონაწილეობის მაჩვენებლები უმჯობესდება, თუმცა, მართალია ისიც, რომ წარმატებული სპორტული განათლების მოდელის/სასკოლო კურსის შედგენას მეტი დრო სჭირდება.

სპორტული განათლების მოდელის გავლენა მოსწავლეთა მოტივაციაზე

ბუნებრივია, მოტივაცია მნიშვნელოვან გეგავლენას ახდენს სწავლის პროცესზე. განსაკუთრებით, შინაგან მოტივაციას აქვს პოზიტიური გავლენა მოსწავლეთა ქცევასა და სწავლაზე ფიზიკური განათლების განმავლობაში. ფიზიკური აღზრდის გაკვეთი-

ენიჭება ჯგუფურ დისკუსიებსა და ერთობლივ გადაწყვეტილებებს.

5. სპორტული განათლების მოდელი იყენებს შეფასების განსხვავებულ ინსტრუმენტებს, როგორც ინდივიდუალური და ჯგუფური სკალები, ნორმატივები, რუბრიკები, შეჯიბრებები, მიღწევების სტატისტიკა და ა.შ. იგი მასწავლებელს მუდმივად აძლევს საკუთარი სასწავლო გეგმის გადახედვა/მოდულიზაციის შესაძლებლობას.

6. გაზრდილი კომუნიკაცია და ინტერაქცია თანატოლებს შორის: კვლევითი ლიტერატურის უმეტესობაში ნაჩვენებია მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ინტერპერსონალური უნარების ტრენინგში, ვინაიდან მასწავლებლის მხრიდან მოცემული ამოცანების გადასატრედად, მოსწავლეებს მუდმივად უწევთ ერთმანეთთან კომუნიკაცია, ჯგუფური განხილვებისა თუ სხვა აქტივობების მეშვეობით.

7. სწავლების ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და ავტონომია: მასწავლებლები სწავლებაში თავიანთი ძალაუფლების ნაწილის დელეგირებას ახდენენ გუნდების ლიდერებზე, რათა მათ შეძლონ ლიდერული უნარების განვითარება, სამაუშოს დანაწილება, კომუნიკაცია. ასევე, ეს არის ეფექტური საშუალება, მოსწავლეებმა შეძლონ თვითმენეჯმენტი. მასწავლებლები, მიცემული უკუკავშირის მეშვეობით, ეხმარებიან მოსწავლეებს, იფიქრონ და განავითარონ პრობლემის გადაჭრის უნარები, რათა შეამცირონ კონფლიქტები.

8. დაჯილდოების სისტემა: მოდელი გულისხმობს მიდგომას, რომ ყველა დაჯილდოვდეს. ამაში მოიაზრება იმედი, რომ მოსწავლეები წახალისდებიან, კონკრეტული სპორტული სეზონის დასრულების შემდგომ არ იგრძნონ, რომ



ლების ერთ-ერთი მიზანია ფიზიკური აქტივობის გაზრდა და მოტივაციის ამაღლება, რომ ფიზიკური აღზრდის აქტივობები განხორციელდეს როგორც სკოლის შიგნით, ასევე, სკოლის გარეთ. კვლევები აჩვენებს, რომ იქ, სადაც ფიზიკური აღზრდა არ მოიცავს მხოლოდ სპორტის გაკვეთილებს და მოიაზრებს ხარისხიანი სპორტული განათლების სასკოლო მოდელს, მოსწავლეთა სწავლის მოტივაცია მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სკოლებში, სადაც მოსწავლეები ტრადიციულ ფიზიკურ განათლებას იღებენ. მოცემული კვლევა მოიცავდა სპორტული განათლების მოდელისა და მოტივაციაზე მოქმედი მისი ეფექტების შესახებ ჩატარებული კვლევების გაანალიზებასა და შეჯამებას, რაც ემსახურებოდა

ამ მონაცემების სისტემატიზებასა და უფრო ნათელ მონაცემებად დალაგებას. გაანალიზდა 14 კვლევის მონაცემები, რომელშიც 2146 მოსწავლე მონაწილეობდა (კვლევები შეირჩა რესურსებიდან: PubMed, Scopus, Web of Science; კვლევებში მონაწილე ქვეყნები: ესპანეთი, ჩინეთი, აშშ, ინგლისი, უმეტესობაში მონაწილეობდნენ 14-17 წლის მოსწავლეები).

ძირითადი მიზნები

13-მა კვლევამ მნიშვნელოვანი კავშირი აჩვენა სპორტული განათლების მოდელსა და მოსწავლეთა მოტივაციას შორის. უფრო მაღალი ავტონომიურობისა და მეტი სიმოვნების განცდა დაკავშირებული იყო



სწორედ სპორტული განათლების სასკოლო მოდელთან. მეტიც, გამოიკვეთა, რომ იგი ხელს უწყობდა ინკლუზიური ფიზიკური განათლების სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლეები უფრო მეტად ავლენდნენ ინტერესსა და მოტივაციას, ვიდრე ტრადიციული განათლებისა და პირდაპირი ინსტრუქციების შემთხვევაში.

შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა აღქმა, რომ სპორტული აქტივობები ძალას ართმევთ – იკლებს, ხოლო ფიზიკური აქტივობის დონე იმატებს. შესაბამისად, სპორტული განათლების მოდელი შეიძლება დავინახოთ, როგორც მოდელი, რომელიც მიემართება მოსწავლეების მოტივაციურ საჭიროებებს (ე.წ. თვითღეტერმინაციის თეორიის შესაბამისად,

რაც უკავშირდება მეტი ავტონომიით კმაყოფილებასა და უკეთეს სასწავლო გამოცდილებას). სპორტული განათლების მოდელი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, იმუშაონ როგორც გუნდმა, რითიც შესაძლებელი ხდება პასუხისმგებლობის გრძობის განვითარება. ის, თუ როგორ ნერგავს სკოლა ამ მოდელს, გადამწყვეტია წარმატებისთვის. აუცილებელია, ყველა მოსწავლეებელი მიჰყვეს ინტერვენციის წინასწარ განსაზღვრულ პროტოკოლს, ეს პირდაპირ აისახება მოსწავლეების წარმატებაზე, მათ უნარებსა და ტექნიკურ შესრულებაზე. რაც შეეხება მოტივაციურ ნაწილს, მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ განსხვავებული სტრატეგიები, მაგალითად, დამატებითი უპირატესობები განსაზღვრონ სამართლიანი თამაშისთვის და ა.შ.

კვლევა აჩვენებს, რომ სპორტული განათლების მოდელი პოზიტიურად მოქმედებს მოტივაციაზე, მოსწავლეებს უნარჩუნებს მზაობას, იყვნენ აქტიურები და მენტალურად მომზადებულები, გააუმჯობესონ თავიანთი შედეგები ფიზიკური განათლების გაკვეთილებზე. ცვალებადი როლების გამოყენება მოსწავლეებს მეტად მოტივირებულს ხდის, ვინაიდან მათ შეუძლიათ, შეასრულონ ის როლი, რაც კარგად გამოსდით და ეფექტიანი დახმარება გაუწიონ გუნდს. ასევე, ისინი გრძობენ მეტ პასუხისმგებლობას და უფრო აქტიურად ერთვებიან პროცესში.

სპორტული განათლების მოდელის გავლენა მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე

რადგანაც ტრადიციული ფიზიკური განათლება მოძრაობების დაუფლებასა და განმეორებად ოპერაციულ უნარებზე ფოკუსირდება, შექმნილ უნარებს/ცოდნასა და რეალურ სამყაროში მიმდინარე სპორ-

მოსწავლევს
 აქლევს საშუალებას,
 საგართლიანი
 კონკურენციის
 პრინციპების დაცვით,
 მონაწილეობა მიიღონ
 და ისინი მოვლენ
 თაბაშით, მიუხედავად
 იმისა, თუ რა როლი
 აქისრიათ. მოსწავლეები
 ხშირად ერთმანეთს
 ეხმარებიან წესების
 დაცვისა და სხვებისადმი
 კაზივისხამის
 კონსერვაციის
 გააზრებაში.



» ხარისხიანი სპორტული განათლების მოდელი უნიკალა გამოყენებულ იქნას მოსწავლეების წასახალისებლად, მონაწილეობა მიიღონ მონაწილეობა მიიღონ უეჭვირებელი, გაასწავლონ საგარეო სპორტული კონკურენციის მნიშვნელობა და განავითარონ მათი ცხოვრების განმავლობაში სწავლის უნარები. მოდელი ორიენტირებულია მოძრაობების რეალურ ქმედებად გადაქცევასა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოზიტიური სოციალური ინტერაქციების განვითარებაზე. მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ის წარმოადგენს, რომ მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით, მონაწილეობა მიიღონ და ისიამოვნონ თამაშით, მიუხედავად იმისა, თუ რა როლი აკისრიათ. მოსწავლეები ხშირად ერთმანეთს ეხმარებიან წესების დაცვისა და სხვებისადმი პატივისცემის კონცეფციების გააზრებაში.

ტულ შეჯიბრებებს შორის ხშირად დიდი აცდენაა. ხარისხიანი სპორტული განათლების მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსწავლეების წასახალისებლად, მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებებში, გააცნობიერონ სამართლიანი კონკურენციის მნიშვნელობა და განავითარონ მათი ცხოვრების განმავლობაში სწავლის უნარები. მოდელი ორიენტირებულია მოძრაობების რეალურ ქმედებად გადაქცევასა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოზიტიური სოციალური ინტერაქციების განვითარებაზე. მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ის წარმოადგენს, რომ მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით, მონაწილეობა მიიღონ და ისიამოვნონ თამაშით, მიუხედავად იმისა, თუ რა როლი აკისრიათ. მოსწავლეები ხშირად ერთმანეთს ეხმარებიან წესების დაცვისა და სხვებისადმი პატივისცემის კონცეფციების გააზრებაში.

ყოველთვის გვხვდებიან მოსწავლეები შედარებით დაბალი ან მაღალი სწავლის უნარებითა და მოტივაციით. ზოგი მოსწავლე თავს არიდებს ფიზიკური აღზრდის/სპორტის გაკვეთილებს, ვინაიდან არანაირი წარმატების მოლოდინი არ აქვთ. შესაბამისად, ხარისხიანი სპორტული განათლების მოდელის მიხედვით, სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს იმას, თუ როგორ მოვახდინოთ ზეგავლენა სწავლის დაბალი მოტივაციის მქონე მოსწავლეებზე. კვლევები აჩვენებს, რომ მათ, ვისაც ნაკლები ინტერესი და დაბალი მოტივაცია აქვთ, შესაბამისად, სწავლის შედეგებიც არასახარბიელო აქვთ. სპორტული განათლების მოდელი მრავალ აქტივობას მოიცავს, რასაც შეუძლია, მოსწავლეებს მისცეს საშუალება, მიიღონ უკეთეს შედეგებს შემეცნების, ემოციისა და უნარების თვალსაზრისით. ამ მოდელის მახასიათებლები, რაც მოიცავს ფორმალურ

კონკურენციას, ჯგუფურ ურთიერთობებსა და ხშირად „უნებურად“ სწავლას, იმაზე მეტად მიმზიდველია მოსწავლეებისთვის, ვიდრე სხვა, ტრადიციული სწავლის საშუალებები.

ერთ-ერთ სკოლაში, სადაც მთავარი სასკოლო სპორტი კალათბურთია, კვლევის მთავარი მიზანი იყო, დაედგინა, თუ რა ზეგავლენა ექნებოდა სპორტული განათლების მოდელის დანერგვას სწავლის მოტივაციასა და სწავლის შედეგებზე ფიზიკურ აღზრდაში, კონკრეტულად კი კალათბურთში. 8 კვირის განმავლობაში 16 სესია განხორციელდა, კვლევაში მონაწილეობა მიიღონ 10-მა მოსწავლემ. ისინი დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად, ერთი ჯგუფი ტრადიციული სპორტული აღზრდის სასწავლო გეგმას მიჰყვებოდა, მეორე კი მონაწილეობდა სპორტული განათლების სასკოლო მოდელის დანერგვაში. შემდგომ ამ ორი ჯგუფის შედეგები ერთმანეთს შეადარეს.

ძირითადი შედეგები – ხარისხიანი სპორტული განათლებისა და ტრადიციული ფიზიკური განათლების ზეგავლენა კალათბურთის სწავლის მოტივაციაზე

შედეგებმა აჩვენა, რომ სწავლის მოტივაციის ნაწილში მნიშვნელოვანი განსხვავებაა მოდელის დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ. სპორტული განათლების მოდელი მოიცავს სემონურ მიდგომას, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ისწავლონ შეჯიბრებების მეშვეობით, რაც ზრდის მათ ნებისა, მიიღონ მონაწილეობა. ჯგუფური მუშაობის მეთოდს შეუძლია წახალისოს მოსწავლეები, განავითარონ გადაწყვეტილების მიღებისა და პასუხისმგებლობის აღების უნარები, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს მათ მოტივაციასაც.

სპორტული განათლების მოდელს შეუძლია, მნიშვნელოვნად გაზარდოს არამოტივირებული მოსწავლეების ინტერესი

ზოგადად ფიზიკური განათლების მიმართ და განაწყო ისინი თანატოლებთან აქტიური ურთიერთობისთვის. შეუძლია გაზარდოს მიღწევისა და კმაყოფილების შეგრძნება სპორტის მიმართ და შესძინოს მოსწავლეებს სკოლის შემდეგ ვარჯიშის ჩვევა. შესაბამისად, თუ სწავლების მეთოდი და დიზაინი სწორადაა გამოყენებული და კურიკულუმი შედგენილია მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით, სპორტული განათლების ნებისმიერი აქტივობა იქნება არა „სტანდარტული“, არამედ „საინტერესო“.

ტრადიციული ფიზიკური განათლების გაკვეთილები, ჩვეულებრივ, მასწავლებელზეა ორიენტირებული – პრეზენტაციებით, დემონსტრაციებით, დაჯგუფებებითა და სტანდარტული პრაქტიკის მეთოდებით. ფოკუსირდება უნარის ათვისებაზე, სავალდებულო განმეორებად ქმედებებზე, რაც მოსწავლეებს ართმევს საშუალებას, ისიამოვნონ თამაშით; ვერ სწავლობენ, როგორ გამოიყენონ სტრატეგიები შეჯიბრებაში, ვერ ასტიმულირებს მოტივაციას და მოსწავლეები კარგავენ სწავლის მიზნებს. სპორტული განათლების სასკოლო მოდელი ტრადიციულზე მნიშვნელოვნად კომპლექსურია. შეუძლია, გაზარდოს მოსწავლეების მოტივაცია – მონაწილეობა მიიღონ სპორტში, ხელს უწყობს ჯგუფის წევრებს შორის დამოუკიდებლად სწავლასა და გუნდურ მუშაობას.

საორსული განათლების მოდელია და ტრადიციული ფიზიკური აღზრდის ზეგავლენა კალათბურთის სწავლის შედეგზე

სწავლის ეფექტები/შედეგები შეფასდა სამკატეგორიაში – ემოციური, კოგნიტური/შემეცნებით და ქცევითი. მნიშვნელოვანი განსხვავებაა სწავლის შედეგების მხრივაც მოდელის დანერგვამდე და შემდეგ. მოდე-

ლი მოიცავს როლურ თამაშებს, რაც გულისხმობს, რომ შედარებით დაბალი უნარების მქონე მოსწავლეებსაც შეეძლება მონაწილეობა განხვავებული როლებით. კვლევამ მნიშვნელოვნად უკეთესი შედეგები აჩვენა ემოციურ ნაწილში, რადგან ეს მოდელი მოიცავს მდიდარ მახასიათებლებს, როგორებიცაა ჯგუფური მუშაობა, როლების განაწილება, შეჯიბრებების სეზონი, დაჯილდოება და ა.შ. მაშინ, როდესაც ტრადიციული ფიზიკური განათლება, უმეტესწილად, ფოკუსირდება სტანდარტიზებული მოძრაობების უნარების გამეორება-დასწავლაზე, რითაც მოსწავლეები არ იღებენ სიამოვნებას სწავლის პროცესში.

ასევე, კვლევის მონაწილეებმა გაიუმჯობესეს კოგნიტური უნარები, ისწავლეს კალათბურთის წესები, ტექნიკები, მსაჯების სიგნალები და გაითავისეს კალათბურთთან დაკავშირებული სხვა არაერთი ინფორმაცია. სპორტული განათლების მოდელი ეფუძნება ჯგუფში სწავლას, თანატოლებთან კომუნიკაციასა და ინტერაქციას, მასწავლებლების როლი კი იცვლება ლიდერიდან მრჩეველამდე. მოსწავლეებს სჭირდებათ, იფიქრონ ტექნიკებზე, პრობლემის გადაჭრის სტრატეგიებზე და შეძლონ, გააცნობიერონ საკუთარი როლები და პასუხისმგებლობები. შესაბამისად, ეს მოდელი მათ ეხმარება, გაიუმჯობესონ სწავლის კოგნიტური/შემეცნებითი ასპექტები. თუმცა ამ ნაწილში ტრადიციულ მოდელსაც მეტ-ნაკლებად კარგი შედეგები ჰქონდა და რა-დიკალური განსხვავება ამორ მიდგომას შორის არ დაფიქსირდა. რაც შეეხება ქცევით კატეგორიას – სპორტული განათლების მოდელი მკვეთრად ახალისებს ჯგუფურ ურთიერთობებსა და თანატოლებს შორის მხარდაჭერას, მათ აქვთ მკაფიო როლები და პასუხისმგებლობები, რაც განაპირობებს, რომ მოსწავლეებს მეტი ინფორმაციის გაგება სურთ კალათბურთის შესახებ.

მოსწავლეებს
აკლავს საშუალებას,
სამართლიანი
კონკურენციის
პრინციპების დაცვით,
მონაწილეობა მიიღონ
და ისიამოვნონ
თამაშით, მიუხედავად
იმისა, თუ რა როლი
აქონდათ. მოსწავლეები
ხშირად ერთმანეთს
ხედავნიან წესების
დაცვისა და სხვებისადმი
პატივისცემის
კონცეფციების
გაზარდაში.



კვლევამ აჩვენა, რომ სპორტული განათლების მოდელი მოსწავლეებს ეხმარება, მნიშვნელოვნად შეცვალონ ქცევები. ტრადიციული მიდგომის შემთხვევაში, ამ ნაწილში არ დაფიქსირდა გაუმჯობესება, სპორტული განათლების მოდელის დანერგვის პირობებში კი მოსწავლეებმა ვარჯიშის ჩვევები განივითარეს – სკოლის შემდეგ ან არდადეგების დროსაც ისინი ერთად ვარჯიშობდნენ. სპორტული განათლების მოდელის კომპონენტები, როგორებიცაა გუნდები, შეჯიბრებები, სპორტული სეზონები და ა. შ. მეტად მიმზიდველია მოსწავლეებისთვის და მათ მეტი ხარისხის ინტერესს აღუძრავს, რაც კურსის დასრულების შემდეგაც ნარჩუნდება.

დასკვნის სახით, შეგვიძლია შევავაძოთ, თუ რა მიგნებები გამოიკვეთა ხარისხი-

ანი სპორტული განათლების მოდელის დანერგვის კვლევისას:

1. მოსწავლეებს არ აქვთ მხოლოდ ერთი როლი. ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, დაიკავოს მნიშვნელოვანი პოზიცია და ყოველი მათგანი შეუცვლელია. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მაშინც კი, თუ მათი უნარები შედარებით სუსტია, მათ მაინც შეუძლიათ შეასრულონ რაიმე მნიშვნელოვანი როლი, რომელიც დაეხმარება გუნდს საერთო წარმატებაში. ჯგუფში ყოველთვის იქნებიან რაღაც კუთხით უკეთესი და შედარებით სუსტი უნარების მქონე მოსწავლეები. შედარებით სუსტი უნარების მქონე მოსწავლეებს ხშირად ეშინიათ მონაწილეობის მიღების და ეს შიში დაბრკოლებად იქცევა. განაწილებული შრომა, რასაც სპორტული განათლების

მოდელი მოიცავს, მათაც ეხმარება. მოსწავლეები აანალიზებენ, რომ თამაშში მხოლოდ მოედანზე მყოფი წევრები არ მონაწილეობენ, არამედ, ასევე, მნიშვნელოვანია ის დახმარება, რასაც მოედნის მიღმა სწევს ბევრი ადამიანი.

2. მოსწავლეებში სპორტული განათლების მოდელი უფრო პოპულარულია, ვიდრე ტრადიციული, ვინაიდან უფრო სრულყოფილი და მდიდარია. ეს მოსწავლეებს ეხმარება, შეუყვარდეთ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები. ადრე ეს გაკვეთილები მოსაწყენი და უშინაარსო იყო, რაც იწვევდა მათ პასიურობას, მონაწილეობა მიელოთ. მოსწავლეები გრძნობენ, რომ სპორტული განათლების დამსახურებით, ეს გაკვეთილები უფრო საინტერესო გახდა, უფრო კონკრეტული მიზნები და მეტი მოტივაცია აქვთ, მეტი ძალისხმევა ჩადონ.

3. გუნდური მუშაობის კონცეფცია ძალიან ეხმარება დაბალი მოტივაციისა თუნაკლები უნარების მქონე მოსწავლეებს. ჯგუფში სწავლებას შეუძლია, ინფორმაციის უფრო სწავდა გავრცელებას შეუწყოს ხელი და გაზარდოს მოტივაცია, თანატოლებთან ურთიერთობების მეშვეობით. ეს დაბალი მოტივაციის მქონე მოსწავლეებს საშუალებას უქმნის, მონაწილეობა მიიღონ ვარჯიშებში, შეჯიბრებებში, სტრატეგიულ დისკუსიებში და ა.შ. სპორტული განათლების მოდელი გამუდმებით იყენებს ჯგუფურ მეთოდს, ზრდის გუნდურობასა და გუნდურ სულისკვეთებას, რათა ჯგუფში იზრუნონ, წახალისონ და გაზარდონ ერთმანეთი. სემონის მიმდინარეობასთან ერთად, მოსწავლეები ნელ-ნელა აცნობიერებენ ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობას და აღარ არიან ფოკუსირებული მხოლოდ მოგებასა და შეჯიბრებაზე. ისინი აღნიშნავენ, რომ წარსულში ხშირად თამაშობდნენ მარ-

ტო, გუნდური მუშაობის გარეშე, მაგრამ ამ მოდელის დანერგვასთან ერთად აღმოაჩინეს, რომ ასე შეუძლებელია წარმატების მიღწევა. აღმოაჩინეს, რომ გაკვეთილები გუნდურ გარემოში უფრო მეტად სასიამოვნო და მშვიდია. მოდელის დანერგვისას, საწყის ეტაპზე, ზოგი მოსწავლე ჯერ კიდევ არ იყო დიდი ენთუზიამით განწყობილი, მოთელვითი ვარჯიშებიც სიჩუმეში მიმდინარეობდა და კომუნიკაცია არ ხდებოდა, შედეგად, მოსწავლეები არ იყვნენ მოტივირებული, ესწავლათ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ეს მოსაწყენი აქტივობა იყო. თუ გუნდი მოახერხებს, გააცნობიერებინოს მოსწავლეებს, რომ ისინი მნიშვნელოვანი არიან და ღირებულ კონტრიბუციას ახდენენ, ამას შეუძლია განავითაროს ჯგუფთან მიკუთვნებულობის გრძნობა და ჯგუფის შეჭიდულობა, რასაც პოზიტიური გავლენა აქვს სწავლაზე.

4. ამ მოდელის დანერგვის შემდეგ მოსწავლეების უმრავლესობაში აშკარად შეინიშნებოდა ქცევის ცვლილება, მაგრამ იყო მცირე რაოდენობა მოსწავლეებისა, სადაც ეს ცვლილება არ გამოიხატა. ზოგმა საკლის შემდგომ ვარჯიშის დრო და რაოდენობა გაზარდა და აქტიურად სწავლობდა ყველა ინფორმაციას, რაც კალათბურთს უკავშირდებოდა. გახდნენ უფრო აქტიურები შეჯიბრებების გამო, დაიწყეს ტექტიკების გამოცდა გაკვეთილის შემდეგ. ზოგიერთმა როცა იგრძნო, რომ გუნდისთვის დახმარების გაწევა შეეძლო, შეიცვალა კიდევ ქცევა. უმეტესობამ გააცნობიერა ფიზიკური მომზადების მნიშვნელობა და ფიზიკური ფორმის გაუმჯობესების სურვილი გაუჩნდა. თუმცა მცირე რაოდენობამ მაინც ჩათვალა, რომ ეს მათარსჭირდებოდათ. მოსწავლეებს სჯერათ, რომ საზეიმო აქტივობები, რაც მანამდე არ იყო ხელმისაწვდომი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე, ღირებული გამოცდილებაა. დაჯილდოების ცერემონიების წინ მოს-

სპორტული განათლების მოდელი უფრო პოპულარულია, ვიდრე ტრადიციული, ვინაიდან უფრო სრულყოფილი და მდიდარია. ეს მოსწავლეებს ეხმარება, შეუყვარდეთ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები. ადრე ეს გაკვეთილები მოსაწყენი და უშინაარსო იყო, რაც იწვევდა მათ პასიურობას, მონაწილეობა მიელოთ. მოსწავლეები გრძნობენ, რომ სპორტული განათლების დამსახურებით, ეს გაკვეთილები უფრო საინტერესო გახდა, უფრო კონკრეტული მიზნები და მეტი მოტივაცია აქვთ, მეტი ძალისხმევა ჩადონ.

3. გუნდური მუშაობის კონცეფცია ძალიან ეხმარება დაბალი მოტივაციისა თუნაკლები უნარების მქონე მოსწავლეებს. ჯგუფში სწავლებას შეუძლია, ინფორმაციის უფრო სწავდა გავრცელებას შეუწყოს ხელი და გაზარდოს მოტივაცია, თანატოლებთან ურთიერთობების მეშვეობით. ეს დაბალი მოტივაციის მქონე მოსწავლეებს საშუალებას უქმნის, მონაწილეობა მიიღონ ვარჯიშებში, შეჯიბრებებში, სტრატეგიულ დისკუსიებში და ა.შ. სპორტული განათლების მოდელი გამუდმებით იყენებს ჯგუფურ მეთოდს, ზრდის გუნდურობასა და გუნდურ სულისკვეთებას, რათა ჯგუფში იზრუნონ, წახალისონ და გაზარდონ ერთმანეთი. სემონის მიმდინარეობასთან ერთად, მოსწავლეები ნელ-ნელა აცნობიერებენ ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობას და აღარ არიან ფოკუსირებული მხოლოდ მოგებასა და შეჯიბრებაზე. ისინი აღნიშნავენ, რომ წარსულში ხშირად თამაშობდნენ მარ-

» სპორტული განათლების სასკოლო მოდელი ტრადიციულად მნიშვნელოვნად კომპლექსურია. შეუძლია, გაზარდოს მოსწავლეების მოტივაცია – მონაწილეობა მიიღონ სპორტში, ხელს უწყობს ჯგუფის წევრებს შორის დამოუკიდებლად სწავლასა და გუნდურ მუშაობას.



წავლენები სასიამოვნოდ აღელვებული იყვნენ. როდესაც იგებდნენ, რომ გაიმაჯვეს, ძალიან ბედნიერად გრძობდნენ თავს. მოსწავლეები გრძობენ, რომ სასწავლო გეგმა საკმაოდ დივერსიფიცირებულია და შეუძლია არამხოლოდ ცოდნის, არამედ მათი სპორტისგან სიამოვნების მიღების გაუმჯობესებას. შანსი, რომ საბოლოოდ მონაწილეობა მიიღონ დაჯილდოების ცერემონიაში, მოსწავლეებს ანიჭებს შეგრძნებას, რომ „ეს ყველაფერი ამაღ ღირდა“.

5. მოსწავლეთა უმეტესობა გრძობს, რომ სპორტული განათლების მოდელს, სპორტის სხვადასხვა სახეობის გამოყენების პირობებში, განსხვავებული შეგრძნებების მოტანა შეუძლია. შესაბამისად, მათ ცალსახად პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ ამ მოდელის მიმართ. ეს აძლიერებს ემოციებს თანატოლებს შორის და ეხმარება სწავლის სხვა შედეგების მიღწევას.

აღნიშნული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ სპორტული განათლების მოდელს მნიშვნელოვნად დადებითი ზეგავლენა აქვს ემოციაზე, კოგნიტურ უნარებსა და ქცევაზე და იგი სჯობს ფიზიკური აღზრ-

დის ტრადიციულ მოდელს. იგი ეხმარება გუნდური სულისკვეთების განვითარებას, ხელს უწყობს მეგობრობას მოსწავლეებს შორის, შრომის განაწილების მეშვეობით. ისინი ხვდებიან, რომ სწავლების პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოგება ან წაგება, შეუძლიათ მიიღონ კონკურენციის გამოცდილება და განიცადონ წარმატებისგან მიღებული სიამოვნება. კურიკულუმი მათ აძლევს საშუალებას, გააუმჯობესონ ფიზიკური შესაძლებლობები და განვიითარონ ცხოვრების განმავლობაში სპორტის მიმართ ინტერესის ჩვევა.

იდეები / აქტივობები სკოლური განათლების სასკოლო მოდელის / გეგმის შესაგუზავებლად



წყარო: LIVING-DEMOCRACY.COM

სასკოლო აქტივობები ფორიკური / სკოლური განათლების ხელშეწყობად	კანონმდებელი ჯგუფი / კლასი / მოსწავლე / მშობელი / სხვა
<p>მაღალი კლასის მოსწავლეები ამომავალი სამუშაოებს აწარმოებენ სკოლის ეზოში და გამოყოფენ და აღნიშნავენ სავალ/სარბენ ბილიკებს.</p>	
<p>მოსწავლეები მონაწილეობენ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწესრიგებაში, რათა იგი უფრო მოსახერხებელი გახდეს. მზადდება ინსტრუქცია და გამოყენების წესები ყველა ინვენტარისათვის.</p>	
<p>ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა და რესურსები სკოლის ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილზე განთავსებული. სკოლა შეიძენს ან შემოწირულობის სახით მიიღებს საცავს, რომელშიც მოსწავლეები შეიტანენ აღნიშნულ აღჭურვილობას და უზრუნველყოფენ მათ სათანადო პირობებში შენახვას.</p>	
<p>მოსწავლეებისთვისა და მასწავლებლებისთვის იგეგმება ცეკვის სწავლებისათვის საჭირო რესურსების მომარაგება. ცეკვებისთვის საჭირო მუსიკის ატვირთვა ხდება საერთო პლატფორმაზე.</p>	
<p>სკოლა შეიძენს ან იმარაგებს პორტატულ აღჭურვილობას, რომელშიც შედის მიკროფონები, ხმის გამაძლიერებლები, მეგაფონები, ღია ცის ქვეშ გასამართი ღონისძიებებისათვის.</p>	
<p>სკოლა შეიძენს ან იმარაგებს აღჭურვილობას, რომელიც საჭიროა ღია ცის ქვეშ გამართული გუნდური და სათავგადასავლო თამაშებისათვის (მაგ. მუხლუხები, მილები და ა.შ.).</p>	

თითოეულ კლასს აქვს საკუთარი „ჩანთა“ კონკრეტული აღჭურვილობისათვის და ამ კლასის მოსწავლეები პასუხისმგებელი არიან აღჭურვილობის განაწილებაზე, შეგროვებასა და შენახვაზე. სკოლის სათამაშო მოედნის გვერდით არის მოწყობილი სპეციალური საცავი, სადაც ყველა კლასი საკუთარ აღჭურვილობას ინახავს.

სკოლა მიმართავს შესაბამის პასუხისმგებელ პირებს, გზებზე ნიშნულების დასატანად საჭირო შაბლონების მათთვის დროებით გადაცემის თხოვნით. მშობლებთან დახმარებითა და გზებზე ნიშნულების დატანაზე პასუხისმგებელი პირის ხელმძღვანელობით, მოსწავლეები სკოლის ეზოში აწარმოებენ ნიშნულების დატანას ან არსებული ნიშნულების განახლებას.

ჩვენ უარს ვამბობთ „არ ირბინო“ პოლიტიკაზე, და საშუალებას ვაძლევთ ბავშვებს, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, თავისუფლად ირბინონ ეზოში, რადგან ვიცით, რომ ფიზიკური ვარჯიშის გარეშე ცხოვრება ადამიანის გულზე, ხერხემალზე და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე უარყოფითად ზემოქმედებს. სკოლის სივრცე დატვირთულია ფიზიკური აქტივობის მამოტივირებელი მასალით (პოსტერები, პლაკატები, ფოტოები, ნახატები).

სკოლა ორგანიზებას უწევს სკოლის სათამაშო მოედნის პერიმეტრის გარშემო წრიული სარბენი ბილიკის მოწყობას. მოსწავლეებს შეუძლიათ, წრეზე იარონ, ირბინონ ან იძუნძულონ გაკვეთილებს შორის დასვენებების დროს და აღრიცხონ შესრულებული წრეების რაოდენობა თავიანთ „ჟურნალებში“. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებისათვის დგინდება სხვადასხვა სამიზნე მანძილი და დრო.

გაკვეთილებს შორის დასვენებების დროს მოსწავლეებს შეუძლიათ იხტუნონ სახტუნაობით, რომლებიც სკოლას ამ მიზნით აქვს მომარაგებული.

სკოლის მწე უზრუნველყოფს ხმის გამაძლიერებლის დასამაგრებელი გორგოლატებიანი მოწყობილობის დამზადებას, რომლის გატანაც სკოლის ეზოში მარტივად იქნება შესაძლებელი, გაკვეთილებს შორის დასვენებების დროს, რათა მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ, მუსიკის თანხლებით იცეკვონ და გაერთონ შესვენებებზე.

ცეკვის დღე – მაგალითად, ყოველ ოთხშაბათს, სათანადო აღჭურვილობა – მიკროფონები, ხმის გამაძლიერებლები, მეგაფონები – მონტაჟდება სკოლის ეზოში და დიდი დასვენების დროს მოსწავლეები ერთგებიან აქტივობაში, რომელიც სკოლის ეზოში მუსიკის თანხლებით ცეკვას გულისხმობს. მოსწავლეებს შეუძლიათ, სპეციალურ ყუთში საკუთარი შეთავაზებების მოთავსებით, მოითხოვონ მათთვის სასურველი საცეკვაო მუსიკა.

სასკოლო აქტივობები ფიზიკური / სპორტული განათლების სელფსაწყობად	კანონმდებელი ჯგუფი / კლასი / მოსწავლე / მშობელი / სსპ
<p>ათწუთიანი ფიზიკური აქტივობა ხუთშაბათობით – ყველა კლასის მოსწავლეები ერთვებიან ათწუთიან უწყვეტ ფიზიკურ აქტივობაში, რომელიც ყოველ ხუთშაბათს სკოლის ეზოში იმართება. ფიზიკური აქტივობა შეიძლება გულისხმობდეს ხტუნვას, ვარჯიშს, ჰულა-ჰუპის გამოყენებას, ცეკვას. აქტივობების გამრავალფეროვნება ხდება მუდმივად, შესაძლებლობების ფარგლებში.</p>	
<p>დღე ფეხბურთის გარეშე – სკოლაში არსებობს წესი, რომლის თანახმადაც, მაგალითად, ყოველ პარასკევს ფეხბურთის თამაში იკრძალება სკოლის სათამაშო მოედანზე და მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოიგონონ ალტერნატიული აქტივობები და გაერთონ ფეხბურთის სათამაშო მოედანზე.</p>	
<p>„საუბარი ფეხით გასეირნებისას“ – სკოლის თანამშრომლები მოუწოდებენ მოსწავლეებს, ჩართონ ნაკლებად აქტიური თავიანთი თანატოლები აქტივობაში, რომელიც გულისხმობს გაკვეთილებს შორის შესვენებების დროს მეტ მოძრაობას სკოლის დერეფნებსა თუ სკოლის ეზოში.</p>	
<p>„ეზოს მეგობრები“ პასუხისმგებლობას იღებენ უმცროსკლასელი მოსწავლეების მეთვალყურეობაზე, როდესაც ისინი რაიმე ფიზიკური აქტივობით არიან დაკავებული და მიჰყავთ ისინი სარბენ თუ სასეირნო ბილიკებზე, რა დროსაც უმცროსკლასელი მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, ისარგებლონ სივრცით და ჩაერთონ ფიზიკურ აქტივობაში.</p>	
<p>მაღალი კლასების მოსწავლეები ქმნიან მარტივ საცეკვაო ილეთებს, რომლებსაც ისინი, შემდგომ, სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს ასწავლიან და დგამენ ე.წ. ფლეშმობს.</p>	
<p>მოსწავლეები აწარმოებენ დღიურს, რომელშიც შეჰყავთ მონაცემები ყოველდღიურად შესრულებული, მათი ასაკის შესაბამისი ფიზიკური აქტივობების შესახებ. მოსწავლეთა მიზანს წარმოადგენს ყოველდღიურად 60 წუთი დაუთმონ ფიზიკურ ვარჯიშს. მოსწავლეებს, რომლებიც წარმატებით გაართმევენ თავს დასახულ ამოცანას, გადაეცემათ სპეციალური სტიკერები.</p>	
<p>მოსწავლეებს ფიზიკური დატვირთვის აღრიცხვის ჟურნალში შეაქვთ ინფორმაცია მთელი წლის განმავლობაში; ამ მიზნით თითოეული მათგანი ირჩევს ნებისმიერ ორკვირიან ბლოკს. მოსწავლეებს მათ მიერ არჩეულ ბლოკში შეაქვთ ყველა ის აქტივობა, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ ყოველდღიურად და ცდილობენ, რაც შეიძლება ბევრ აქტივობაში მიიღონ მონაწილეობა. სპეციალური ჯილდოები გადაეცემათ იმ მოსწავლეებს, რომლებიც ყოველდღიურად ერთ-ერთიანი ფიზიკურ აქტივობებში და, ასევე, იმ მოსწავლეებს, რომლებიც კონკრეტულ შედეგებს იღებენ მათ მიერ შესრულებული ფიზიკური აქტივობებით.</p>	

ყოველ დილით, გაკვეთილების დაწყებამდე, მოსწავლეები ასრულებენ ფიზიკურ ვარჯიშს, მაგალითად, ასკინცილათი შემოუვლიან სკოლის შენობას, სათამაშო მოედანის გარშემო ორ წრეს ასრულებენ სირბილით, ასრულებენ 50 ნახტომს და ა.შ. მასწავლებლები იღებენ გადაწყვეტილებას მათი მოსწავლეების ასაკისთვის შესაბამისი ფიზიკური აქტივობის შესახებ.

მეორე კლასის ზევით მოსწავლეები მონაწილეობენ ღონისძიებაში, რომელიც, მაგალითად, ყოველ სამშაბათს იმართება და გულისხმობს ერთი კილომეტრის გარბენას.

გაკვეთილებს შორის მოსწავლეები ასრულებენ ორწუთიან ფიზიკურ ვარჯიშს, რაც მათ ეხმარება კონცენტრაციის, წონასწორობის, სხეულის მდგომარეობის, მოქნილობის და ა.შ. გაუმჯობესებაში.

სკოლაში ეწყობა გამოფენა სკოლის ყველა მოსწავლის მონაწილეობით, რომლის დროსაც მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, კონკრეტულად, მათ მიერ შექმნილ აქტიური სკოლის პლაკატსა და ლომუნგს. ცალკეული კლასის მოსწავლეების ნამუშევრები გამოიფინება ცალკე სივრცეში.

საშინაო დავალებებთან ერთად, მოსწავლეებს ყოველდღიურად ეძლევათ დავალება, 10 წუთი დაუთმონ კონკრეტულ ფიზიკურ ვარჯიშს.

თითოეული კლასი აწყობს, სულ მცირე, ერთ საგანმანათლებლო მსვლელობას ყოველ სემესტრში. ამგვარი მსვლელობების დაგეგმვა ხდება სემესტრის დასაწყისში და მონიშნულია სკოლის კალენდარზე. კლასებს შეუძლიათ დაგეგმონ მსვლელობები სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის საფუძველზე, მაგალითად, ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად, ბუნებაში, მდინარის ნაპირზე და ა.შ.

სკოლაში ეწყობა კონკურსი აქტიური სკოლის სტიკერის შესაქმნელად, რომელშიც სკოლის ყველა მოსწავლე მონაწილეობს. კონკურსში გამარჯვებული სტიკერი დაიბეჭდება ასლების სახით და დაურიგდება სკოლის მოსწავლეების მშობლებს, თავიანთ ავტომანქანებზე მისაკრავად.

აქტიური სკოლის ჰიმნი – სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლებთან ერთად, თხზავენ აქტიური სკოლის ჰიმნს, რომელიც გამოიყენება სპორტული აქტივობების (შეჯიბრებების, მარათონების დროს).

სასკოლო აქტივობები ფიზიკური / სპორტული განათლების სელფსაწყობად	კანონმდებელი აქტი / კლასი / მოსწავლე / მშობელი / სპპ
<p>გაიცემა ფიზიკურ აქტივობაზე ორიენტირებული ჯილდოები/პრიზები, მაგალითად, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეიძლება გადაეცეთ ჯილდო, რომელიც ადგილობრივ გასართობ მოედანზე რაიმე ექსკლუზიურ აქტივობას მოიცავს, ან მათ მიეცემათ დამატებითი დრო სკოლის სათამაშო მოედანზე გასართობად, ასევე, მოსწავლეებს, ჯილდოს სახით შეუძლიათ სცადონ პენალტით კარში ბურთი გაუტანონ მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს ან სკოლის დირექტორს.</p>	
<p>შეჩერდი და იხტუნავე – მაგალითად, აპრილის თვეში მოსწავლეები და მასწავლებლები ერთვებიან ინიციატივაში, სახელწოდებით „შეჩერდი და იხტუნავე“, რაც გულისხმობს იმას, რომ როდესაც ზარის (ან რაიმე სპეციფიკურ) ხმას გაიგებენ, ანებებენ თავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელშიც ისინი არიან ჩართული და იწყებენ ხტუნვას მანამ, სანამ ზარი (ან შერჩეული ხმა/სიგნალი) განმეორებით არ დარეკავს.</p>	
<p>კვირის სხვადასხვა დღეს შესვენებებზე სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიში სრულდება, მაგალითად, ორშაბათი – ხტუნვა „მაკრატელი“; სამშაბათი – ადგილზე სირბილი; ოთხშაბათი – თავისუფალი ვარჯიში, ხუთშაბათი – მუხლის იდაყვთან მითანა; პარასკევი – მასწავლებლის ან მოსწავლის მიერ შერჩეული ვარჯიში და ა.შ.</p>	
<p>მებაღეთა კლუბი, რომელიც გუნდური თამაშებითა და სპორტით ნაკლებად დაინტერესებულ მოსწავლეებს სთავაზობს ფიზიკურ აქტივობაში ჩაბმას, როგორცაა მცენარეების დარგვა, მიწის სარეველებისგან გაწმენდა, ნარგავების მორწყვა, სასუქის დაცრა და მოსავლის აღება.</p>	
<p>სკოლას სტუმრობს ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელი, რომელიც მოსწავლეებს ესაუბრება საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p>	
<p>კვირის რომელიმე დღე, მთელი წლის მანძილზე, ცხადდება სკოლაში ფეხით მგზავრობის დღედ. მაღალი ხილვადობის ჟილეტებში ან კონკრეტული ფერის სამოსში გამოწყობილი მოსწავლეები მონაწილეობენ ღონისძიებაში.</p>	
<p>სკოლის ყველა მოსწავლეს ურიგდება ბარათები, რომლებიც სკოლაში ფეხით სიარულს აღრიცხავს. საინიციატივო ჯგუფი აწარმოებს აღნიშნულ ბარათებზე მონიტორინგს; ჯგუფის წევრებს აღნიშნები დააქვთ იმ მოსწავლეთა ბარათებზე, რომლებიც სკოლაში ფეხით მოდიან.</p>	

„ლამაზი“ ფეხსაცმლის დღე – მოსწავლეები სხვადასხვაგვარად რთავენ და ალამაზებენ საკუთარ ფეხსაცმლებს, რაც ემსახურება სკოლაში ფეხით სიარულისა და ფიზიკური ვარჯიშის პოპულარიზაციას.

სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეების მშობლებს ეგზავნებათ კითხვარი, რომელსაც ისინი ავსებენ ინფორმაციით, რომელიც ეხება მათი შვილების სკოლაში ფიზიკურ დატვირთვასთან (ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, ფიზიკური აქტივობები, სპორტი) დაკავშირებულ გამოცდილებას. მშობლებისგან მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდება მიმართულებები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.

ტენისის კლუბის (ან სხვა ნებისმიერი სპორტული კლუბის) წევრი სკოლაში აწყობს სამუშაო შეხვედრას/სემინარს, რომელში მონაწილეობის შესაძლებლობაც აქვთ ნებისმიერი კლასის მოსწავლეებს და რომლის ფარგლებშიც ისინი ეცნობიან, თუ რას სთავაზობს მათ ეს სპორტული კლუბი.

სკოლა მოსწავლეებსა და მშობლებს შესაძლებლობას აძლევს, სპორტი აღიქვან, როგორც დადებითი, უსაფრთხო და სასიამოვნო გამოცდილება, რომელსაც შეიძლება საზოგადოებისათვის სასარგებლო დატვირთვაც მიენიჭოს – მოეწყოს საქველმოქმედო მარათონები, მატჩები და ა.შ.

საინიციატივო ჯგუფი, მოსწავლეთა გამოკითხვის საშუალებით, აწარმოებს კვლევას იმის გასარკვევად, თუ რომელ კლუბებში არიან გაწევრიანებული მოსწავლეები ან სურთ გაწევრიანება.

მოსწავლე და სასკოლო დისციპლინა



დენის წურჭუბია

განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს შიდა აუდიტის
დეპარტამენტის შიდა აუდიტის
სამმართველოს უფროსი,
განათლების სამართლის გვერდშემატი

სკოლის მოსწავლის დისციპლინის საკითხი და, დარღვევის შემთხვევაში, მასზე რეაგირების საშუალებები ისტორიულად (ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რომსა და საბერძნეთში) განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, ქვეყნების, კულტურის, პერიოდისა და სოციალურ ქცევაზე გავლენის მქონე სხვა გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, კატეგორიულად დაყოფის შემთხვევაში, ძირითადად შემდეგი მიმართულებების გამოყოფა შეიძლება:

ყველაზე დიდი ისტორიის მქონე მეთოდი იყო ფიზიკურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული სასჯელები (ტერმინოლოგიის თვალსაზრისით, თანამედროვე საგანმანათლებლო სიტემაში გამოიყენება „სახდელი“, და არა „სასჯელი“) და სხვა ტიპის მოქმედებები, რაც დაკავშირებული იყო ფიზიკურ დასჯასთან. ფიზიკური დასჯა გამოიყენებოდა ექსკლუზიურად, მასწავლებლის შეხედულების მიხედვით და იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე არ იჩენდა საკმარის ყურადღებას, არღვევდა წესრიგს ან ჰქონდა დაბალი შედეგები. ცხადია, დღეს მოქმედი კანონმდებლობა

კატეგორიულად გამორიცხავს ფიზიკურ დასჯასთან და ფიზიკურ ზემოქმედებასთან შესაძლო კავშირის მქონე ყველა მეთოდს. ერთდერითი სახდელი, რასაც კანონი ითვალისწინებს და თეორიულად შესაძლოა უკავშირდებოდეს მოსწავლის მხრიდან გარკვეული ფიზიკური აქტივობის განხორციელებას, ესაა სკოლისთვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება, თუმცა, ცხადია, სახდელის მიზანს არ წარმოადგენს ფიზიკური დასჯა. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში, ასევე, უარი ითქვა დისციპლინასა და მოსწავლის შეფასებას შორის კავშირზე, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.

აღსანიშნავია, რომ „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი არ არეგულირებდა მოსწავლის მიერ სკოლაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებულ რეაგირების მექანიზმებს, პროცედურებს და გარანტიებს, არამედ აღნიშნულის უფლებამოსილებას აკისრებდა ინდივიდუალურ დოკუმენტს

თანამედროვე

საგანმანათლებლო

სისტემაში, ასევე, უარი

ითქვა დისციპლინასა და

მოსწავლის უფასებას

შორის კავშირზე,

კერძოდ, მოქმედი

კანონმდებლობით,

დაუშვებელია მოსწავლის

აკადემიური უფასება

განპირობებული იყოს

მისი დისციპლინით.





» **საკანონმდებლო
დონეზე მოსწავლის
დისცილინასთან
დაკავშირებული საკითხი
მთავალისწინებულ იქნა
2005 წლიდან, "ზოგადი
განათლების შესახებ"
საქართველოს კანონის
მიუხედავად ერთად.**

(ხელშეკრულება მშობელსა და სკოლას შორის).

საკანონმდებლო დონეზე მოსწავლის დისცილინასთან დაკავშირებული საკითხი გთვალისწინებულ იქნა 2005 წლიდან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან ერთად. კანონმა ამომწურავად დაადგინა როგორც დისციპლინური გადაცდომის არსი და ფარგლები, ისე დისციპლინური დევნის პროცესი და სახდელის ზღვარი. კერძოდ, განისაზღვრა, რომ დისციპლინურ გადაცდომად შესაძლოა ჩაითვალოს მხოლოდ ის მოქმედება/უმოქმედობა, რომელიც მითითებულია კონკრეტულად სკოლის შინაგანაწესში. აღნიშნული გულისხმობს, რომ არც სკოლის დირექტორს (დირექციის სხვა რომელიმე წევრს) და არც მასწავლებელს, არ აქვთ უფლება, მოსწავლის ნებისმიერი ქმედე-

ბა დაადენტიფიცირონ დისციპლინურ გადაცდომად, თუ ეს პირდაპირ არ არის შინაგანაწესში გათვალისწინებული. შინაგანაწესს, სკოლის ფარგლებში მიღებულ/გამოცემულ სხვა დოკუმენტებთან შედარებით, აქვს მეტი ლეგიტიმაცია, რადგან მის მომზადება/დამტკიცებაში ჩართულია არაერთი მხარე, მათ შორის, სკოლის დირექცია, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები (რომელთაც სკოლის ფარგლებში აქვთ ყველაზე მრავალფეროვანი წარმომადგენლობა). იგივე მიდგომით შეიზღუდა დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ გამოსაყენებელი სახდელების ზომა და ფარგლები. კანონი სკოლას უტოვებს მოსწავლის მიმართ გამოსაყენებელი სახდელებისა და დევნის პროცედურების დადგენის უფლებამოსილებას, თუმცა სავალდებულოდ უთითებს, რომ სასკოლო დის-

ციპლინა დაცული უნდა იქნეს მხოლოდ იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას, ხოლო შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაბომადი.

გარდა კანონისა, ცალკეული პრინციპები მოსწავლის შესახებ დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2010 წელს დამტკიცებულ მოსწავლის ქცევის კოდექსში. წესი არ მოიცავს დისციპლინური დევნის პროცედურებს, არამედ განსაზღვრავს გარკვეულ ქცევით წესებსა და პრინციპებს, რაც შემდეგ უნდა გამოიყენონ ან განაცხადონ სკოლებმა, შინაგანაწესში დისციპლინური წარმოების პროცედურების გაწერის დროს.

აღნიშნული ქცევის წესები, პირველ რიგში, წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის/სახდელის ფორმულირების დამხარე მონაცემს იმ შესაძლო სახდელის გარდა, რაც ისედაც დაშვებულია კანონით: გაფრთხილება, მკაცრი გაფრთხილება, გაკვეთილიდან გაძევება, სკოლიდან დროებით დათხოვნა, სკოლისთვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული სახდელის გამოყენება სკოლას დამატებით ვალდებულებებსაც აკისრებს. მაგალითად, მოსწავლის სკოლიდან დროებით დათხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს). მეტიც, ამ (და მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების) შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, მოსწავლე ჰყავდეს თავისი უშუალო მზრუნველობის ქვეშ. ამასთან, დაუშვებელია, მოსწავლის მიმართ ხორციელდებოდეს დევნა და მას არ ჰქონდეს ინფორმაცია სკოლისგან იმ

გადაცდომის არსის შესახებ, რომელზეც დაწესებულებას აქვს ეჭვი. გარდა ამისა, მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე, დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს, ხოლო მოსწავლეს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას, წარდგეს მშობელთან ერთად.

მოსწავლის მიერ გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, სკოლის ინტერესი, გამოიყენოს მის მიმართ დისციპლინური სახდელის ზომა, წარმოადგენს ლეგიტიმურ ინტერესს, თუმცა ამან არ უნდა დააზიანოს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ინტერესი, კერძოდ, სკოლა ვალდებულია, მიიღოს ზომები, რათა დისციპლინურმა სახდელმა არ გამოიწვიოს მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისგან. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა მოსწავლის მიმართ სამართლებრივად შესაძლებელი იყოს კონკრეტული სახდელის გამოყენება, თუმცა სკოლამ, ამ შესაძლებლობასთან ერთად, უნდა განსაზღვროს შესაძლო ნეგატიური შედეგების მასშტაბი და თუ დაადგენს, რომ სახდელი, დიდი ალბათობით, გამოიწვევს მოსწავლის არსებით ჩამორჩენას, სკოლამ ამ სახდელზე უარი უნდა თქვას, რადგან სკოლის ნებისმიერი ქმედება უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის საუკეთესო ინტერესს. ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, კანონი ადგენს სახდელის ფორმას, რისი გამოყენებაც შეუძლია სკოლას, თუმცა იქვე აზუსტებს მისი გამოყენების სავალდებულო პირობებს. მაგალითად, კანონით შესაძლებელია, მოსწავლეს სახდელად დაეკისროს სკოლისთვის სასარგებლო საქმიანობა, მაგრამ რადგან შესაძლებელია ამგვარი საქმიანობის არსი სხვადასხვა დაწესებულებებმა განსხვავებულად აღიქვან, კანონი ადგენს, რომ ამ სახდელის გამოყენებისას, აუცილებელია,

კანონი სკოლას უბრუნებს მოსწავლის მიმართ გამოსაყენებელი სახდელისა და დევნის პროცედურების დადგენის უფლებამოსილებას, თუმცა სავალდებულოდ უთითებს, რომ სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იქნას გზოვით იმ მეთოდების გეგმავით, რომლის ეფუძნება მოსწავლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას, ხოლო შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი.

➤ **წესი არ მოიხავეს**
დისციპლინური ღვევის
პროცედურებს, არაგედ
განსაზღვრავს გარკვეულ
ქსევიტ წესებსა და
პრინციპებს, რაც უნდა
უნდა გამოიყენონ ან
განაპრსონ სკოლებმა,
უინაგანაწესი
დისციპლინური
წარმოების
პროცედურების გაწერის
დროს.

განისაზღვროს: სასარგებლო საქმიანობის შინაარსი, გამოყენების წესი და პირობები, საქმიანობის განხორციელების ადგილი სკოლის ტერიტორიის ფარგლებში, ხანგრძლივობა იმ პირობით, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლისთვის არ აღემატება დღეში ერთ საათს, საბაზო საფეხურის შემთხვევაში – დღეში ორ საათს, ხოლო საშუალო საფეხურის მოსწავლისათვის – დღეში სამ საათს და სხვ. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამგვარი საქმიანობის მოსწავლისათვის დაკისრება საჭიროებს მშობლის თანხმობას, ხოლო საქმიანობის პროცესში მოსწავლისათვის რაიმე ზიანის მიყენების შემთხვევაში, განხორციელდება მისი ანაზღაურება და მტკიცების ტვირთი დაეკისრება სკოლის ადმინისტრაციას.

სუბიექტური გადაწყვეტილების რისკის მაქსიმალურად შემცირების მიზნით, კანონმდებლობა განსაზღვრავს შინაგანაწესით დადგენილი სახდელის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ სუბიექტებს (დისციპლინური კომიტეტი, სააპელაციო კომიტეტი (არსებობის შემთხვევაში), სამეურვეო საბჭო), თუმცა მათი პროცესზე გავლენის შესაძლებლობები განსხვავებულია, გადაცდომის/სახდელის სიმძიმის გათვალისწინებით. მაგალითად, მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება – სკოლის დირექტორს, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება – დისციპლინურ კომიტეტს, ფარული კენჭისყრით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ გარიცხვა შესაძლოა, გარკვეულწილად, უკავშირდებოდეს სწავლის უფლების შეზღუდვას კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში, კანონი ზღუ-

დავს მის გამოყენებას მოსწავლის ასაკის გათვალისწინებით. კერძოდ, მოსწავლის გარიცხვა დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსწავლის დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებულ პროცესებზე ყველაზე მოცულობითი დოკუმენტი უნდა იყოს სკოლის შინაგანაწესი. შესაბამისად, შინაგანაწესი უნდა მოიცავდეს მითითებას ყველა იმ ქმედებაზე, რომელსაც სკოლა მიიჩნევს დისციპლინურ გადაცდომად და მხოლოდ ამ ქმედების ჩადენის შემთხვევაში შეიძლება მოსწავლისთვის სახდელის დაკისრება ჩაითვალოს ლეგიტიმურად. სახდელის განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია, ყველა გადაცდომა აღწერილი იყოს იმგვარად, რომ არ ქმნიდეს აკრძალული ქმედების ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, გადმოცემული იყოს მარტივად და გასაგებად. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება გადაცდომების ჩამონათვალს, სახდელებსა და დისციპლინური წარმოების პროცედურებს, ხელმისაწვდომი იყოს ყველა იმ პირისთვის, ვინც შესაძლოა თეორიულად დაექვემდებაროს ამ წარმოებას.

ჯანსაღი გარემოს უფლება



ნატა ვაჭარაძე

საპარტოვო მენეჯერი და მუნიციპალიტეტის საინჟინერო-პროექტური განყოფილების ხელმძღვანელი

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. ზოგადი განათლების ერთ-ერთ ძირითად მიზანს კი წარმოადგენს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ხელის შეწყობა კულტურულ ღირებულებათა პატივისცემაში და ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში – სკოლა) სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმების დაცვა კონსტიტუციით გათვალისწინებული განათლების უფლების მიღების მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. ბავშვები თავიანთი დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ სკოლაში, საკლასო ოთახში ან მის შემოგარენში. ამიტომ, ბუნებრივია, სასკოლო გარემო დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა სოციალური ჩვევებისა და ქცევის ჩამოყალიბებაზე. მოზარდის სრულყოფილი განვითარებისთვის და ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს სკოლაში წყლის, სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული

საკითხების უზრუნველყოფა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი რეგულირდება როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ სკოლას ავალდებულებს, სკოლის ტერიტორიაზე შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო. ამავე კანონის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მიღებულ იქნა 2005 წელს, რომლის მიხედვითაც, აღნიშნულ საკითხის მოწესრიგებაში ასევე ჩართულ მხარეს წარმოადგენდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. მუხლში ცვლილება შევიდა 2020 წლის 15 ივლისს და ჩამოყალიბდა ზემოხსენებული შინაარსით, სადაც ვალდებულება აქვს სკოლასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორი-

საპარტოვო კანონი



„ზოგადი განათლების შესახებ“ სკოლას ავალდებულებს, სკოლის ტერიტორიაზე შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო.

» „ჩველა ბავშვს აქვს
უფლება, სხორგოდეს
ჯანგართულ და
ხელშეწყობ გარემოში
– გარემოში, როგელის
უზრუნველყოფს ბავშვის
ზრდეს, განვითარებასა
და დასვენს
დაავადებებისგან.“

ებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელო-
ბისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.
ვინაიდან ჯანსაღ სასკოლო გარემოს
გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვების
ჯანმრთელობის დაცვისა და სასწავლო
პროცესის ეფექტიანობისათვის, მნიშვ-
ნელოვანია უსაფრთხო და საკმარისი
წყლით, კარგი სანიტარული პირობებითა
და ჰიგიენით უზრუნველყოფა და ხელმი-
საწვდომობა სკოლაში. დაცული უნდა იყოს
ის აუცილებელი მოთხოვნები, რაც უკავ-
შირდება ჰიგიენასა და სანიტარიას, წყლით
უზრუნველყოფას სკოლაში, დასუფთა-
ვებასა და ნარჩენების გატანას სკოლის

ტერიტორიიდან. აღნიშნული საკითხები
რეგულირდება საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №308/ნ
ბრძანებით დამტკიცებული დანართი №3-
ის („ჰიგიენური მოთხოვნები მოსწავლეთა
სწავლების პირობებისადმი სხვადასხვა
ტიპის თანამედროვე ზოგადსაგანმანათ-
ლებლო დაწესებულებებში“ – სანიტარი-
ული წესები და ნორმები) შესაბამისად.
მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახ-
ვილოთ საქართველოში არსებული სკო-
ლების გეოგრაფიულ მდებარეობაზე.
კერძოდ, სკოლები, დასახლების ტიპის



მიხედვით, გადანაწილებულია რეგიონების მიხედვით და გვხვდება როგორც ქალაქის, ისე სოფლისა და მთის სკოლები. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მდგომარეობა შედარებით უკეთესია ქალაქისა და სხვა ურბანული დასახლების სკოლებში. არსებობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც არ ფუნქციონირებს ცენტრალური წყალ-საკანალიზაციო სისტემა. აქედან გამომდინარე, მეტად რთულ საკითხს წარმოადგენს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების სრულად დაცვა.

2020 წელს მსოფლიოსთვის და, მათ შორის, საქართველოსთვის დიდი გამოწვევა

იყო კოვიდ-პანდემია და მისგან გამოწვეული შედეგები. საფრთხის ქვეშ იდგა ადამიანის მთავარი კონსტიტუციური უფლებები: სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განათლების მიღების უფლება. სკოლების გახსნასთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა კოვიდ-19 ვირუსის გავრცელების პრევენციისათვის მნიშვნელოვანი ზომების მიღება საკლასო ოთახებში და სკოლის სხვა სივრცეებში. ყოველდღიურად უნდა მომხდარიყო ისეთი ზედაპირებისა და საგნების გაწმენდა და დეზინფექცია, როგორებიცაა მერხები, სკამები, კარისა და ფანჯრის სახელურები



«
აღნიშნული საკითხები რეგულირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აპრილს N308/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართი N3-ის („ჰიგიენური მოთხოვნები მოსწავლეთა სწავლების პირობებისადმი სხვადასხვა ტიპის თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში“ – სანიტარიული წესები და ნორმები) შესაბამისად.

➤ **რეგიონულ პრიორიტეტულ მიზანს აღნიშნული კუთხით წარმოადგენდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა უსაფრთხო წყალსა და სანიტარიასთან ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით. 2020 წლისათვის ვალდებულავად განისაზღვრა, რომ თითოეული გავაჟინი სასსოვრკეპელუი, გავაჟითა დაწესაგულეგეჟი, საგავაჟო გალეგეჟი, სკოლეგსა და ჯანდაცვის დაწესაგულეგეჟი ხელმისაწვდომი ყოფილიყო უსაგაჟინი პიროგეჟი, უსაფრთხო წყლისა და სანიტარიის კუთხით.**

და ა.შ. კოვიდ-19-ის დროს ხელის ჰიგიენა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა. სკოლაში მყოფი პირებისათვის ხელების დაბანა იყო ერთ-ერთი უმარტივესი და ქმედითი აქტივობა, ვირუსის თავიდან აცილებების მიზნით, თავიანთი და სხვების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. თუმცა სკოლებში წყალმომარაგების პრობლემის არსებობა მეტად პრობლემური იყო.

„ყველა ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელ და ხელშემწყობ გარემოში – გარემოში, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ზრდას, განვითარებასა და დაცვას დაავადებებისაგან.“¹ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა აღნიშნული კუთხით მეტად საყურადღებოა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UN) ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოსცემს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (WHO/UNICEF) მონიტორინგის ერთობლივი პროგრამის ანგარიშს, აგრეთვე, სანიტარიისა და სასმელი წყლის გლობალური ანალიზისა და შეფასების ანგარიშს, რომელშიც საქართველომ 2013 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა. ქ. პარმაში გარემოსა და ჯანმრთელობის საკითხებზე ჩატარებულ კონფერენციაზე მიღებული დეკლარაციით განისაზღვრა ვალდებულებები, რომლებიც რეგიონულ პრიორიტეტულ მიზნებში აისახა:

რეგიონულ პრიორიტეტულ მიზანს აღნიშნული კუთხით წარმოადგენდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით. 2020 წლისათვის ვალდებულებად განისაზღვრა, რომ თითოეული ბავშვის საცხოვრებელში, ბავშვთა დაწესებულებებში, საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და ჯანდაცვის დაწესებულებებში ხელმისაწვდომი ყოფილიყო შესაბამისი პირობები,

უსაფრთხო წყლისა და სანიტარიის კუთხით.

საქართველოში 2020 წელს დაიწყო პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ბავშვები ისარგებლებენ სკოლებში გაუმჯობესებული წყლის, სანიტარული და ჰიგიენური პირობებით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და გაეროს ბავშვთა ფონდის პარტნიორობის შედეგად. პროექტის ფარგლებში გაუმჯობესდება სანიტარული პირობები, ტუალეტის ბლოკების მშენებლობისა და სკოლებში წყლის მიწოდების აღდგენის გზით. ასევე, 2022 წელს დაიწყო და 2025 წლამდე გაგრძელდება გაეროს ბავშვთა ფონდისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს შორის არსებული ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, დაახლოებით, 15,000 ბავშვი ისარგებლებს გაუმჯობესებული წყლის, სანიტარული და ჰიგიენური პირობებით 60 სკოლაში. პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს სკოლებში არსებული სიტუაციის გაუმჯობესება წყლისა და სანიტარული ინფრასტრუქტურის კუთხით, ასევე, ბავშვებისა და სკოლის პერსონალის ცნობიერების ამაღლება უსაფრთხო ჰიგიენური პრაქტიკის შესახებ.

გარდა ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნისა, საქართველოს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოსა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გარემოს ჯანმრთელობის ევროპული პროცესის მონაწილეს, ეკისრება საერთაშორისო ვალდებულებებიც ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით.

¹ ლი იონგ ვუკი – ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი, 2004 წელი



დაგვიკავშირდით

მოგვწერეთ, რა გინტერესებთ

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება,
იდეები, ინიციატივები

ჩვენ შევეცდებით, არცერთი შეკითხვა
არ დავტოვოთ უპასუხოდ

SKOLISMARTVA@TPDC.GE



